# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 იანვარი **ოთხშაბათი** 2011

№ 007 (13304) ფასი 60 თეთრი


# უცნაური მომენტი

## ჰო ბოლოს უნდა ითქვას ზვიადად?

12



6

**დღეს, 18 საათამდე: განაცხადებს სიჭიანავა?**



8-9

# ლეგიონის პასიანსი 2010

## დვალიშვილს კრაკოვში ელიან

3



11

# კოკაი ამბავი

## შავი ზღვის მე-300 ტალღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატი და მედია

# ჩვენი ფეხბურთი უნდა გახდეს

## საქართველოს ჩემპიონატის აუდიოვიზუალური მაშველები

მას შემდეგ, რაც მედიაკომპანია "კოლხიდასთან" გაფორმებული სატელევიზიო პროექტი გაუქმდა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციის პროექტზე მოლაპარაკებებს **ლაშა დვალიშვილი** აწარმოებს. ამის შესახებ ფედერაციის პრესატაშე "ლელოს" ელაპარაკა.

"საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის ნაწილი "პირველი არხზე" გაშუქდა. თუმცა ხელშეკრულება ამოიწურა და 2011 წლიდან ახალ პროექტზე ვმუშაობთ. რომელი არხი გააშუქებს პირველობას, ჯერ არ გადაწყვეტილა. მოლაპარაკება "პირველ არხთან" მიმდინარეობს და გადაწყდება, გაგრძელდება თუ არა ამ არხზე პროექტი. არის ვარიანტი, პირველობამ "მზეზე" გადაინაცვლოს - მოლაპარაკება ამ კომპანიასთანაც მიმდინარეობს. არის მესამე ვარიანტიც, მაგრამ ჯერ ამის თაობაზე ლაპარაკს მოვერიდები. თუ შევთანხმდებით, შესაძლოა, ეროვნულ ჩემპიონატს ცალკე საკაბელო არხიც გამოეყოს".

დვალიშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელ არხზეა ლაპარაკი და, ცხადია, დავინტერესდით, ხომ არ აქვს მოლაპარაკება საკაბელო არხების ახალ ქსელ „გლობალ მედია გრუპთან", რომელსაც **მამუკა გამყრელიძე** და **ბიძინა ბარათაშვილი** ხელმძღვანელობენ? ცნობილია, რომ „გლობალ მედია გრუპი", რომელიც ეთერში მალე გავა, ექვსი საკაბელო არხიდან ორს სპორტს დაუთმობს – ფეხბურთს და ზოგადად სპორტს.

"უმაღლესი და პირველი ლიგების თამაშების გაშუქება უფრო ვრცელი ფორმატითაა საჭირო. შესაძლოა, ბევრისთვის დაუჯერებელია, მაგრამ ინტერესი პირველი ლიგის მატჩების მიმართაც არსებობს. თუმცა რომელ საკაბელო არხზეა ლაპარაკი, ჯერ ამის დაკონკრეტება არ მსურს", - ამბობს ფედერაციის პრესატაშე.

დვალიშვილი სხვა პროექტზეც გველაპარაკა: "ჩვენს ფეხბურთს ყველა სახით სჭირდება პოპულარიზაცია, რათა მაყურებელში რაც შეიძლება მეტი ინტერესი გამოვიწვიოთ. ამჟამად ლაპარაკია პირველობის გაშუქების არა მხოლოდ სატელევიზიო, არამედ რადიოვერსიაზეც. დღეს "რადიო 1"-ის ხელმძღვანელობას შევხვდი და პროექტი შევთავაზე. მისი განხორციელება ჩემპიონატს ძალიან წაადგება. თუ შევთანხმდებით, ეს იქნება 2-საათიანი დინამიური პროექტი, ჟურნალისტებს ყველა მატჩიდან ჩავრთავთ პირდაპირ ეთერში, მსმენელს შევთავაზებთ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების კომენტარებს. ამას გარდა, ამოქმედდება **SMS** ტოტალიზატორი და ვიქტორინა, რაც საგანმანათლებლო ფუნქციასაც შეიძენს და გულშემატკივარი ჩვენი პირველობის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას გაეცნობა. "რადიო 1" მთელ საქართველოს ფარავს, რაც გადაცემის უდიდესი პლუსი იქნება. რაც მთავარია, რადიოს ხელმძღვანელობაა პროექტით დაინტერესებული".

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი



# საიდან ეს კვამლი?

## მე ვიცი, რომ შენ იცი, რომ მე ვიცი

ქართული კლუბებიდან რჩეული ფეხბურთელების მიგრაცია არავისთვისაა სიახლე, მით უმეტეს, თუ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია და თანაც ახალგაზრდაა. გუშინ გავიგეთ, რომ ზესტაფონელი **ნიკოლოზ გელაშვილი** ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ლეგიონერთა რიგებს შეუერთდება. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და თავდაპირველად თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით. ნიკამ ჩვენი ინფორმაცია გაიკვირვა. მოგვიანებით კლუბშიც დავრეკეთ და გვითხრეს, რომ ნიკას კონტრაქტი აქვს კლუბთან და ამ ეტაპზე მისი ტრანსფერის საკითხი არ განიხილება.

კლუბის ოფიციალური პოზიცია გასაგებია, მაგრამ ზესტაფონელთა მეგოლის შესახებ ჩვენ სხვადასხვა ინფორმაცია გვაქვს. ერთი წყაროს მტკიცებით, გელაშვილი გუნდთან ერთად გაემგზავრება ესპანურ შეკრებაზე, მარბელიის თასზეც ითამაშებს და ახალ გუნდში მერე გადავა. მისით დაინტერესებული კლუბი სწორედ მარბელიის თასის ერთ-ერთი მონაწილეა და ეს გუნდი, სავარაუდოდ, პრაღის „სპარტაა", ვისთანაც ზესტაფონელებს ამ ტურნირის პირველი მატჩი აქვთ.

მეორე ვერსით, გელაშვილით ბელგიური (სავარაუდოდ „გენკი"), გერმანული (მეორე ბუნდესლიის), ჰოლანდიური (ერედივიზიონის) და ერთიც ავსტრიული (მთავარი ბუნდესლიგის) კლუბები არიან დაინტერესებული და ნიკა მათგან ერთ-ერთის მაისურას მოირგებს. თუ რომლის, ამას მოლაპარაკებების პროცესი გვიჩვენებს.

მესამე წყაროს ინფორმაციით, გელაშვილს ისრაელში - ჰაიფას „მაქაბიში" ვიხილავთ. ეს კლუბი ლადო დვალიშვილს დათმობს და მის შემცვლელად სწორედ ნიკას მიიჩნევენ. ზოგის მტკიცებით კი, ნიკა **უჩა ლობჟანიძის** გზას დაადგება და უკრაინაში - დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" გადავა, მაგრამ ეს ვარიანტი ყველაზე შორს გვგონია რეალობიდან.

ცნობისათვის, გელაშვილმა სეზონის პირველი ნახევარის 18 მატჩში 10 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა სიას თანაკლუბელ **რატი წინამძღვრიშვილთან** ერთად ლიდერობს. თუმცა ეროვნულ ნაკრებში ჯერ არ გაუტანია, 8 მატჩი მშრალად ჩაატარა. 25 წლის თავდამსხმელის სატრანსფერო ფასი 400 ათასი ევროა.

ერთი სიტყვით, კლუბში გელაშვილის შესაძლო ტრანსფერს არ ადასტურებენ, მაგრამ ჩვენი ინფორმაცია სხვაზე მეტყველებს. როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და ვნახოთ.

**დავით ცაბაძე**

# სად, სად, სად მიდიხარ?

## რა თქმა უნდა, აზერბაიჯანში

ინტერნეტ-გაზეთ "აზერიფუტბოლის" ინფორმაციით, **ოლეგ გველესიანი** და **გიორგი ბერიაშვილი** კარიერას ჩვენი მეზობლების ჩემპიონატში გააგრძელებენ - ორივე თოვუზის "თურანში" მიიწვიეს.

გველესიანს აზერბაიჯანში ადრეც უთამაშია - 2009 წელს სუმგაითის "სტანდარდში" ჩაირიცხა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხვედრა გამართა, რომელშიც საკუთარ კარში გაიტანა გოლი და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ბოლოს ფოთის "კოლხეთში" გამოდიოდა და კლუბი ფინანსური გაჭირვების გამო დატოვა.

ბერიაშვილმა მიმდინარე სეზონი "ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო, ივლისის ბოლოს "ოლიმპში" გადავიდა, მაგრამ დეკემბერში რუსთავური კლუბიდან გაუშვეს. აქამდე ცნობილი იყო, რომ გიორგის სეზონის დასრულებამდე თამაშის უფლება არ ჰქონდა, რადგან ფიფა ერთ საფეხბურთო სეზონში სამ კლუბში გამოსვლას კრძალავს. მაგრამ ბერიაშვილისთვის "თურანი" მეორე კლუბი იქნება და არა მესამე.

როგორც დავადგინეთ, გიორგის წლევანდელ ნუსხაში „ვიტ ჯორჯიაში" ყოფნა არ ჩაეწერება. ის ვიტელებს უკრაინულ შეკრებაზე ივლისში გაჰყვა, სადაც მაშინდელ მთავარ მწვრთნელ **გელა გომელაურთან** კონფლიქტი მოუვიდა და ამის გამო შეკრების შემდეგ ისე გაუშვეს, მიმდინარე სეზონში „ვიტ ჯორჯიაში" არც უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ "თურანის" მთავარი მწვრთნელი დეკემბრამდე **რევაზ ძოძუაშვილი** იყო, რომელიც პოსტიდან კი გადააყენეს, მაგრამ კლუბში დატოვეს. დეკემბერში კლუბიდან გაუშვეს **შალვა ფირცხალავა** და **გიორგი მოდებაძე**, ქართველებიდან კი მხოლოდ **გიორგი ჭედია** დატოვეს.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ბერიაშვილი

ლეგიონერი

# +200 000

## კალაძის კურსი თამაშ-თამაშ იზრდება

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** ტრავმის მოშუშების შემდეგ ახალი წელიწადი კარგად დაიწყო. 6 და 9 იანვარს შინ „ლაციოსთან" და სტუმრად „ჩეზენასთან" კალაძემ ჩინებულად ითამაშა და რომაელებთან მატჩის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

კახას ასეთი თამაში დაფასდა, მისი სატრანსფერო ფასი 200 ათასი ევროთი გაიზარდა და ახლა 1.7 მილიონ ევროს შეადგენს.

ჩვენებური კი გამოირჩა, მაგრამ მის „ჯენოას" ცხრილში საიმედო ადგილი ნამდვილად არ უჭირავს. კალაძის გუნდს ბოლო ორ ტურში გოლი არ გაუშვია, მაგრამ ვერც გაიტანა. „ჯენოას" **ლუკა ტონის** „იუვენტუსში" გაშვების შემდეგ თავდასხმაში უჭირს და აკი ქართველმა მცველმა პრესას განუცხადა, თავდამსხმელი გვინდაო. ამაზე კლუბის მესვეურები უკვე ზრუნავენ, არაერთი კანდიდატურა დასახელდა და ალბათ გუნდს მალე ახალი შემტევიც შეუერთდება შეემატება. ამასობაში კი გენუელებს „ფიორენტინასა" და „კალიარის" მსგავსად 23 ქულა აქვთ და მე-11-მე-13 ადგილებს იყოფენ. კალაძის გუნდი სათასო მატჩს ხვალ „ინტერთან" სტუმრად გამართავს.

**დავით ცაბაძე**



დინამო

# დინამო 4x5-ზე და აფროფრანგი

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ინფორმაციით, გუნდი 23 იანვრიდან შეკრებას ანთალიაში გაივლის და 5 საკონტროლო შეხვედრას გამართავს.

თურქეთამდე კი "დინამო" თბილისში ემზადება და საკონტროლო მატჩები აქაც დაგეგმა, რომელთა სავარაუდო გრაფიკი ასეთია: 13 იანვარი: "დინამო" - სტუ; 15 იანვარი: "დინამო" – "ლოკომოტივი"; 18 იანვარი: "დინამო" – "სიონი"; 22 იანვარი: "დინამო" – "გაგრა".

ამასობაში თბილისის "დინამომ" კიდევ ერთი ლეგიონერი, წარმოშობით ალჟირელი ნახევარმცველი **სემი დერასი** დაიმატა, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა, "ლიონის" საფეხბურთო სკოლის გაზრდილს იტალიაშიც უთამაშია, ბოლოს კი ესპანეთში სეგუნდა ბ-ს კლუბ "ლორკაში" გამოდიოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახე



ბაჩანა არაბული

# არაბულის უკრაინული მომენტები, მაგრამ ერთი მაგრამ...
## ეტი გრუზინი 2

15 იანვარს პეტერბურგში "თანამეგობრობის თასის" მეცხრამეტე გათამაშება იწყება. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და რუსთავის „ოლიმპის" დუბლშემადგენლობის ერთ-ერთი ლიდერი ბაჩანა არაბული კიევის "დინამო 2"-ში ისინჯება, მაგრამ პეტერბურგში გასამართ ტურნირზე უკრაინელთა გუნდში თამაშის შანსი არ მიეცა.

**ბაჩანას კიევში გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- "თანამეგობრობის თასზე" კიევის "დინამოს" შემადგენლობაში ითამაშებ?**

- მოსკოვში ვერ მივდივარ, რადგან რუსეთის ვიზა არ მომცეს.

**- კიეველებს ტურნირზე მიჰყავდი?**

- ფაქტია, რომ ვიზას აკეთებდნენ. ეს არაფერია, ახლა "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვრჩები და კიევში ოლეგ მაკაროვის სახელობის ტურნირზე ვითამაშებ. ეს ახლახან მითხრეს, მოემზადე, თამაშები 15 იანვარს იწყებაო.

**- შენი საკითხი თუ გაირკვა?**

- ეს არ ვიცი, ჯერ კონტრაქტიც არ უხსენებიათ, მაგრამ მალე გადაწყდება, როდესაც "დინამო 2" "თანამეგობრობის თასიდან" დაბრუნდება. მერე შეკრებაა კვიპროსში და, წესით, ჩემი საკითხი მანამდე უნდა გაირკვეს. არაა გამორიცხული, ტრანსფერის საკითხი "დინამო 2"-ის რუსეთში გამგზავრებამდე გადაწყვიტონ.

**- შენი აზრით, დარჩენის შანსი გაქვს?**

- წინასწარ ლაპარაკი არ მსურს, მაგრამ გეტყვით, როგორი ვითარებაა: კიევის "დინამო 2"-ში თამაში არ მიჭირს, ეს ძალიან ძნელიც არ ყოფილა, თავს კარგად ვგრძნობ და არა მგონია, დარჩენა პრობლემა იყოს. ტრაბახში არ ჩამომართვათ, ბევრ კიეველს ვჯობივარ, მაგრამ უკრაინელებს ქართველებზე არც ისე კარგი წარმოდგენა აქვთ, ორიოდე კაცმა ითამაშა, ბევრი კი ტყუილად ავიყვანეთო და არ ვიცი, საბოლოოდ ჩემი გასინჯვა როგორ დასრულდება.

**- როგორია გუნდის მთავარი მწვრთნელის, ანდრეი გუსინის დამოკიდებულება?**

- რასაც ვამჩნევ, ცუდი თვალით არ უნდა მიყურებდეს, ჩამოსვლის შემდეგ "დინამო 2"-ის არც ერთი შეხვედრა არ გამომიტოვებია. არადა, შეცვლაზე კიდევ 19 კაცი ჰყავს. მაგრამ, ვიმეორებ, ნაჩქარევად დასკვნების გამოტანა არ მსურს.

**- უკრაინელთა დატვირთვებზე ლეგენდები დადის და როგორ შეეჩვიე?**

- სხვათა შორის, ჯერ დიდ დატვირთვებზე არც გადავსულვართ, რადგან გუნდს "თანამეგობრობის თასისთვის" ამზადებდნენ და ამ დროს ფეხბურთელების გადატვირთვა არ შეიძლება. ალბათ, დიდ დატვირთვებზე პეტერბურგიდან "დინამო 2"-ის დაბრუნების შემდეგ გადავალთ. ახლა შედარებით მსუბუქი ვარჯიშები გვქონდა, ერთი ტრენაჟორებზე ვარჯიში იყო ცოტა ძნელი, მაგრამ მაინც ვუძლებდი, ან სხვა რა გზა მქონდა?

**- "დინამო 2"-სა და უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებში სულ ექვსმა ქართველმა ითამაშეთ. დავიწყოთ დავით იაშვილით, ვინ არის ეს ფეხბურთელი?**

- იაშვილი მარჯვენა მცველია, როგორც მითხრა, თბილისში "ოლიმპის" აკადემიაში მამუკა ფანცულაიასთან ვარჯიშობდა. უკრაინაში ბოლო სამი წელია, თამაშობს, კიევის "არსენალის" ფეხბურთელია და ახლა კიევის "დინამოში" გასასინჯად აიყვანეს.

**- "ნივასთან" საკონტროლო შეხვედრაში იაშვილი არ გამოჩენილა - გაუშვეს?**

- არა, უბრალოდ, "ნივასთან" მისი გასინჯვა საჭიროდ აღარ მიიჩნიეს. ანდრეი გუსინმა უთხრა, კარგი ბიჭი ხარ, შენით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ზედმეტად ნერვიულობ და თავი ხელში აიყვანეო. ალბათ, დათოს გუნდში დატოვებენ.

**- ფარცვანიაზე რას გვეტყვი?**

- თემური "დინამო 2"-ის ცენტრალური მცველია, ძალიან კარგი ფეხბურთელია და, როგორც ვიცი, ახლა კიევის "დინამოს" მთავარ გუნდში გადაჰყავთ. მისი თამაში მართლა ძალიან მომეწონა.

**- უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებში ითამაშეს მახარაძემ, აქუბარდიამ და ბოხაშვილმა. მათ როგორ დაგვიხასიათებ?**

- ნაკრებში შემთხვევით არ მიიწვევდნენ, მაგრამ უკრაინის ნაკრებში სამი ქართველი რომ იყო, მხოლოდ თამაშის შემდეგ შევიტყვე და, ბუნებრივია, მათ შეხვედრისას ყურადღება ვერ მივაქციე. მხოლოდ ბადრი აქუბარდიას ვიცნობ, რომელიც "დინამო 2"-ში თამაშობს და ნიჭიერი ფეხბურთელია.

ინტერვიუ ჩაწერილი გვქონდა, როდესაც კიევის "დინამოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა **ანდრეი გუსინის** ინტერვიუ გამოაქვეყნა. "დინამო 2"-ის მთავარ მწვრთნელს კითხვა არაბულის თაობაზეც დაუსვეს - როგორ შეაფასებდით გასინჯვაზე მყოფი ქართველის თამაშსო.

*"არაბული მხოლოდ 16 წლისაა, ხშირად ქმნის მომენტებს როგორც მატჩის დროს, ასევე ვარჯიშზე ორკარას თამაშისას. ის კარგად იხსნება, მშვენივრად გრძნობს მომენტს და კარის წინ მოხვედრას საჭირო დროს ახერხებს. "თანამეგობრობის თასის" შემდეგ რეგიონებიდანაც ბევრ ფეხბურთელს გავსინჯავთ და საუკეთესოებს დავტოვებთ. ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა მკაფიო მითითება მომცა. შევეცდებით, უკრაინის ბაზარი კარგად ავითვისოთ, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ფეხბურთელი მოვიზიდოთ, მათ თავის გამოჩენის შანსი მივცეთ და ამით კლუბში კონკურენცია გავზარდოთ"*, - განაცხადა გუსინმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ისრაელი და პოლონეთი დვალიშვილს ადასტურებენ
## ქართველს კრაკოვში 17 იანვარს ელიან

შესაძლოა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი თავდამსხმელის ტრანსფერი შედგეს. ჰაიფას „მაქაბის" ფორვარდ **ვლადიმერ დვალიშვილით** პოლონური კლუბი დაინტერესდა. ამ საკითხზე გუშინ ინფორმაციები ებრაულ და პოლონურ ვებგვერდებზე გავრცელდა.

„პოლონურმა საიტებმაც დაადასტურეს, რომ ჰაიფას „მაქაბის" თავდამსხმელი ვლადიმერ დვალიშვილი კრაკოვის „ვისლას" ინტერესის სფეროშია. ეს ინტერესი პირველად ზაფხულში გაჩნდა, მაგრამ მაშინ მხარეები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. როგორც ჩანს, ეს საკითხი ახლა უფრო აქტიურად განიხილება. „ვისლას" მესვეურთა სურვილია, ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდეს", - წერს ებრაული საიტი walla.co.il-ი.

ახლა კი ვნახოთ, რას გვაუწყებენ ქართველი ფორვარდის შესაძლო ტრანსფერის შესახებ პოლონური ვებგვერდები:

*„ფორვარდ პაველ ბროშკას „ტრაბზონსფორში" გადასვლის შემდეგ კრაკოვის „ვისლას" თავდასხმის ხაზში გაუჭირდა. მწვრთნელის დავალებით კლუბის სკაუტები უკვე ეძებენ სასურველ ფორვარდს და რამდენიმე ვარიანტსაც განიხილავენ. თავდაპირველად ბერძნული „ატრომიტოსის" არგენტინელ თავდამსხმელ ემანუელ პერონის კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ მალე ეს ვარიანტი ქართველმა ფორვარდმა ვლადიმერ დვალიშვილმა შეცვალა. ებრაელ აგენტ დუდუ დახანთან ერთად „ვისლას" კლუბის წარმომადგენელი ისრაელში „ფეტახ თიკვას" ჰაიფას „მაქაბისთან" მატჩს დაესწრო. შეხვედრა ჰაიფელებმა 3:1 მოიგეს და ორი გოლი დვალიშვილმა გაიტანა.*

*ამ პაექრობის შემდეგ „ვისლას" წარმომადგენელი ჰაიფელთა მწვრთნელსა და კლუბის მესვეურებს ესაუბრა და „მაქაბისთან" მოლაპარაკებაც დაიწყო. დვალიშვილს კარგი დოსიე აქვს. იგი ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბში - თბილისის „დინამოში" თამაშის შემდეგ გახდა ლეგიონერი. რიგის „კონტოში" მეგოლის სახელი დაიმკვიდრა, საიდანაც ჰაიფას „მაქაბიში" 300 ათასი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ფორვარდი, რომელსაც ეროვნულ ნაკრების 13 შეხვედრაში 3 გოლი აქვს გატანილი, ახლა გაცილებით ძვირად ფასობს. მისი სატრანსფერო ფასი 1.2 მილიონი ევროა, მაგრამ ჰაიფელები ამ თანხაზე მეტს ითხოვენ. „ვისლას" ქართველის დამატების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ამ საკითხის მთავარი დაბრკოლება კონტრაქტია - თავდამსხმელი წლინახევრის წინ გადავიდა ებრაულ კლუბში და მისი კონტრაქტის ვადა წლეულს, 30 ივნისს იწურება.*

*„ვისლას" ბოსებმა კლუბის წარმომადგენლებს დაავალეს, რომ დვალიშვილის ტრანსფერის საკითხი ამ კვირაშივე დადებითად გადაწყდეს, რადგან 17 იანვარს გუნდი მეორე წრისთვის მზადებას იწყებს. თუ „მაქაბიმ" ქართველის სანაცვლოდ არარეალური თანხა არ მოითხოვა, მაშინ დვალიშვილის ტრანსფერი წესით მალე უნდა შედგეს"*, - წერს პოლონური საიტი ინტერია.პლ.

პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი კრაკოვის „ვისლა", რომელსაც ჰოლანდიელი მწვრთნელი **რობერტ მასკაანტი** ხელმძღვანელობს, ამჟამად 27 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება.

**დავით ცაბაძე**

# სატრანსფერო ოლივიე

"გაგრას" თავდამსხმელი **აბაიომი ოვონიკოკო** დეკემბერში საფრანგეთში გამგზავრებას აპირებდა, სადაც "რენი" გასასინჯად იწვევდა. მაგრამ საფრანგეთის საკონსულომ 18 წლის ნიგერიელ ფორვარდს ვიზა არ მისცა.

"გაგრას" პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, ახლა ოვონიკოკოს ბელგიაში ელიან.

*"მას თავიდანვე ორ კლუბში იწვევდნენ, ფრანგულ "რენსა" და ბელგიურ "გენკში", მაგრამ ჩვენ და თავად ფეხბურთელმა ფრანგული ვარიანტი ვამჯობინეთ. ცხადია, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატი ბელგიისას სჯობს. თუმცა "გენკი" უფრო აქტიურობდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საბუთი წარვადგინეთ, 27 დეკემბერს საფრანგეთის საელჩომ ოვონიკოკოს ვიზაზე უარი უთხრა, "გენკიდან" კი კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რონალდ იანსენი ყოველდღე გვიკავშირდებოდა და როდესაც "რენში" ჩაშლილი სინჯების ამბავი შეიტყო, აბაიომის ოფიციალური მიწვევა გამოუგზავნა. ბელგიელები დაჟინებით ითხოვენ მის გასინჯვას და ახლა საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.*

*ოვონიკოკომ საბუთები ჰოლანდიის საკონსულოში უკვე შეიტანა, რომელიც ჩვენთან ბელგიას წარმოადგენს და ვიზას ხუთ სამუშაო დღეში ელის. იმედია, პრობლემა ახლა მაინც არ შეექმნება"*, - გვითხრა აფხაზავამ.

"გაგრას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** „შახტარში" ნახევარწლიანი იჯარით თამაშობდა, რომლის ვადაც დეკემბერში ამოიწურა და "გაგრას" და "შახტარს" ხელახლა უნდა მოელაპარაკათ - *"თითქმის გადაწყვეტილია, რომ ოქრიაშვილი ისევ "შახტარში" დარჩება"*, - გვითხრა "გაგრას" ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ**. თუმცა, უკრაინული წყაროების ცნობით, თორნიკე მეორე წრეს "ილიჩოვეცში" იჯარით გაატარებს. მარიუპოლის კლუბის მთავარ მწვრთნელად "შახტარის" დუბლების ყოფილი თავკაცი **ვალერი იარემჩენკო** დანიშნეს, რომელმაც დონეცკელთა რამდენიმე სათადარიგო მიიწვია. "ილიჩოვეცის" ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ 3 იანვრიდან კლუბში **თორნიკე ოქრიაშვილიც** ვარჯიშობს.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იმასაც იუწყება, რომ **გიორგი გაბედავამ** კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა, მიზეზი ახალი მწვრთნელის დანიშვნაა – იარემჩეკომ თავიდანვე განაცხადა, რომ გაბედავას და კიდევ ექვს ფეხბურთელს მეორე წრეში არ დაეყრდნობოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# მენთეშაშვილი ისევ ჰაპოელშია
## აშქელონიდან რამათ განში

30 წლის ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** კიდევ ერთხელ შეიცვლის კლუბს. ებრაული ვებგვერდების მტკიცებით, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ჩვენებურმა მიმდინარე სეზონი ისრაელის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ აშქელონის „ჰაპოელში" დაიწყო და ამ კლუბთან ჩემპიონატის ბოლოს უმთავრდებოდა კონტრაქტი, მაგრამ... ჯერ კიდევ ნოემბრის ბოლოს გავრცელდა ცნობა, რომ მენთეშაშვილი კლუბს შეიცვლიდა. მიზეზი კლუბის მიერ ზურასა და მისი ერთ-ერთი თანაგუნდელის დასჯა იყო. მაშინ აშქელონის „ჰაპოელმა" ქართველი ნახევარმცველი 20 ათაში შეკელით დააჯარიმა. ზურამ სანქცია უსამართლოდ მიიჩნია და კლუბს სასამართლოში უჩივლა. თუმცა საქმეში აშქელონელთა კლუბის მეპატრონე ჩაერია და კონფლიქტიც თითქოსდა ამოიწურა, გუნდის მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე თქვა კიდეც, მენთეშაშვილი ჩვენს გუნდში დარჩებაო, მაგრამ ვითარება შეიცვალა. რამათ განის „ჰაპოელი" ჩვენებურით დაინტერესდა და კლუბებს შორის მოლაპარაკებაც დაიწყო. ებრაული საიტების მტკიცებით, კლუბები უკვე მორიგდნენ და მენთეშაშვილი დღეს, 12 იანვარს ახალ გუნდს უნდა შეუერთდეს. ჩვენებურის ტრანსფერის დეტალები უცნობია, არც ის ვიცით, აშქელონელებმა უსასყიდლოდ დათმეს ზურაბი თუ გარკვეული თანხა მოითხოვეს. მენთეშაშვილს ეროვნული ნაკრების 38 მატჩში ერთი გოლი აქვს გატანილი. მან აშქელონელთა გუნდში 15 მატჩი ჩაატარა და მისი სატრანსფერო ფასი 350 ათასი ევროა.



რაც შეეხება ზურას ახალ გუნდს, რამათ განის „ჰაპოელი" მთავარი ლიგის ცხრილში ბოლო, მე-16 ადგილზეა, მხოლოდ 4 ქულა აქვს და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის დიდი ბრძოლა მოუწევს, რადგან წინა ორ გუნდს შვიდი და ცხრა ქულით ჩამორჩება. რამათგანელთა გუნდი შარშანაც ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა და საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რამათ განის „ჰაპოელს" უახლოესი მატჩი 15 იანვარს სწორედ აშქელონის „ჰაპოელთან" აქვს და, შესაძლოა, მენთეშაშვილის დებიუტი ახალ კლუბში ყოფილ გუნდთან მატჩში შედგეს.

**დავით ცაბაძე**

# სტაბილური პესიმიზმი

**გასულ ზაფხულს რომ ახალი საფეხბურთო სეზონის მოლოდინი გვქონდა, მსგავსი კარგა ხანია, არ ყოფილა; ამის მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, უდიდესი ისტორიისა და ტრადიციული გუნდების უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ტენდენციის გაგრძელება იყო - ზუგდიდისა და სამტრედიის მერე ქუთაისსა და ფოთშიც დიდი ფეხბურთი უნდა დაბრუნებულიყო. დღეს, ფოთის „კოლხეთზე“ ვისაუბრებთ, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უძველეს გუნდზე - ოთხწლიანი პაუზის შემდეგ რომ გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში. თანაც, „კოლხეთს“ ეს პატივი არა პოლიტიკური ან „სხვა“ გადაწყვეტილებით, არამედ ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ერგო. მოკლედ, გუნდი დაბრუნდა იქ, სადაც იმსახურებდა კიდეც ყოფნას თავისი ისტორიით - ეროვნულ ჩემპიონატებში თუ რომელიმე გუნდს შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ვუწოდოთ, უპირველესად ფოთის „კოლხეთია“; თავად განსაჯეთ: პირველიდან მეცამეტე ჩემპიონატის ჩათვლით, მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, „კოლხეთმა“ სეზონი ხუთეულს მიღმა რომ დაასრულა! საქართველოს ჩემპიონატის ორ-ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნეოდა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ უმაღლეს ლიგას გუნდი სპორტული პრინციპების გამო კი არ დამშვიდობებია, არამედ ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი. სამწუხაროდ, 2006-07 წლების სეზონის დაწყების წინ „კოლხეთს“ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი ეთქვა და ამას მოჰყვა კიდეც ის ოთხწლიანი პერიოდი, როცა გუნდი პირველ და... რეგიონაულ ლიგას შორის „მოგზაურობდა“. არადა, 2005-06 წლების სეზონში „კოლხეთმა“ თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში X ადგილი (ყველაზე უარესი შედეგი ამ გუნდის ისტორიაში) დაიკავა, მაგრამ...**

**...„კოლხეთმა“ რომ საერთოდ არსებობა არ შეწყვიტა და ამ ოთხი წლის განმავლობაში კვლავაც უმაღლეს ლიგაში დაბრუნების სურვილი თუ ამბიცია ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, გუნდის პრეზიდენტ თემურ ბარქაიას დამსახურებაა. სწორედ ამ ახალგაზრდა კაცის დიდი მონდომებით გუნდი რეგიონული ლიგიდან ჯერ პირველ ლიგაში დაბრუნდა, მერე იქ „მომძლავრდა“ და გასულ სეზონშიც სრულიად დამსახურებულად მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა „კოლხეთის“ ყოფილ ფეხბურთელს ზაზა ინიაშვილს, ვინც იმ ძნელბედობის ჟამს გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ; 2009-10 წლების სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ კი ფოთელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი ბესიკ შეროზია დაინიშნა, ვისი ხელმძღვანელობითაც „კოლხეთმა“ ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი დამაჯერებლად ჩაატარა და „ტორპედოსთან“ ერთად უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. „კოლხეთმა“ ძველი შემადგენლობა, ფაქტობრივად, შეინარჩუნა (თუ არ ჩავთვლით ორი გამოცდილი ფეხბურთელის - ვალტერ გუჩუასა და გია თოდუას წასვლას) და, რაც მთავარია, ახალი სეზონის დაწყების წინ ჩვენი მასშტაბებით არცთუ ურიგო სატრანსფერო კამპანია აწარმოა. ყოველ შემთხვევაში, ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელების (მიხეილ მახვილაძე, რეზო ჯიქია, ალექსანდრე ინწკირველი, ოლეგ გველესიანი, ზვიად სტურუა, ზურაბ ექონია, გიორგი სილაგავა, გიორგი დეკანოსიძე) დამატებით გუნდს პრიზიორთა შორის თუ არა, პირველ ხუთეულში დამკვიდრება ნამდვილად რეალურად ხელეწიფებოდა. თავდაპირველად, ყველაფერი აქეთკენაც „მიდიოდა“, მაგრამ ფინანსურმა კრიზისმა ფოთელ ქომაგებს კვლავაც მტკივნეულზე მტკივნეულად „შეახსენა თავი“ და ამჟამადაც ერთობ ბუნდოვანი სიტუაციაა...**

## იპოვეთ... ბევრი განსხვავება

უმაღლეს ლიგაში ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა „კოლხეთმა“ სეზონი ისე დაიწყო, ამ გუნდის ერთგულ ქომაგებს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად უნდა ჰქონოდათ: სამი ტურის შემდეგ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი სწორედ ბესიკ შეროზიას კრებული იყო; ეგ კი არა, ჩემპიონატის პირველმა თვემ ისე ჩაიარა, „კოლხეთს“ საკუთარ კარში გოლი არ ჰქონდა გაშვებული! ამიტომაც არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, როცა „ლელოს“ ვერსიით აგვისტოს სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი წარმომადგენელი სწორედ „კოლხეთს“ ჰყავდა: მთავარი მწვრთნელი - **ბესიკ შეროზია,** მეკარე - **გიზო შენგელია,** მცველები: **მიხეილ მახვილაძე, ალექსანდრე ინწკირველი,** ნახევარმცველი - **დათა სიჭინავა.** მოკლედ, ფოთში მართლაც იმედიანი განწყობა სუფევდა და ჩემპიონატში პირველი მარცხიც („დინამოსთან) ტრაგედიად არავის აღუქვამს, ისე როგორც სტუმრად წაგება ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან „ზესტაფონთან“. რაც მთავარია, გუნდი „დაუგეგმავ“ ქულებს არ კარგავდა: „სამტრედიასთან“ და „სპარტაკთან“ ორივე საშინაო მატჩი მოიგო და საერთოდაც, პირველ წრეში „კოლხეთის“ ასპარეზობა მხოლოდ და მხოლოდ დადებითად (გნებავთ, წარმატებულად) უნდა შეფასდეს. მით უფრო, სწორედ „კოლხეთი“ იყო პირველი წრის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი: VII ტურის შეხვედრაში (25 სექტემბერს რომ ჩატარდა) ბესიკ შეროზიას გუნდმა საკუთარ მოედანზე მტკივნეულზე მტკივნეული მარცხი მიაყენა მოქმედ ჩემპიონს რუსთავის „ოლიმპს“ (5:1). სხვათა შორის, რუსთავის „ოლიმპს“ კლუბის ისტორიაში ასეთი ანგარიშით მანამდე არასდროს წაეგო...

პირველ წრეში „კოლხეთის“ ასპარეზობის შეფასებისას ერთადერთ „მინუსად“, ალბათ, მხოლოდ ის ფაქტორი მიგვაჩნია, გუნდი სტუმრად გამარჯვებას რომ ვერ ახერხებდა თუმცა, მოგვიანებით მოვლენები ისე განვითარდა, რომ სტუმრად კი არა, გუნდი, საერთოდ, ვერ იმარჯვებდა! მოდი, ჯერ მხოლოდ ციფრებით ვილაპარაკოთ: პირველ წრეში გუნდმა 14 ქულა მოაგროვა (ბურთების სხვაობა — 12:8), მეორეში კი — 5 (ბურთების სხვაობა — 2:20); ვფიქრობთ, ამით ყველაფერი ნათქვამია და ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ მეორე წრეში „კოლხეთის“ ასეთი წარუმატებელი ასპარეზობა არც გუნდის სამწვრთნელო შტაბის ბრალი იყო და არც — ფეხბურთელების; თანაც, სხვა გუნდებისგან („ბაია“, „სამტრედია“) განსხვავებით, „კოლხეთში“ არსებული სერიოზულზე სერიოზული ფინანსური პრობლემები საკმაოდ გვიან „გახმაურდა“; არადა, თურმე იმავე „ბაიასა“ და „სამტრედიასთან“ შედარებით, ფოთელთა გუნდში არანაკლები კი არა, ბევრად უფრო მასშტაბური ფინანსური გაჭირვება ყოფილა. დაპირებები, იცოცხლეთ, ზაფხულიდან მოყოლებული გრძელდებოდა, მაგრამ თვეთვეს მისდევდა და კლუბის სპონსორი მაინც არ ჩანდა. ყოველივე ეს გუნდის ასპარეზობაზე ნეგატიურად რომ აისახებოდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდებოდა და ასეც მოხდა: ჩაშლილი საწვრთნელი პროცესის გამოძახილი იყო სტუმრად ორი სასტიკი მარცხი („დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“); ორივე მატჩში „კოლხეთმა“ პირველი ტაიმები ღირსეულად ჩაატარა, მაგრამ შესვენების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად იცვლებოდა: უვარჯიშებელ ფეხბურთელებს უჭირდათ მეტოქესათვის წინააღმდეგობის გაწევა. 10 ნოემბერს „კოლხეთმა“ უკანასკნელად იასპარეზა „ძველი“ შემადგენლობით, როცა თასის მერვედფინალში პირველი ლიგის წარმომადგენელ „გაგრასთან“ დამარცხდა. აი, ამის შემდეგ კი პირველი ეტაპის ბოლომდე ფოთელთა გუნდში, ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. ჰოდა, სრულიად გამოუცდელი 18-19 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდიც ნელ-ნელა ეშვებოდა სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ და პირველი ეტაპის შემდეგ „კოლხეთი“ ბოლოსწინა ადგილზე იმიტომ არ იმყოფება, რომ ასევე ფინანსურად გაჭირვებულ „სამტრედიასთან“ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას ფლობს.


ბესიკ შეროზია

### მეკარეები

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ პირველ წრეში „კოლხეთის“ წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი შემოქმედი, გუნდის „სტაჟიანი“ წევრის **გიზო შენგელიას** საიმედო თამაშიც იყო. ის ფაქტიც, რომ აგვისტოში მხოლოდ „კოლხეთს“ არ ჰქონდა საკუთარ კარში გოლი გაშვებული, რაღა თქმა უნდა, ამ მეკარის უდიდესი დამსახურებაც იყო. სამწუხაროდ, ფინანსური კრიზისის გამწვავების შემდეგ „კოლხეთის“ შემადგენლობა ერთიანად რომ გადახალისდა, გუნდი გიზო შენგელიამაც დატოვა და ბოლო მატჩებში ძირითად მეკარედ ახალგაზრდა **ლევან გორდეზიანი** ასპარეზობდა.

### მცველები

სეზონის წინ „კოლხეთის“ შანსებზე მეტ-ნაკლებად აღმატებულ ხარისხში რომ ვსაუბრობდით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაცვის ხაზის სოლიდურად გაძლიერებაც იყო. პირველ ლიგასთან განსხვავებით, ბესიკ შეროზიამ ყველაზე მეტი ცვლილება სწორედ ამ რგოლში განახორციელა და გუნდში გამოცდილი მცველები მოიწვია; დაცვის ცენტრში 32 წლის **მიხეილ მახვილაძე** და 29 წლის **ალექსანდრე ინწკირველი** საიმედო „დუეტს“ ქმნიდნენ, მარცხენა ფლანგზე კი არანაკლებ გამოცდილი, 30 წლის **ოლეგ გველესიანი** ასპარეზობდა. ცვლილება მხოლოდ დაცვის მარჯვენა ფლანგს არ შეეხო, სადაც ხან **დავით ჭითანავა** იყო ძირითადში, ხანაც — **პაატა ცხვიტარია.** სხვათა შორის, ამ 21 წლის მცველმა მეტოქეთა კარში ორი გოლის გატანაც მოახერხა. პირველი ეტაპის ბოლოს კი, ისე როგორც ყველა დანარჩენ რგოლში, „კოლხეთის“ დაცვის ხაზშიც მხოლოდ და მხოლოდ დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები ასპარეზობდნენ.

### ნახევარმცველები

წინა სეზონში „კოლხეთმა“ რომ უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, რა თქმა უნდა, მთელი გუნდის დამსახურება იყო; თუმცა, 21 წლის **დათა სიჭინავა** მაინც გამორჩეული გახლდათ და ამ შემტევი სტილის ნახევარმცველს უმაღლეს ლიგაშიც წარმატებული სტარტი ჰქონდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 3 გატანილი გოლით „კოლხეთის“ საუკეთესო ბომბარდირი სწორედ სიჭინავაა; არადა, ეს ნიჭიერი შემტევი (ოსტატურად რომ ეხერხება „სტანდარტულების“ შესრულება) თავის გუნდს მხოლოდ თორმეტ მატჩში ეხმარებოდა და დიდი ალბათობით, მეორე ეტაპზე სხვაგან ვიხილავთ. ძნელი სათქმელია, სად გააგრძელებენ კარიერას „კოლხეთის“ სხვა ნახევარმცველებიც — **გიორგი სილაგავა, ვლადიმერ ჯოჯუა, ლევან თედიაშვილი**; საერთოდაც, იმ შემადგენლობიდან სეზონი ვინც დაიწყო, პირველი ეტაპის ბოლომდე ძირითადში მხოლოდ ორი ნახევარმცველი ასპარეზობდა: **ლევან გულუა** და **ლაშა გვალია** (ორივე-19 წლის არის). აქვე, დუბლშემადგენლობის ყოფილი, შემდეგში კი გუნდის ძირითად მოთამაშეთაგან ერთ-ერთიც უნდა ვახსენოთ: 19 წლის **დავით მეგრელიშვილს** უმაღლეს ლიგაში დებიუტი წარმატებულზე მეტი ჰქონდა, როცა „კოლხეთმა“ მისი ერთადერთი გოლით „ბაიას“ მოუგო.

### თავდამსხმელები

„კოლხეთი“ ვიდრე მეტ-ნაკლებად წარმატებულად ასპარეზობდა, თავდამსხმელების მიმართ, ალბათ, მაშინაც იქნებოდა გარკვეული პრეტენზიები: „ოლიმპთან“ მოგებულ შეხვედრაში **დავით ციცხვაიამ** „დუბლი“ შეასრულა, „სპარტაკთან“, ცოტა არ იყოს, სკანდალურ მატჩში კი გამოცდილმა **რევაზ ჯიქიამ** ერთადერთი გოლი გაიტანა, — აი, ეს იყო და ეს; ეს ტენდენცია შემდეგშიც გაგრძელდა, როცა მათ ნაცვლად მოასპარეზე ახალგაზრდა თავდამსხმელებიდან ვერც ერთმა შეძლო თავის გამოჩენა.

სამწუხაროდ, ამ ეტაპისათვის მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორი შემადგენლობით იასპარეზებს „კოლხეთი“ გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე. არადა, გამოუცდელი ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდი ხომ, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში გასავარდნად იქნება განწირული...

**გია ტუხაშვილი**


დინამო-კოლხეთი 5:0

### კოლხეთის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| II ტური: | სიონი-კოლხეთი | 0:0 |
| III ტური: | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| IV ტური: | ტორპედო-კოლხეთი | 0:0 |
| V ტური: | კოლხეთი-დინამო | 1:3 |
| I ტური: | კოლხეთი-სამტრედია | 1:0 |
| VI ტური: | ზესტაფონი-კოლხეთი | 2:0 |
| VII ტური: | კოლხეთი-ოლიმპი | 5:1 |
| VIII ტური: | ბაია-კოლხეთი | 2:1 |
| IX ტური: | კოლხეთი-სპარტაკი | 1:0 |
| X ტური: | სამტრედია-კოლხეთი | 1:1 |
| XI ტური: | კოლხეთი-სიონი | 0:0 |
| XIV ტური: | დინამო-კოლხეთი | 5:0 |
| XII ტური: | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 5:1 |
| XIII ტური: | კოლხეთი-ტორპედო | 0:1 |
| XV ტური: | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| XVI ტური: | ოლიმპი-კოლხეთი | 2:0 |
| XVII ტური: | კოლხეთი-ბაია | 1:0 |
| XVIII ტური: | სპარტაკი-კოლხეთი | 4:0 |

მეკარეები: გიზო შენგელია-13, ლევან გორდეზიანი-5;

მცველები: პაატა ცხვიტარია-16(2), დავით ჭითანავა-14, ალექსანდრე ინწკირველი-13, ოლეგ გველესიანი-13, მიხეილ მახვილაძე-12, გიორგი ლემონჯავა-5, ამირან გეგელია-4, ცოტნე ბუკია-4, ზურაბ ექონია-2.

ნახევარმცველები: ლაშა გვალია-17(2), ლევან გულუა-14(2), გიორგი სილაგავა-14(1), ლევან თედიაშვილი-14, ვლადიმერ ჯოჯუა-13, დათა სიჭინავა-12(3), ომარ გოგონაია-5, დავით მეგრელიშვილი-4(1), ლაშა საცერაძე-3. ალექსანდრე ქორჩილავა-2, ზვიად ჭედია-2, გიორგი დეკანოსიძე-2.

თავდამსხმელები: დავით ციცხვაია-13(2), მანუჩარ ნიქარიშვილი-12, რევაზ ჯიქია-11(1), ირაკლი მოისწრაფიშვილი-4, დავით კუკულაძე-3, შოთა გაბუნია-2, კონსტანტინე ბარამიძე-2, ლევან ქამიბაძე-1

შენიშვნა: ფეხბურთელების სტატისტიკური მონაცემები აღებულია საიტიდან www.soccerway.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემის ამბები

# ბებერი მანჩესტერელების დაბრუნება ტოტენჰემში

„ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** სენსაციური ტრანსფერისთვის ემზადება: „ევერტონიდან“ **ფილ ნევილი** გადაჰყავს. ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. ასე რომ, 33 წლის მცველის ლონდონში გადასვლას, წესით, ალარაფერი უნდა დაუდგეს წინ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოდინდელ ვარსკვლავს „ევერტონთან“ თანამშრომლობის 18 თვე აქვს დარჩენილი და ვინაიდან ახალგაზრდა ალარ არის, „დეზებიც“ ზუსტად ამდენი ხნით გაუფორმებენ ხელშეკრულებას. საერთოდ კი, ფილ ნევილს „გუდისონ პარკზე“ ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა.

რად უნდა ნევილს „ევერტონიდან“ „ტოტენჰემში“ გადასვლა? რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგის გამო. ვეტერანს უდიდეს საკლუბო შეჯიბრებაში მონაწილეობის ეს შანსიღა დარჩენია. საინტერესოა, რომ ლონდონელებმა ლივერპულელებს მის სანაცვლოდ 1,5 მილიონი ფუნტი შესთავაზეს, მაგრამ მათმა მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა**, რომელსაც ნევილის გაყიდვა არ უნდოდა, ფულზე უარი თქვა, ჯობს ფეხბურთელი ფეხბურთელში გავცვალოთო. თავიდან **დევიდ ბენტლისა** და **რომან პავლიუჩენკოზე** იყო ლაპარაკი, მაგრამ, გარემარბი ბენტლი „ბირმინგემში“ გადადის - უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება.

ფილ ნევილის გადაყვანის საქმეში რედნაპს „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე **დევიდ ლევიც** მხარს უჭერს. ნევილს ფრიად სასარგებლო თვისება აქვს: დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც. იმავდროულად მცველ-ნახევარმცველს არც მადა დაენუნება, კვირაში 50 ათას ფუნტს ითხოვს და ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ლევიმ რედნაპს მასთან კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი-ორი ფეხბურთელის გაყიდვა სთხოვა. ვის გაყიდის „სფურზის“ მწვრთნელი? ყველაზე მეტად ხორვატი **ვედრან ჩორლუკას** „ლივერპულში“ გადასვლაა მოსალოდნელი.

ამასობაში თავისებურად ვითარდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ერთი ყოფილი ვარსკვლავის, **დევიდ ბექჰემის** ამბავი - ის უკვე „ტოტენჰემის“ საწვრთნელ ცენტრში დადის, მაგრამ რისთვის? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ ამერიკაში სეზონი დასრულდა და ვეტერანი თავისუფალი დროის პრემიერლიგაში გატარებას აპირებდა, მაგრამ... 35 წლის ვარსკვლავს მისმა კლუბმა „ლოს ანჯელეს გელექსიმ“ 10 თებერვლამდე ლონდონში მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის ნება დართო. ბექჰემმა გადაწყვიტა ამით ესარგებლა და ბაზაზე მივიდა, ოღონდ პირველ დღეს რედნაპი და ფეხბურთელები არ უნახავს - გუნდს ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპის შეხვედრის შემდეგ დასვენების დღე ჰქონდა. ამიტომაც, ერთადერთი, რისი დაწერაც ინგლისურმა ტაბლოიდებმა იმ დღეს მოახერხეს ის იყო, რომ ვეტერანი ჩიგუელში შუადღისას შავი „აუდით“ მივიდა და სამოქალაქო ტანსაცმელი გამოიცვალა - „სფურზის“ სავარჯიშო ფორმა მოირგო.



როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში? კვირას „ტოტენჰემი“ ბექზის ყოფილ გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. როგორც ამბობენ, ლონდონელთა შეფებს არ გადაუწურავთ იმედი, რომ ამერიკელ კოლეგებს დაიყოლიებენ და ვარსკვლავისთვის თამაშის ნებასაც გამოსტყუებენ. ცნობისათვის: ამერიკაში ახალი სეზონი 15 მარტს იწყება.

*„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო სიტყვა ჯერ არ თქმულა“* - თქვა გუშინ დილით რედნაპმა. როგორც ჩანს, ამერიკული მხარე ფეხბურთელის ჯანმრთელობის მეტისმეტად დიდ თანხად დაზღვევას ითხოვს.

## ფულჰემის მიზანი

„ფულჰემს“ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელის **შონ რაიტ-ფილიპსის** დამატება სურს და საამისოდ 4 მილიონი ფუნტი აქვს გადადებული. შეგახსენებთ, რომ ლონდონური გუნდის მწვრთნელი **მარკ ჰიუზია**, რომელიც თავის დროზე „სიტის“ ედგა სათავეში და ინგლისის ნაკრების გარემარბი „ჩელსიდან“ ისტლენდზე 2008 წელს სწორედ მან გადაიყვანა. საიდუმლო არ არის, რომ „ფულჰემს“ ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, თუმცა, წესით, არც რაიტ-ფილიპსმა უნდა მოითხოვოს განსაკუთრებული ხელფასი. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელი „სიტის“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, რეზერვისტთა გუნდიდან კი ნაკრებში არავინ აიყვანს. ამიტომაც იმედოვნებენ „კრეივენ კოტეჯზე“, რომ თანხაზე, რომელსაც მოთამაშე ისტლენდზე იღებდა - 60 ათასი ფუნტი კვირაში - ლაპარაკიც კი არ იქნება. ხოლო „მანჩესტერ სიტი“, თავის მხრივ, ამ იანვარში რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვას აპირებს და ერთი მათგანი უეჭველად შონ რაიტ-ფილიპსია.

„ფულჰემის“ თავკაც ჰიუზს კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელის ყიდვა სურს. ეს გახლავთ ბლექბერნელი **დევიდ დანი**, რომელსაც კლუბთან, კონტრაქტის თანახმად, ჯერ კიდევ 18 თვე აკავშირებს. დანი კარგა ხანს მკურნალობდა სხვადასხვა ტრავმას, მაგრამ საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და კარგადაც ათამაშდა. ეს ამბავი ყოფილმა მწვრთნელმა, რასაკვირველია, მყისვე შეამჩნია, მაგრამ იგივე „ნიუკასლმაც“ დაინახა და 2 მილიონ ფუნტად დაფასებული ნახევარმცველის ყიდვას ისიც აპირებს.

## ტვიტერი პრემიერლიგაში ერევა

ის ამბავი, რომ „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „ბლექბერნის“ სათასო შეხვედრას საფინალო სასტვენის შემდეგ გასახდელში ჩხუბი მოჰყვა, „ლელოს“ მკითხველს კარგად მოეხსენება, მაგრამ ის კი არ გვითქვამს, რომ ლონდონური გუნდის ფეხბურთელებმა სენეგალელ **ელ ჰაჯი დიუფზე** სოციალური ქსელით იძიეს შური და ფეხბურთის ასოციაცია საგონებელში ჩააგდეს - რა უნდა მოუხერხოს „ტვიტერს“?

შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსისა“ და „ბლექბერნის“ შეხვედრაში ბლექბერნელმა **გაელ ჟივემ ჯეიმი მეკის** ფეხი მოსტეხა, დიუფი კი წაქცეულს თავზე დაადგა და აგინა - ერთი შენი და კიდევ მაგ შენი ფეხისაცაო. თამაში რომ დამთავრდა, ლონდონელი ფეხბურთელები დიუფთან ბოდიშის მოსახდელად მივიდნენ, მან კი გინების ახალი ტალღა გამოუშვა. სწორედ მაშინ ატყდა ჩხუბი.

ყველაფერი რომ ჩამთავრდა და მოთამაშეები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, „ქუინზ პარკის“ სამმა წევრმა კომპიუტერი ჩართო და დიუფს იქიდანაც გაუსწორა ანგარიში. მცველმა **ბრედლი ორმა** დაწერა: *„შე საზიზღარო და ულირსო ადამიანო ელ ჰაჯი დიუფ! ხომ იცი, რომ შენი დროც დადგება. ამას არ შეგარჩენ!“*

მეკარე **პედი კენის** გვერდზე წაიკითხავდით: *„ეს ... დიუფი ნახავს, რაც მოუვა. ყველაფერი წრეზე ბრუნავს და მაგისი დროც დადგება“.*

**კლინტ ჰილი:** *„ეს ნაგავი ნახავს, რაც გადახდება“.*

გადახდება თავხედ სენეგალელს რამე თუ არა, გამოჩნდება, ხოლო ის, რომ სოციალური ქსელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის უკვე პრობლემად იქცა, ფაქტია. ლივერპულელმა **რაიან ბაბელმა** მსაჯი **ჰოვარდ ვები** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორმაში გამოწყობილი დახატა, აქაოდა, ჩვენთან შეხვედრაში მანჩესტერელებისკენ იყოო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**




**კენი დალგლიშმა** გულწრფელად თქვა, რომ როგორც კი **როი ჰოჯსონის** შემცვლელთა შორთ-ლისტის ამბავი გაიგო და შეიტყო, რომ „ლივერპულის“ მწვრთნელობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, გადაწყვიტა შანსი ხელიდან არ გაეშვა. 59 წლის ლეგენდა, რომელიც მერსისაიდელებს 1985-91 წლებში ედგა სათავეში, ოფიციალურად სეზონის ბოლომდეა დანიშნული. მისი ხელახალი დებიუტი ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპის შეხვედრაში „ოლდ ტრეფორდზე“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ შედგა. „ლივერპული“ დამარცხდა, 0:1. დალგლიშის აზრით, შეხვედრის

ლივერპულში

# კენის დაუმთავრებელი საქმეები

შედეგი ცუდმა მსაჯობამ განაპირობა. იმავე დღეს მოხდა უპრეცედენტო რამ: „ლივერპულის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა **რაიან ბაბელმა** „ტვიტერზე“ „დაადო“ ფოტომონტაჟი, სადაც მსაჯი **ჰოვარდ ვები** მანჩესტერელთა ფორმაში გამოაწყო. ელიან, რომ ამ ინტერნეტ-ხულიგნობისთვის ფეხბურთელს დასჯიან - ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა.

„ორიგინალური“ დასაწყისის მიუხედავად დალგლიში ამბობს, რომ 20 წლის წინ „ენფილდ როუდზე“ დაუსრულებელი საქმეები დარჩა და ახლა უნდა დაასრულოს. ცნობისათვის: დღეს, ლეგენდარულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს უკვე 21-ე საუკუნის პრემიერლიგაში აქვს ნათლობა: გამოტოვებულ შეხვედრაში „ლივერპული“ „ბლექპულს“ ეთამაშება.

*„თუ კლუბის ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ დახმარება შემიძლია, ყველა ღონეს ვიხმარ. ძალიან გამიხარდება თუ გრძელვადიან კონტრაქტს შემომთავაზებენ, მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს მეტყვიან, რომ ცუდად ვმუშაობ და სჯობს წავიდე, არ შევეწინააღმდეგები. ვინმე ჩემზე უკეთ შეძლებს ამ საქმის კეთებას? კეთილი, მობრძანდეს და გადაიბაროს ყველაფერი. მე ყურადღების გამახვილებას ფეხბურთზე ვაპირებ. არც კი დავფიქრებულვარ, რა მდგომარეობაა ახლა „ლივერპულში“ და არც შორს მიმავალი გეგმების დასახვა მეხერხება“.*

ცნობილი გახდა, რომ დალგლიშის გარდა შორთლისტში იყვნენ „მარსელის“ მწვრთნელი **დიდიე დეშანი**, „პორტუს“ თავკაცი **ანდრე ვილას ბოასი**, „დორტმუნდის“ **იურგენ კლოპი** და ბოლტონელი **ოუენ კოილი**. მწვრთნელთა შერჩევას საფეხბურთო საქმეთა დირექტორი **დამიენ კომოლი** ხელმძღვანელობდა. ერთხელ, როდესაც ფრანგს ჰკითხეს, კერძოდ, როგორ სპეციალისტს ეძებდა, მან უპასუხა: *„კომპეტენტურს. ისეთს, რომელიც ჩვენი კლუბის ფილოსოფიას მოერგება. გარდა ამისა, მას ადამიანებთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს. აი, ეს სამი ფაქტორი იქნება „ლივერპულისთვის“ გადამწყვეტი. რასაკვირველია, ჩვენ განვიხილავთ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად შესაფერისი სპეციალისტის კანდიდატურას, მაგრამ პიროვნება, რომელიც ჩამოთვლილ მოთხოვნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებს, რასაკვირველია კენია“.*

დღეს, როდესაც დალგლიში უკვე საქმეშია, კომოლი ამბობს, რომ მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში ყველა მოწონებულ ფეხბურთელს მწვრთნელი შეაფასებს და მის ყიდვა-არყიდვას ბეჭედს ის დაუსვამს. განვმარტოთ: კაცი, რომელსაც კონტრაქტი მხოლოდ სეზონის ბოლომდე გაუფორმეს, წესით, არ უნდა წყვეტდეს ვინ იყიდოს კლუბმა, რადგან ის მაისის ბოლოს წავა, ხოლო ფეხბურთელი, რომელშიც მილიონებია გადახდილი, დარჩება და შესაძლოა მომდევნო თავკაცს არ მოეწონოს. მაგრამ, ვინაიდან დალგლიშს მოთამაშეების შერჩევის ნებას რთავენ, სავარაუდოდ, ზაფხულში ხელშეკრულებასაც გაუგრძელებენ.

პროფესიონალი

# ვეტერანი ნიჭიერთა გუნდიდან

**მაიკლ ოუენმა** თავისი ყოფილი კლუბი გააკრიტიკა - იქ არიან, სადაც იმსახურებენო. ალბათ, მიხვდით, „ლივერპულზეა“ ლაპარაკი. „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ 2001 წლის ლაურეატის აზრით, მერსისაიდელები მეტისმეტად არიან დამოკიდებული ორ ფეხბურთელზე, რომელთა გარეშე კარგად თამაში არ შეუძლიათ.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 31 წლის ფორვარდი ამბობს: *„ლივერპულელებს პრემიერლიგის ცხრილში ზუსტად ის ადგილი უკავიათ, მათ დღევანდელ მდგომარეობას რომ შეესაბამება. კლუბმა მეპატრონეები გამოცვალა, მიმდინარეობს გარდამავალი პერიოდი და ეს პირდაპირ აისახება მოედანზე. გარდა ამისა, გუნდს აშკარად აქვს ერთი სერიოზული პრობლემა: ძალიან არის დამოკიდებული ორ ვარსკვლავზე და როდესაც ისინი ვერ თამაშობენ, ველარაფერს ხდება“.*

დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ოუენი **სტივენ ჯერარდსა** და **ფერნანდო ტორესს** გულისხმობს. ძნელია არ დაეთანხმო, თუმცა „წითლების“ ფანებს თავიანთი ყოფილი გმირი ალარ უყვართ და მისი არც სიმართლე უნდათ და არც სიცრუე. ამის მაგალითად, თუნდაც კვირას ჩატარებული ფეხბურთის ასოციაციის მესამე ეტაპის შეხვედრა გამოდგება - „ლივერპულმა“ მანჩესტერში „იუნაიტედთან“ ითამაშა და როდესაც შეხვედრის მიწურულს მოედანზე ოუენი შევიდა, სტუმარი გუნდის ფანებმა მას ობსტრუქცია მოუწყვეს.

ლივერპულელი გულშემატკივარი ვეტერან თავდამსხმელს **ჯეიმი კარაგერისადმი** მიძღვნილ შეხვედრაზეც ცუდად შეხვდა. როდესაც გაფუჭებული ურთიერთობების შესახებ ჰკითხეს, ოუენმა უპასუხა:

*„კარაგერისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე სტვენისა და „ბუუს“ მოსმენა, რასაკვირველია, უსიამოვნო იყო, მაგრამ მე ლივერპულში ჯეიმის პატივსაცემად ჩავედი. ეს გახლდათ საქველმოქმედო შეხვედრა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ფულს ვკრებდით და ამაზე უარს ვერ ვიტყოდი. გაცილებით იოლი იქნებოდა, კარაგერისთვის თავაზიანი უარი რომ შემეთვალა და ყველაფერი ამით დამესრულებინა. გარდა ამისა, ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ „ენფილდ როუდის“ ტრიბუნებიდან მარტო აგრესია ვიგრძენი. ზოგი ტაშს მიკრავდა, ზოგიც მისტვენდა და რაც უფრო ხურდებოდა ბურთაობა, ტაშის დამკვრელთა რაოდენობაც მატულობდა. მე ლივერპულელ ფანებს პირადად რომ შევხვედროდი, დარწმუნებული ვარ, ყველასთან სასიამოვნო საუბარი მექნებოდა, მაგრამ ერთია პირადი შეხვედრა და სავსე ტრიბუნების წინ მოედანზე გასვლა - მეორე. აქ, ვერაფერს გააწყობ, დღეს მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და მთელი გულითა და სულით ამ გუნდს ვემსახურები“.*

თუმცა, ტაბლოიდები წერენ, რომ ოუენისა და „იუნაიტედის“ თანამშრომლობას დიდი დრო ალარ უწერია. ფეხბურთელისა და კლუბის კონტრაქტს ვადა მაისში გაუდის და კლუბი მის განახლებას რომ აპირებდეს, უკვე



დაიწყებდა მოლაპარაკებებს. ვაგლახ, მანჩესტერელები ჩუმად არიან. ამის მიუხედავად თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ სეზონს ჯილდოს გარეშე არ ჩაამთავრებს.

*„დიახ, ეჭვი არ მეპარება, რომ ტიტულს მოვიპოვებთ და გარწმუნებთ, „იუნაიტედის“ დანარჩენი ფეხბურთელებიც სავსებით დარწმუნებული არიან ამაში. საქმე კი ის არის, რომ ჯერ ერთი, ჩვენ ერთმანეთის ოსტატობაში არ გვეპარება ეჭვი და მეორეც, საკუთრივ გუნდისა გვწამს ძალიან. დააკვირდით: ყოველ ტურში ამა თუ იმ ნაკრების დაახლოებით ხუთი მოთამაშე ვერ ხვდება შემადგენლობაში. შემადგენლობაში კი არა, რამდენიმე სათადარიგოთა სკამზეც ვერ ხვდება. რას ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ უნიჭიერესი ფეხბურთელები თამაშობენ?“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ოქროს ბურთის ლაურეატი



# მესი: ეს იყო საოცარი სიურპრიზი

„ოქროს ბურთის" მფლობელმა **ლიონელ მესიმ** მცირე ინტერვიუ მისცა ფიფას ოფიციალურ საიტს.

**- ლიონელ, რას გრძნობთ ტრიუმფის ჟამს?**

- ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ არ ველოდი გამარჯვებას. არ ველოდი იმიტომ, რომ ირგვლივ იმდენს ლაპარაკობდნენ, ჩავი ან ანდრესი გაიმარჯვებსო, მეც დავიჯერე. ანდრესი და ჩავიც იმსახურებდნენ ამ ტიტულს, მათ ბრწყინვალე წელიწადი ჰქონდათ: მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი, რაც ხშირად საკმარისია „ოქროს ბურთის" ტიტულის მოსაპოვებლად. თანაც მათ მართლაც დიდი წვლილი მიუძღვით ესპანეთის ნაკრების გამარჯვებაში. აი, ამ მიზეზთა გამო მეგონა, რომ ერთ-ერთ მათგანს გამოიძახებდნენ პოდიუმზე და „ოქროს ბურთს" გადასცემდნენ. მოკლედ, ჩემთვის ეს იყო საოცარი სიურპრიზი.

**- რას ფიქრობთ, რას გრძნობენ ჩავი და ინიესტა ახლა?**

- არა მგონია, რომ გული დასწყდათ, ჩვენ ხომ ერთი გუნდის დიდი წარმატების შემოქმედნი ვართ და სასიხარულოა, რომ „ოქროს ბურთი" ჩვენ დაგვრჩა. ვფიქრობ, სამივე ბედნიერი ვართ.

**- თქვენ თქვით, რომ ისინიც იმსახურებდნენ გამარჯვებას, როგორ ფიქრობთ, რის გამო აჯობეთ კონკურენტებს?**

- ხალხმა, ვინც ამ გამოკითხვაში მონაწილეობდა, მე ამირჩია, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. ეს ჩემი მეორე გამარჯვებაა და ისევე მიხარია, როგორც შარშან ამ დროს მიხაროდა. ახლა ჩვენ ამ გამარჯვებას აღვნიშნავთ.

**- მუნდიალზე ასპარეზობა თქვენ ხელს გიშლიდათ ამ პრიზის მიღებაში?**

- ალბათ, კი. ცუდი მუნდიალი არ გვქონია, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ, ჩემპიონები ვერ გავხდით. ეს იყო ერთადერთი, რაც შარშანდელი სეზონიდან ცუდად დამამახსოვრდა.

**- ალბათ, უკვე მომავალი კოპა ამერიკისთვის ემზადებით?**

- არგენტინის ნაკრების უახლოესი ამოცანა ამ ტურნირის მოგებაა, ეს იქნება დიდებული ჩვენი ქვეყნისთვის, გულშემატკივრებისთვის და ჩვენთვისაც. გამარჯვება ჩვენ წინ წაგვწევს მომავალი მუნდიალისთვის ფსიქოლოგიურ მზადებაში.

**- და ალბათ თქვენც იმ კრიტიკას აგარიდებთ, რომ „ალბისელესტეს" შემადგენლობაში ნაკლებად ბრწყინავთ...**

- რა თქმა უნდა. მსურს რამე განსაკუთრებულს მივაღწიო ეროვნულ ნაკრებთან ერთად. „კოპა ამერიკა" კი კარგი სამიზნეა.

**- ვის უძღვნით პრიზს?**

- ყველა ჩემს თანაგუნდელს „ბარსელონასა" და არგენტინის ნაკრებში, ჩემს ოჯახს და ყველას, ვინც გვერდში მედგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სერია A. ტურის შეჯამება

# სიმბოლური, მატჩი, გმირი და მასხარა



ტურის მასხარა

### ტურის სიმბოლური ნაკრები

დე სანქტისი (ნაპოლი) - მაკონი (ინტერი), კანავარო (ნაპოლი), კალაძე (ჯენოა), დოსენა (ნაპოლი) - კამბიასო (ინტერი), გუბერტი (სამპდორია), დიამანტი (ბრეშა) - კავანი (ნაპოლი), დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

ძალიან სასიამოვნოა, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ქართველ ფეხბურთელ **კახა კალაძეს** ვხედავთ. „ჯენოას' უკანახაზელმა ბრწყინვალედ წარმართა „ჩეზენასთან" გასვლითი პაექრობა და იმაში, რომ გენუელებმა კარი მშრალად შეინახეს, კახას დიდი წვლილი მიუძღვის. ასე რომ, ჯერჯერობით „ჯენოას" **ანდრეა რანოკიას** დანაკლისი არ უგრძნია, რაც ქართველი მცველის დამსახურებაა. დაცვის ცენტრში კალაძეს **პაოლო კანავარომ** დაუმშვენა გვერდი, ვინაც „იუვენტუსთან" პაექრობაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. საერთოდ, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ნეაპოლელთა სიმრავლეა, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი - სამხრეთელებმა „იუვეს" ბდღვირი ადინეს და მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. სამივეს ავტორი **ედინსონ კავანია** და ბუნებრივია, მისთვისაც გამოიძებნა ადგილი სიმბოლურ გუნდში. ურუგვაელთან ერთად ეს პატივი **ანტონიო დი ნატალეს** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ხვდათ წილად.

ნახევარდაცვაში **ესტებან კამბიასოს** ვხედავთ, რომელმაც „კატანიასთან" გასვლით შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და „ინტერის" გამარჯვება განაპირობა. არადა, სიცილიელები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და რომ არა არგენტრინელის თავგამოდება, მინიმუმ ქულას მაინც აიღებდნენ. სიმბოლურშია **სტეფანო გუბერტი**, რომელმაც „სამპდორიას" მიერ „რომას" ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მეოთხეჯერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის იბრაჰიმოვიჩი და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი საუკეთესოა.

### ტურის მატჩი

სერია A-ს XIX ტურში არაერთი საინტერესო და დრამატული მატჩი გაიმართა. თუნდაც „ფიორენტინა"-"ბრეშას" დაპირისპირება ავიღოთ - სტუმრები ორბურთიანი უპირატესობით იგებდნენ, თუმცა მასპინძლებმა შეძლეს და შეხვედრის ბოლო ოც წუთში მეტოქეს სამი გოლი მიართვეს. ფლორენციელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება გამოჭედეს, „ბრეშა" კი კვლავაც სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. თუმცა, ტურის მატჩად „მილანი"-"უდინეზეს" დაპირისპირებაა მიჩნეული და სრულიად სამართლიანადაც...

ქებათა ქება „უდინეზეს", რომელმაც ჩემპიონატის ლიდერს მისსავე მოედანზე ოთხი გოლი გაუტანა. რაც ყველაზე საინტერესოა, ამდენივე გაუშვა და საბოლოო ჯამში, არასაფეხბურთო საყაიმო შედეგი, 4:4 მივიღეთ. უფრო ახლოს გამარჯვებასთან უდინელები იყვნენ, რადგან „მილანს" პრაქტიკულად მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში მოუწია ყოფნამ. ანგარიში ანტონიო დი ნატალემ გახსნა, რასაც პირველივე ტაიმში ალეშანდრე პატომ უპასუხა. მეორე ნახევარში **ალექსის სანჩესმა** დააწინაურა სტუმრები, დი ნატალემ კი უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. თითქოს გადაწყდა მატჩის ბედი, მაგრამ „მილანელებმა" გამოიდეს თავი და ეს ორბურთიანი ჩამორჩენა მალევე გაქვითეს. ჯერ საკუთარი კარი დალაშქრეს უდინელებმა, რასაც **ანტონიო კასანოს** შესანიშნავი გადაცემა და პატოს დუბლი მოჰყვა. თრილერი ამით არ დასრულებულა - ლომბარდიელები კიდევ უფრო დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაში, რათა გამარჯვების გოლი გაეტანათ, თუმცა აქეთ მიიღეს და ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ. **ჰერმან დენისის** შედეგიანი დარტყმა თითქოს შეხვედრის ბოლო აკორდი უნდა ყოფილიყო, თუმცა ზლატან იბრაჰიმოვიჩი არ დაეთანხმა მოსაზრებას - ისევ კასანოს ზუსტი გადაცემა და შვედმა კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ გაათანაბრა ანგარიში.

### ტურის გმირი

ნეაპოლს ახალი კერპი ჰყავს და მისი სახელი ედინსონ კავანია. ამ ქალაქში ძალიან უყვართ **მარეკ ჰამშიკი** და **ეზეკილ ლავეცი**, მაგრამ კავანი მაინც ყველაზე გამორჩეული და გულშემატკივართათვის საყვარელი ფიგურაა. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ურუგვაელი მთავარი შემოქმედია იმ ალმასვლის, რომელიც მიმდინარე სეზონში ამ გუნდს აქვს. გავიხსენოთ გასულ წელს „ნაპოლის" ბოლო პაექრობები და კავანის უმნიშვნელოვანესი გოლები მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე. და აი, ედინსონმა სამხრეთელთა ყველაზე საძულველი გუნდის კარში ერთბაშად სამი გოლი გაიტანა და თანაც, სამივე თამაშიდან, თავური დარტყმით. არადა, ისეთი დაცვის ცენტრი ჰყავს „იუვეს", წესით, მეორე სართულზე თამაშში არ უნდა დაჩაგრულიყვნენ: **ლეონარდო ბონუჩი** და **ჯორჯო კიელინი** ამ საქმეში თითქოს უბადლონი არიან, თუმცა კავანისთან ვერას გახდნენ. ერთი სიტყვით, ურუგვაელი ფორვარდი სრულიად დამსახურებულად გახდა ტურის გმირი.

### ტურის მასხარა

**დანიელე ბონერა** „უდინეზესთან" პაექრობაში მასხარას უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთელს. დიახ, ის, რომ „მილანმა" საკუთარ მოედანზე ოთხი გოლი გაუშვა, დიდწილად ამ ფეხბურთელის ბრალია. ბონერა დაცვის ცენტრში მოქმედებდა და უამრავი შეცდომა დაუშვა. მეორე ნახევარში უდინელებმა სამი გოლი გაუტანეს **მარკო ამელიას** და სამივე შემთხვევაში სტუმრებმა დანიელეს შეცდომით ისარგებლეს. ჯერ ალექსის სანჩესმა დაასწრო მცველს და თავით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, შემდეგ ანტონიო დი ნატალემ ჩამოიცილა ბავშვივით და უპრობლემოდ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით, ბოლოს კი ჰერმან დენისთან წააგო ორთაბრძოლა და მასაც მისცა გატანის საშუალება.

**ალესანდრო ნესტა** ასაკშია, წელის ქრონიკული ტრავმა აქვს და მეტწილად ლაზარეთში უწევს ყოფნა. **ტიაგო სილვას** ხან ბონერას გვერდით უწევს თამაში, ხან **მარიო იეპესის**, ხანაც **სოკრატის პაპასტატოპულოსის**. მთავარი კი ის არის, რომ სამივე მათგანი უამრავ შეცდომას უშვებს და არც ერთი უქმია ღმერთს. ყველაფერ ამის ფონზე, უბრალოდ, გაუგებარია, რატომ გაუშვეს კახა კალაძე „ჯენოაში"...

### ტურის ფრაზა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი):** *„გაუშვა საკუთარ მოედანზე ოთხი გოლი, არანორმალურია - გაიტანო ოთხი გოლი და ვერ მოიგო, არანორმალურია".*

**ლაშა წიკლაური**

● ტრავმა

# ლაციოს თავდამსხმელი დაემტვრა



როკი დაშავდა

2011 წელი „ლაციოსთვის" წარუმატებლად დაიწყო. რომაულმა გუნდმა გამართულ ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხა და მეორე ადგილი „ნაპოლის" გადაულოცა. იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ „ბიანკოჩელესტეს" კრიზისი დაეწყო და ტურიდან ტურამდე პოზიციების დათმობა მოუწევს. **ედუარდო რეია** ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ მისი გუნდი ერთი კვალიფიციური ფორვარდის დამატებას საჭიროებს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც **ტომაზო როკი** გამოვიდა მწყობრიდან. დიახ, ვეტერანმა ფორვარდმა ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და როგორც ექიმები ამბობენ, მინიმუმ სამ კვირას დაისვენებს.

მართალია, როკის მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა, მაგრამ თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ „ლაციომ" 2010 წელი სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე დაასრულა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომაული კლუბის მესვეურები ახალი თავდამსხმელის დამატებით არიან დაინტერესებულნი. დიდხანს საუბრობდნენ იმაზე, რომ **როკე სანტა კრუზი** უნდა გადაბარგებულიყო იტალიის დედაქალაქში, თუმცა ჯერჯერობით საქმე წინ არ მიდის. როგორც ჩანს, მხარეები ვერ თანხმდებიან და სავარაუდოდ, ტრანსფერი ჩაიშლება. ედუარდო რეია უკვე ალტერნატიულ ვარიანტზე ალაპარაკდა და **მარკო დი ვაიოს** დაადგა თვალი. ვეტერანი ფორვარდი წლებია სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობს და მიმდინარე სეზონშიც ბომბარდირთა შორის იმყოფება. ასაკის მიუხედავად, მის მიმართ არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს და მათ შორის გახლავთ „ლაციოც". თავად ფეხბურთელი „ბოლონიადან" წასვლას არ ჩქარობს და მეტიც, ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. თუმცა, ჯერ ყველაფერი არ არის გადაწყვეტილი - „ლაციოს" მესვეურები ბოლონიელებს ოფიციალურ შეთავაზებას უმზადებენ და ვნახოთ, შესაძლოა ამან ვითარება არსებითად შეცვალოს.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიო ბასლერის სვეტი

# სპეცრაზმის დაცვით, გელზენკირხენისკენ...

## თურმე როგორ ცდებოდა სუპერმარიო დორტმუნდის შემთხვევაში

მარიო ბასლერი, გაზეთი „ბილდი“

თუკი საფეხბურთო გერმანიაში ვინმეზე შეიძლება ითქვას, მანიპულირებულ მატჩებთან შეხება არ აქვსო, პირველ რიგში ჩემზე, რადგან სეზონის წინ დიდი სისულელე მითქვამს. თუ გახსოვთ, ვამტკიცებდი, „შალკე“ გერმანიის ჩემპიონი გახდება-მეთქი...

თუმცა, თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მიზნისთვის დიდად არ ამიცილებია: სულ რაღაც 36 კილომეტრით შევცდი - გელზენკირხენიდან დორტმუნდამდე ხომ სწორედ 36 კილომეტრია. ახლა უკვე თამამად შემიძლია ფსონის ჩამოსვლაზე იმაზე, რომ გერმანიის ჩემპიონი, ყველასათვის მოულოდნელად, მაგრამ აბსოლუტურად დამსახურებულად, „ბორუსია“ გახდება. ამით ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ იმას ხომ ნაღდად ჯობია, რაც ზაფხულში ვთქვი, როცა „შალკეს“ ჩემპიონობა ვიწინასწარმეტყველე.

ცხადია, მიუნხენის „ბაიერნი“ მეორე წრეში ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ „ვერცხლის სინი“ შეინარჩუნოს და „დორტმუნდს“ ბევრჯერ მოუშლის ნერვებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მიუნხენელები ველარაფერს გახდებიან. „ბორუსიას“ უბრალოდ უკეთესი გუნდი ჰყავს, „ბორუსია“ უფრო ახალგაზრდული და შემართული, ძალიან მონდომებული გუნდია და ყველაფერთან ერთად, დღეს დორტმუნდში უფრო დულს ემოციები, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქალაქში, მათ შორის, მიუნხენშიც.

თუნდაც მხოლოდ **კევინ გროსკროიტცის** მაგალითის მოყვანა რად ღირს. დორტმუნდელთა ახალგაზრდა გარემარბს ტელევიზორში რომ ვუყურებ ხოლმე, ისე უაზროდ ლაპარაკობს, რომ წარმოუდგენელია, ოდესმე ჭადრაკი ჰქონდეს ნათამაშები, მაგრამ ჩემთვის ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გროსკროიტცი ძალიან გულახდილი ტიპია. საბოლოო ჯამში კი, ფეხბურთელის არასპორტულ ასპექტში შეფასებისას ყველაზე მთავარი კრიტერიუმი სწორედ მისი გულახდილობაა - ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ბუნდესლიგაში ყველა მოთამაშე კევინისნაირი გულახდილი რომ იყოს, გერმანიის ჩემპიონატი ასჯერ მეტ სიამოვნებას მოგვანიჭებდა.

ვაღიარებ, რომ კევინ გროსკროიტცის ფანი ვარ. ის არა მარტო ბუნდესლიგის ყველაზე გულახდილი ფეხბურთელია, არამედ ყველაზე ნაკლებად აქვს ტვინი დაბინძურებული და ყველაზე მეტად უნდა ფეხბურთის თამაში. თავს დავდებ, რომ ასეა! ეს არის ბიჭი, რომელიც ბავშვობაში ჯიბის ფულს მთლიანად იმაში იხდიდა, რომ დორტმუნდის თამაშებს დასწრებოდა. მაშინ კევინი „ვესტფალენშტადიონის“ სამხრეთ ტრიბუნაზე იჯდა, დღეს კი თვითონ თამაშობს მისთვის უსაყვარლეს კლუბში. ჩემი აზრით, დორტმუნდელთაგან „ვერცხლის სინს“ ყველაზე მეტად გროსკროიტცი იმსახურებს.

მოკლედ, შევთანხმდით, რომ გერმანიის ჩემპიონი „ბორუსია“ გახდება. არა მგონია, რომ „დორტმუნდს“ სერიოზული პრობლემები შეექმნას. საინტერესო ისაა, როგორ წარიმართება საჩემპიონო ზეიმი დორტმუნდში. საქმე იმაშია, რომ კაცი, ვინც „ბორუსიას“ „ვერცხლის სინი“ უნდა გადასცეს, გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალია**, რომელიც იმავდროულად, „დორტმუნდის“ პრეზიდენტიც გახლავთ...

კიდევ ერთი კომიკური საკითხი: რაუბალმა „ვერცხლის სინი“ „ბორუსიას“ კაპიტანს უნდა გადასცეს. დორტმუნდელთა გუნდის თავი კი **სებასტიან კელია** - ფეხბურთელი, რომელსაც მართლა დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მხოლოდ როგორც პიროვნებას... კელს გერმანიის ნაკრებშიც უთამაშია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ბუნდესმწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** იყო, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა. ამ შემთხვევაში კი მთავარი და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კელი მთელი სეზონი ტრავმირებულია და გადაბმულად ორი თამაშიც კი არ აქვს ჩატარებული. „ბორუსია“ კელის გარეშე ხდება გერმანიის ჩემპიონი და „ვერცხლის სინი“ კი მაინც სებასტიანმა უნდა აწიოს - თითქოს მთელი სეზონის განმავლობაში თავს იკლავდა ჩემპიონობისთვის ბრძოლით. იმედს ვიტოვებ, რომ გროსკროიტცი და სხვები კელს „ვერცხლის სინს“ მალე წაართმევენ და გერმანიის სპეცრაზმის ყველაზე მაგარი ასეულის დაცვით, გელზენკირხენისკენ აიღებენ გეზს, სადაც მაგრად იზეიმებენ...

ზოგადად კი, არა მარტო გროსკროიტცი, არამედ „ბორუსიას“ მთელი გუნდი აღმაფრთოვანებს. **შაჰინები, კაგავები, გიოტცეები, ბარიოსები, ბენდერები, ჰუმელსები, სუბოტიჩები, შმელცერები** - ღმერთო, როგორ ვცდებოდი ამ გუნდის შემთხვევაში. ზაფხულში ვფიქრობდი, რომ დორტმუნდელები მაქსიმუმ სამეულში მოსახვედრად იბრძოლებდნენ და საბოლოო ჯამში ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც კი ვერ მოიპოვებდნენ. ახლა კი ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ BVB 2002 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს ევროპის ელიტურ საკლუბო ტურნირზე. ქუდს ვიხრი გუნდის ბოსის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** წინაშეც. ხომ იცით, ეს კაცი „დორტმუნდის“ მთავარი შეფია და მას დორტმუნდის კანცლერსაც ეძახიან. სხვათა შორის, ერთხელაც არ გამოუთქვამს პროტესტი ამის გამო.



ახლა გაგიმხელთ, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა „ბორუსია“ ძალიან მაგრად გავაკრიტიკე, ვატცკემ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ცხადია, არ ვიტყვი, რაზე ვისაუბრეთ, ეს საიდუმლოა, ის კი მინდა ვთქვა, რომ ძალიან კაცური საუბარი გამოგვივიდა. მას მერე ვატცკეს დიდ პატივს ვცემ. 2003-2004 წლებში „დორტმუნდი“ გაკოტრების პირას იყო მისული, რადგან წინამორბედი ხელმძღვანელები საშინლად მუშაობდნენ, ბოსების ახალმა გუნდმა კი ყველაფერი დაალაგა.

პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ შესანიშნავი სეზონის შემდეგ, ჰუმელსებს, სუბოტიჩებს და სხვებს ინგლისური და ესპანური კლუბები იდეალური წინადადებებით მიმართავენ და მერე უკვე ყველაფერი მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპზე** იქნება დამოკიდებული. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: კლოპს გუნდის მოტივირება შეუძლია. იურგენი ამას ყოველ უქმეზე ამტკიცებს. კლოპი ცოტა გიჟია და ეს „დორტმუნდს“ უხდება კიდეც - დორტმუნდიც ხომ გაგიჟებულია ფეხბურთზე. თუ იურგენი გერმანიის ჩემპიონი გახდება, მერე მართლა ძალიან ძნელი იქნება მისი გაკონტროლება...



ბრაზილიელმა ლუის გუსტავომ შეიძლება გერმანიის ნაკრებში ითამაშოს

გერმანიის ნაკრები

# ლუის გუსტავო ბუნდესგუნდში?

## გერმანელები ბრაზილიელი საყრდენის ნატურალიზებაზე დაფიქრდნენ

23 წლის **ლუის გუსტავოს** ერთი ოცნება უკვე აუსრულდა - ბრაზილიელი ნახევარმცველი „ჰოფენჰაიმიდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, სადაც მას ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნიჭიერ საყრდენს სულ მალე მეორე ოცნებაც აუხდება: „ბილდის“ ინფორმაციით, გერმანიის საფეხბურთო კავშირში ლუის გუსტავოს ნატურალიზებაზე სერიოზულად ფიქრობენ და დიდი შანსია, რომ მან მალე გერმანიის ნაკრების ფორმა მოირგოს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ლუის გუსტავომ რამდენიმე კვირის წინ გულახდილად თქვა, გერმანიის ნაკრებში თამაშზე უარს არ ვიტყოდიო. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ბოსებს კი ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელის იდეა საკმაოდ მოეწონათ. აი, რას ამბობს ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** „ბილდისთვის“ მიცემულ კომენტარში: *„იდეა თავისთავად ძალიან საინტერესოა. შესაბამისად, ისღა დაგვრჩენია, რომ გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელებმა ბრაზილიელის თაობაზე ერთმანეთში მოვილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ, რამდენად საჭიროა ის ბუნდესნაკრებისთვის. ის ფაქტი, რომ მიუნხენის „ბაიერნმა“ მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადა, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ გუსტავო ძალიან კარგი, პერსპექტიული ფეხბურთელია.“*

დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერს**: *„ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც იტყვის, რომ გერმანიის ნაკრებში თამაში უნდა, დასაფასებელია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ლუის გუსტავომ სწრაფად მიიღოს გერმანიის მოქალაქეობა. ახლა მთავარია, რას იტყვის, ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი. ფაქტია, ლუის გუსტავოს სიამოვნებით მივცემთ იმის შანსს, რომ გერმანიის ნაკრებში ითამაშოს.“*

ზოგადად, გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია, რომ პიროვნებას გერმანიაში მინიმუმ რვა წელი ჰქონდეს ნაცხოვრები, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც და საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია ლუის გუსტავოს შემთხვევაში ასეთი გამონაკლისის დაშვება.

*„უნდა გავარკვიოთ, რამდენად იდენტიფიცირებულია ლუის გუსტავო გერმანიასთან. ხომ არ ცდილობს სპორტული შესაძლებლობების გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად გამოყენებას,“* - ეს ბირჰოფის სიტყვებია. ასეთივე აზრი აქვს ცვანციგერსაც.

ფაქტი ერთია: ლუის გუსტავო მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობაზე ოცნებობს. როგორც იცით, მუნდიალი 2014 წელს მის სამშობლოში, ბრაზილიაში გაიმართება. ფაქტია ისიც, რომ „ბაიერნში“ გადასულ ნიჭიერ საყრდენს ბრაზილიელები ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ - გუსტავო „სელესაოს“ გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი არ განიხილება. იქნებ ამიტომაც სურს მას გერმანიის ნაკრებში თამაში? იქნებ, ზემოთ მოყვანილი განცხადებით მას ბრაზილიელების ყურადღების მიქცევა უნდა? სწორედ ამ დეტალების გარკვევა სურს ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირს. ბირჰოფის თქმით, თუ ლუის გუსტავოს თემა აქტუალური გახდა და კონკრეტული მიზნები დაისახება, ბუნდესგუნდის ხელმძღვანელები ფეხბურთელს და „ბაიერნის“ ბოსებს დაელაპარაკებიან.

აქვე გავიხსენოთ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ადრე მიიღეს გერმანიის მოქალაქეობა. პირველები ლუის გუსტავოს თანამემამულე **რობერტო პაულო რინკი** (13 მატჩი ბუნდესგუნდში) და სამხრეთ აფრიკელი **შონ დანდი** (არცერთი თამაში გერმანიის ნაკრებში) იყვნენ, რომლებმაც გერმანიის მოქალაქეობა ნაკრებში თამაშის მიზნით 90-იანი წლების მეორე ნახევარში მიიღეს. მაშინ ბუნდესგუნდს წინა ხაზში საკმაოდ უჭირდა. თუმცა ვერც რინკმა და მით უმეტეს, ვერც დანდიმ იმედები ვერ გაამართლეს. ბრაზილიელმა **კაკაუმ**, რომელიც გერმანიის ნაკრების ღირსებას დღესაც იცავს, გერმანიის მოქალაქეობა მანამდე მიიღო, სანამ ის ბუნდესგუნდისთვის აქტუალური თემა გახდებოდა. თურქი **მესუთ იოზილი**, განელი **ჟერომ ბოატენგი** და პოლონელები, **მიროსლავ კლოზე** და **ლუკას პოდოლსკი** კი გერმანიაში არიან გაზრდილები...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეგიონის პასიანსი: 141 ქართველის ამბავი




**ვინ** გაიტანა ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე მეტი გოლი 2010 წელს? რომელმა ჩვენებურმა მოირგო შარშან ერთბაშად სამი უცხოური კლუბის მაისურა? ვინ იყო ყველაზე სკანდალური, სტაბილური, ვისი კარიერა წავიდა აღმა და ვისი არა. ამ და სხვა კითხვებზე ამომწურავ პასუხს ქართული ლეგიონის წლის მიმოხილვიდან მიიღებთ. ქართულ მედიაში მსგავსი პროექტი არ გვახსენდება, ამიტომაც მცირე უზუსტობებისგან დაზღვეულნი არ ვართ. საერთო ჯამში, ჩვენ ხომ ასამდე ინტერნეტრესურსი გამოვიყენეთ. აქვე ვიტყვით, რომ ლეგიონერების გარჯას მხოლოდ ჩემპიონატში, ქვეყნის თასსა და ევროთასებზე ალვნუსხავთ, სხვა სახის ტურნირები კი არ ჩაგვითვლია. ლეგიონერები კი, ჩვენი აზრით, ყველაზე ობიექტური პრინციპით დავახარისხეთ - უეფას საკლუბო კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით. მაშ ასე, როგორი იყო 2010 წელი ქართველი ჯვაროსნებისთვის?

**ზურაბ ხიზანიშვილი** 2010 წელს „ბლექბერნში" შეხვდა. ზურაბი ჩემპიონშიპის ერთ-ერთ ლიდერ „ნიუკასლისიდან" დაბრუნდა. 2 იანვარს ქართველმა მცველმა თასზე „ასტონ ვილასთან" მატჩის მეორე ტაიმი ითამაშა და... რამდენიმე დღეში ის ჩემპიონშიპის მეორე კლუბში, „რედინგში" გაანათხოვრეს.

„რედინგში" მისი დებიუტი „დონკასტერთან" 6 თებერვალს შედგა. სეზონის ბოლომდე მან 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა, „რედინგმა" კი ცხრილის შუაში დაასრულა ასპარეზობა. თითქოს აეწყო საქმე, კლუბმა ხიზანიშვილთან ურთიერთობის გაგრძელებაც ისურვა, ზაფხულის სატრანსფერო სეზონის ბოლოს ჩვენებურმა მაინც დაალწია „ბლექბერნს" თავი და ისევ „რედინგში" გადაბარგდა, რომელმაც სეზონი ქართველის გარეშე დაიწყო. ხიზანიშვილის ხელახალი დებიუტი 25 სექტემბერს „ბარნსლისთან" მატჩში შედგა, რომელიც მისმა გუნდმა 3:0 მოიგო. წლის ბოლომდე ზურაბმა 10-ჯერ შეუცვლელად ითამაშა „რედინგის" შემადგენლობაში. მაგრამ ნოემბერში ქართველმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და იმის შემდეგ ერთხელაც არ უთამაშია. საერთო ჯამში, ჩვენებურმა 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა 2010 წელს საკლუბო ასპარეზზე გოლი არ გაუტანია, საგოლე პასი არ გაუკეთებია, ამ შეხვედრებში კარში ზუსტად ერთხელ დაარტყა, სამაგიეროდ ერთხელ გააძევეს და 5-ჯერ გააფრთხილეს.

უეფას კოეფიციენტის მიხედვით, რეიტინგით მესამეადგილოსანი გერმანიაა. იანვარში 2010 წელს სამი ქართველი შეხვდა ბუნდესლიგის ფეხბურთელის სტატუსით: **ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია და დავით თარგამაძე**. თამაშობდა მარტო კობიაშვილი და მისით დავიწყოთ...

**ფელიქს მაგათი** ვეტერან ქართველს შეელია და 1 იანვრიდან კობიმ „ჰერტას" ფორმა მოირგო, ბერლინური კლუბი თითქმის უიმედო მდგომარეობაში იყო. 16 იანვარს კობიაშვილის 4-თვიანი უთამაშებლობა დასრულდა, მას „ჰანოვერთან" საგარეო მატჩში „ჰერტაში" დებიუტი ჰქონდა. ყველაფერი დამაიმედებლად დაიწყო, „ჰერტამ" 3:0 მოიგო, კობიაშვილმა კი „კიკერისგან" კარგი შეფასება (3) დაიმსახურა. ლევანმა სეზონის ბოლომდე 16 მატჩი ითამაშა შეუცვლელად, ჰქონდა გამონათებებიც (მაგალითად, „შტუტგარტთან" საშინაო მატჩში), მაგრამ გუნდს ვერ უშველა და მასთან ერთად ბუნდესლიგას (სულ 305 მატჩი - საამაყო შედეგი) დაემშვიდობა.

ახალი სეზონიდან კობიაშვილი II ბუნდესლიგას დაუბრუნდა, საიდანაც ის დიდი ხნის წინათ ალზევდა ბუნდესლიგაში. ახალ სეზონში ლევანმა „ჰერტას" 17-ვე მატჩში სასტარტოში ითამაშა და ის მხოლოდ ერთხელ შეცვალეს. 12 დეკემბერს ქართველმა ბერლინურ გუნდში პირველი გოლი გაიტანა, „აუეს" კარში პენალტი შეაგდო. ამის გარდა მის ანგარიშზე 1 საგოლე პასიცაა, „კიკერმა" მისი თამაში 2-ჯერ შეაფასა 2,5 ბალით. გერმანიის თასზე ლევანმა 2 შეხვედრა ჩაატარა.

ლევან ყენია მაგათთან „შალკეში" დარჩა, მაგრამ ტრავმამ ლევანს თამაშის საშუალება საერთოდ არ მისცა. მოკლედ, არც ერთი შეხვედრა 2010 წელს. დავით თარგამაძე კი ირიცხებოდა „ფრაიბურგში", მაგრამ 2010 წელს ერთხელაც არ მოხვედრილა მატჩის განაცხადში, შემოდგომით კი მან კარიერა უკრაინის პერშა ლიგაში განაგრძო.

2010 წლის დასაწყისში 3 ქართველი II ბუნდესლიგაშიც ირიცხებოდა: **ალექსანდრე იაშვილი, მათე ღვინიანიძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი**. იაშვილი ერთი წლით ადრე ჩაჰყვა თავის კლუბს II ბუნდესლიგაში, ვიდრე კობიაშვილი. ალექსანდრემ ახალ წელს პირველი მატჩი თებერვალში ითამაშა (მანამდე ტრავმა ჰქონდა) და ლამის მარტომ მოუგო ღვინიანიძის „მიუნხენს" (გოლი და საგოლე პასი, 2-იანი და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული „კიკერისგან"). მაგრამ სეზონი ვერც მან და ვერც მისმა გუნდმა განაგრძეს ასეთ ნოტზე - სეზონის ბოლომდე მან 12 მატჩი ითამაშა, მაგრამ გოლი მეტი ველარ გაიტანა (საგოლე პასს კიდევ ერთი დაამატა). იაშვილმა ქვეყნის თასზე ორი შეხვედრაც მიითვალა.

ახალ სეზონში ჩვენებურის ანგარიშზეა 16 თამაშში გატანილი 4 გოლი და 5 საგოლე პასი, არცთუ ურიგო შედეგი უკანდახეული 33 წლის ფორვარდისათვის. ყველაზე საოცარი მატჩი ალექსანდრემ 13 სექტემბერს ჩაატარა, როცა „კარლსრუე" 5:5 ეთამაშა „ენერგის". იაშვილს „კიკერმა" უმაღლესი შეფასება - 1 - დაუწერა (გოლი და საგოლე პასი). ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა, როცა გერმანიაში ქართველ ფეხბურთელს „კიკერმა" უმაღლესი შეფასება მიანიჭა.

2010 წელს სულ უფრო უკან მიდიოდა მათე ღვინიანიძის საქმეები „მიუნხენში", ტრავმები და დისციპლინური პრობლემები მუდამ თან სდევდნენ ჩვენებურს. შეიძლება ითქვას, მათე წლის ყველაზე სკანდალური ლეგიონერია. მაგრამ წლის პირველი ნახევარი მათემ სტაბილურად ითამაშა და „მიუნხენის" 17 თამაშიდან 15-ში მიიღო მონაწილეობა. ჩვენებურს „კიკერმა" ორჯერ 2,5 ბალიც დაუწერა. პრობლემები დაიწყო ახალ სეზონში, რომელშიც მათემ სულ 4-ჯერ მოირგო ბავარიელთა ფორმა, ერთხელ კი თასზე ითამაშა. ოთარ ხიზანეიშვილმა „აუგსბურგში" სულ ერთხელ ითამაშა, ზაფხულში კი „ანჟის" ფეხბურთელი გახდა.

რეიტინგით შემდეგი ჩემპიონატია სერია ა, სადაც 2010 წელი ერთ-ერთი ქართველისთვის სკანდალით დაიწყო. ახალ წელს **ლევან მჭედლიძე** აღარ გამოცხადდა „პალერმოში", სადაც „ემპოლიდან" იჯარით იმყოფებოდა და კლუბმა მას არც სხვაგან გადასვლის საშუალება მისცა და არც თავისთან ათამაშა. რადგან მჭედლიძით დავიწყეთ, მივყვეთ ბოლომდე. ახალი სეზონიდან მან „ემპოლის" მაისურა მოირგო სერია ბ-ში. ლევანმა 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, აქედან 4-ჯერ სასტარტოში. გოლი ვერ გაიტანა, მის ანგარიშზე ორი საგოლე პასია. მან ერთხელ ითამაშა იტალიის თასზე.

ჩვენი უპირველესი წარმომადგენელი იტალიაში ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძეა**. კახამ წელიწადი „მილანში" დაიწყო და „ჯენოაში" დაასრულა. „მილანში" ჩვენებურს აღარ ათამაშებდნენ, ასე რომ, მას წლის პირველი ნახევარი მთლიანად გაუცდა, თუ არ ჩავთვლით ორ შეხვედრას იტალიის თასზე. 12 სექტემბერს მას „კიევოსთან" მატჩში გენუელთა შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა. ჯამში კახამ წლეულს სერია A-ში 7 შეხვედრა ჩაატარა. ძალიან ცოტაა, მაგრამ სულ არაფერს სჯობს.

გადავიდეთ საფრანგეთზე, 2010 წელს ლიგა 1-ის გუნდი „ლე მანი" ორი ქართველით შეხვდა: **გიორგი მაკარიძით** და **ამირან სანაიათი**. სეზონის მეორე ნახევარში „ლე მანი" ისე გავარდა, მაკარიძე აღარ გამოჩენილა, რაც შეეხება სანაიას, მან ფრანგული კარიერა ისე დაასრულა კლუბის ძირითად გუნდში ერთხელაც არ უთამაშია. ახალ სეზონში ლიგა 2-შიც არ მიეცა მაკარიძეს თავის გამოჩენის შანსი - 0 მატჩი 2010 წელს.

რუსეთში წელი სეზონს ემთხვევა, ეს კი ერთი-ორად გაგვიადვილებს ლეგიონერთა შეფასებებს. ბრაზილიელების (22 ფეხბურთელი) და სერბების (18) მერე ყველაზე მეტი ლეგიონერი 2010 წლის რუსულ პრემიერლიგას ქართველი ჰყავდა - 15 (ზოგიერთ მათგანს რუსეთის მოქალაქეობა აქვს).

ყველაზე „ქართულ გუნდად" მაინც „ანჟის" მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ **ომარ თეთრაძის** გუნდის ქართული ხერხემალი პრემიერლიგაში ალზევების შემდეგ დაიშალა, ყველაზე მეტმა ჩვენებურმა სწორედ მახაჭყალელთა რიგებში ითამაშა - 7-მა.

კარში იდგა 23 წლის **ნუკრი რევიშვილი**, ვისთვისაც 2010 წელი უთამაშებლობისგან თავის დაღწევის და ეროვნულ გუნდში დამკვიდრების წელი გახდა. „რუბინიდან" კავკასიაში გადმოსულმა რევიშვილმა 30 ტურიდან 14-ში დაიცვა „ანჟის" კარი. ასევე „რუბინიდან" იჯარით აგვისტომდე ითამაშა „ანჟიში" **დავით კვირკველიამ**. 30 წლის მარცხენა მცველმა 13 შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ შემდეგ ის ყაზანურმა კლუბმა დაიბრუნა. საკლუბო დონეზე კვირკველიას 30 ივლისის შემდეგ არ უთამაშია. კვირკველია წავიდა და რამდენიმე დღეში „ანჟიში" **ოთარ ხიზანეიშვილი** გამოჩნდა. გერმანიიდან გადმოსულმა ქართველმა 8 შეხვედრა ითამაშა (აქედან 6 სასტარტოში). ხიზანეიშვილი უმთავრესად ცენტრალურ მცველად თამაშობდა, თუმცა ერთხელ ძალები მარჯვენა მცველადაც მოსინჯა.

წინა წლის „ანჟიდან" გუნდში ნახევარმცველები **ზურაბ არზიანი** და **გოჩა ხოჯავა** (დროებით) დარჩნენ. ყოფილი დინამოელი **მალხაზ არზიანის** ვაჟი რუსეთის მოქალაქეა, მან 11-ჯერ ითამაშა პრემიერლიგაში (5-ჯერ სასტარტოში). გოჩა ხოჯავა საზაფხულო სატრანსფერო პერიოდში ნიჟნი ნოვგოროდში გადავიდა. 25 წლის შემტევმა ნახევარმცველმა პრემიერლიგაში 9 მატჩი ითამაშა, გოლი არ გაუტანია.

22 წლის **რევაზ ბარაბაძისა** და 18 წლის **გიორგი ილურიძის** წვლილი „ანჟის" წარმატება-წარუმატებლობაში მცირეა - ბარაბაძემ 2 შეხვედრაში ითამაშა, ილურიძემ - 5-ში.

წელიწადი სამმა ქართველმა დაიწყო ნალჩიკის „სპარტაკში". **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ზაფხულში კლუბი შეიცვალა, თურქულ „კაისერისპორში" გადავიდა. ამისულაშვილი სტაბილური მცველია, რომელმაც, როგორც იქნა, ეროვნულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, თურქეთში გადასვლამდე მან 11 მატჩი ითამაშა და 1 გოლი (პენალტით) გაიტანა.

ნალჩიკელთა წარმატებაში (მე-6 ადგილი) დიდი წვლილი მიუძღვის მის ერთ-ერთ ლიდერ **გოგიტა გოგუას**, გროზნოს „ტერეკიდან" დაბრუნდა ნალჩიკში, თუმცა წლის ბოლოს „ვოლგაში" გადავიდა. ასეთი ნაყოფიერი წელი გოგუას არ ჰქონია - 26 მატჩში მან 3 გოლი გაიტანა, ერთხელაც საგოლე პასის ავტორი გახდა. ის სეზონში 8-ჯერ გააფრთხილეს (ეს რეკორდია მის კარიერაში), მაგრამ არც ერთხელ არ გაუძევებიათ (რაც ლეგიონერია ასეთი სეზონი არ ჰქონია). 21 სასტარტო დაწყებიდან 20-ჯერ გოგუამ მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა. 2010 წელი **დავით სირაძემ** 26 მატჩში 3 გოლი გაიტანა (ერთიც საგოლე პასი მის ანგარიშზე). სირაძემ 19 მატჩში დაიწყო და აქედან 16-ში ფორვარდად ითამაშა, 3-ში კი შემტევ ნახევარმცველად.

უკვე რამდენი დავწერეთ რუსულ პრემიერლიგაზე და ქართული ფეხბურთის იმედი **ჯანო ანანიძე** ჯერ არ გვიხსენებია. ჯანო მე-2 სეზონს ატარებდა მოსკოვის „სპარტაკში". საერთო ჯამში, 18 წლის ქართველის ანგარიშზე 23 მატჩია პრემიერლიგაში (12 სასტარტოში), მან 2 გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. **ვალერი კარპინმა** ანანიძე 6-ჯერ ათამაშა მარცხენა ნახევარმცველად, ერთხელ - ცენტრში და 5-ჯერ ფორვარდად. დაბოლოს, ჯანო ყველაზე ახალგაზრდა ქართველია, ვისაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უთამაშია, მან 2 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ერთხელ თვით „ჩელსის" წინააღმდეგ. 2010 წელს **მალხაზ ასათიანი** მოსკოვის „ლოკომოტივს" გამოეთხოვა, მისთვის ბოლო სეზონში მალხაზმა 22 მატჩში ითამაშა (19 სასტარტოში), 3 ჯერ ყვითელი ბარათი მიიღო და ერთხელ გააძევეს. ასათიანმა ერთხელ ცენტრალური ნახევარმცველობაც გაიხსენა, სხვა მხრივ კი სულ დაცვის ცენტრში იყო. მან ევროპის ლიგის ერთ შეხვედრაშიც ითამაშა. ამ სეზონში ყაზანის „რუბინმა" ჩემპიონობა დათმო. გუნდში ქართველები კი ირიცხებოდნენ, მაგრამ თამაშობდა მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე**. 29 წლის მცველმა მესამე ადგილზე გასულ გუნდში სულ 10 შეხვედრაში ითამაშა (ზუსტად ამდენი ითამაშა მან 2009 წლის სეზონშიც). 9 სტარტიდან ჩვენებურმა 5 მარჯვენა ფლანგზე გაატარა, 4 დაცვის ცენტრში. ამის გარდა ლაშას მხრებზე 1 მატჩი რუსეთის სუპერთასზე, 4 შეხვედრა ევროპის ლიგის შარშანდელ გათამაშებაში და 3 ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში. დაგვრჩა **ლევან გვაზავა**, რომელმაც მე-11 ადგილზე გასულ „ტერეკში" 19 მატჩი (8 სასტარტოში) ითამაშა, 1 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასიც შეასრულა. ყველაზე ხშირად ის ნახევარდაცვის შუაში თამაშობდა, თუმცა ერთხელ მარჯვენა ნახევარმცველობაც სცადა.

უეფას კოეფიციენტთა ცხრილში შემდეგი უკრაინული პრემიერლიგაა. აქ კი უკვე ორ ეტაპად უნდა გავყოთ ქართველ ლეგიონერთა ასპარეზობა, წინა სეზონის მეორე ნახევარი და ახალი სეზონის პირველი ნაწილი. 2009/10 წლების სეზონში 11 ჩვენებური იყო პრემიერლიგაში, მაგრამ შარშან 4 მათგანს (**ლაშა ჯაკობია, გიორგი ციმაკურიძე, ვახტანგ ფანცხავა** და **ლადო ბურდული**) აღარ უთამაშია. დარჩენილი შვიდეულის მიღწევას კი ვერ ვუწოდებთ შესანიშნავს - „ტავრიას" ვიცე-კაპიტანმა **ვასილ გიგიაძემ** 13 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გოლი ვერ გაიტანა, „დნიპროს" **უჩა ლობჟანიძემ** მარტში პირველად მოირგო ლეგიონერის მანტია, სულ 9 მატჩში 1 საგოლე პასი გააკეთა. **სანდრო გურულმა** „კარპატიში" 14 თამაშში 3 საგოლე პასი გააკეთა, ახალმა ლეგიონერმა **გიორგი გაბედავამ** „ილიჩივეცში" 12 მატჩში 1 გოლი გაიტანა, **სანდრო კობახიძემ** „კრივბასში" იჯარით ითამაშა და 13 თამაშში მიიღო მონაწილეობა (2 საგოლე პასი), **ირაკლი მოდებაძემ** სულ ხუთ მატჩში ითამაშა „მეტალურგის" რიგებში და სულ შეცვლაზე, **ჯაბა კანკავას** (დნიპრო) კი ტრავმის გამო არ უთამაშია არც ერთი შეხვედრა.

ქართულ ლეგიონს უკრაინაში არც ახალ სეზონში აქვს წარმატებები, ჩვენებურთა რიცხვი 8-მდე შემცირდა, ვიხილეთ ორი ახალი სახე უკრაინული ლიგისთვის. ერთ-ერთი **ბექა გოცირიძეა**, რომელსაც, რომ არა ავარია, 2009 წლის ზამთარშივე უნდა ჰქონოდა დებიუტი „დნიპროში", 2010-ის ივლისში ის „კრივბასში" თამაშობდა, ბექას ანგარიშზე 4 მატჩია (მხოლოდ ერთი სასტარტოში). მეორე ახალწვეული უკრაინული ლიგისთვის **დიმიტრი ტატანაშვილია**, რომელიც ჩეხეთიდან გადავიდა ზაპოროჟიეს „მეტალურგში", მაგრამ ვერც აქ გაამართლა - 10 თამაშში (8 სასტარტოში) 1 გოლი და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა. ტატანაშვილზე წერას აქ არ დავასრულებთ, მას კიდევ ერთხელ ჩეხეთში ვახსენებთ.

ვასილ გიგიაძემ ახალ სეზონში 16 მატჩში (6 სასტარტოში) 1 საგოლე პასი გააკეთა, ვასომ ითამაშა 1 მატჩი ევროპის ლიგაში და 1 უკრაინის სუპერთასზე. უკრაინის ჩემპიონატში გიგიაძეს არ გაუტანია 2009 წლის დეკემბერის შემდეგ.

სხვა ქართველთა სტატისტიკა ახალ სეზონში: უჩა ლობჟანიძე (დნიპრო) - 14 თამაში (13 სასტარტო), 1 საგოლე პასი; გიორგი გაბედავა (ილიჩივეცი) - 4 თამაში (არც ერთი სასტარტო); სანდრო გურული (კარპატი) - 12 თამაში (7 სასტარტო), 1 საგოლე პასი, 4 მატჩი ევროპის ლიგაზე; სანდრო კობახიძე (კრივბასი) - 1 თამაში.

შემდეგი გაჩერებაა ჰოლანდიური ერედივიზიე, რომელსაც უკრაინულ ლიგაზე მცირე რეიტინგი აქვს. ეს ჩემპიონატი ჩვენთვის აგვისტოდან გახდა საინტერესო, რაც არნემის „ვიტესის" პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** გახდა. მანამდე ქართველებს კარგა ხანია აქ არ ეთამაშათ. „ვიტესი" ჯერჯერობით მხოლოდ მე-15 ადგილზეა, ლიგაში კი ჯერჯერობით (რადგან მალე გიორგი ჭანტურიაც დაემატება) მხოლოდ ერთი ქართველია - ექსდინამოელი **გურამ კაშია**. 23 წლის მცველს არ გასჭირვებია „ვიტესში" დამკვიდრება, მან 14 მატჩში ითამაშა და 14-ჯერვე მარჯვენა მცველად. ქართველი ორჯერ გააფრთხილეს.

თურქულ სუპერლიგაში **შოთა არველაძის** „კაისერისფორი" 32 ქულით მე-4 ადგილზეა. ქართველ სპეციალისტს წარმატების მიღწევაში დიდად ეხმარება ალექსანდრე ამისულაშვილი, რომელიც დაცვაში საიმედოდ თამაშობს. ქართველმა მცველმა 17-ივე თამაში შეუცვლელად ითამაშა და 2 გოლიც გაიტანა. მოკლედ, 2010 წელს, რომელიც საკმაოდ მოუსავლიანი გამოდგა ქართველთათავის, 3 გოლი დაუგროვდა.

საბერძნეთის ლიგა ევროპაში მე-11-ეა რეიტინგით. იქაც ერთი ლეგიონერი გვყავს - კუნძულ კრეტის „ერგოტელისის" ღირსებას **გიორგი შაშიაშვილი** იცავს. წინა სეზონის 2010 წლის მონაკვეთში 31 წლის მცველმა 7 თამაში ითამაშა, ახალ სეზონში კი - 13. დანიურ სუპერლიგაში 2010 წლის პირველ ნახევარში ითამაშა **დავით დევდარიანმა** (ორჰუსი) - 7 თამაში, 1 გოლი, შემდეგ კი „ორჰუსი" გავარდა.

რუმინულ ლიგა 1-ში ერთი ლეგიონერია - მე-5 ადგილზე მყოფი „გაზ მეთანის" ღირსებას **აკაკი ხუბუტია** იცავს. მედიაშელთა შემადგენლობაში 2010 წლის პირველ ნახევარში მან 15 თამაშში 1 გოლი გაიტანა, ახალ სეზონში კი 16 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 1 გოლი გაიტანა.

მე-17 ადგილზეა ისრაელის ლიგათ ჰა'ალი. წინა სეზონის 2010 წლის მონაკვეთში ლიგაში 5-მა ქართველმა ითამაშა, ახალ სეზონში - კი სამმა. დავიწყოთ **ლადო დვალიშვილით** - ეს ფორვარდი ლატვიიდან 2009 წლის ზაფხულში გადავიდა ისრაელში. მან გოლების გატანა 2010 წელსაც განაგრძო. უფრო ზუსტად, კი 2010 წელი ისე დაიწყო, გვეგონა დვალიშვილი მთებს გადადგამდა - 1 თებერვლამდე 5 მატჩში 7 გოლი გაიტანა! მაგრამ სეზონის ბოლომდე ლადომ სულ 2-ჯერლა გამოიჩინა გოლით თავი. 20 თამაშში ლადომ 9 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი გააკეთა. ახალ სეზონში მანვე 15 თამაშში 5 გოლი გაიტანა (1 გოლს არ ვუთვლით, რადგან 2011 წელს ეკუთვნის). დვალიშვილის მიღწევები მარტო ამით არ ამოიწურება საკლუბო დონეზე - ევროპის ლიგის 2 საკვალიფიკაციო მატჩში ითამაშა და 2 გოლიც შეაგდო. მოკლედ, 2010 წელს ლადო დვალიშვილმა სულ 16 გოლი შეაგდო.

2010 წლის პირველი ნახევარი **ზურაბ მენთეშაშვილმა** თელ ავივის „ჰაპოელში" ითამაშა და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. მან 13 მატჩში ითამაშა, ერთხელ გააძევეს და 2-ჯერ გააფრთხილეს, მონაწილეობა მიიღო ევროპის ლიგის ერთ შეხვედრაში(ც „რუბინთან". ახალ სეზონს ზურაბი აშკელონის „ჰაპოელში" შეხვდა, სადაც 14 მატჩში 7 გაფრთხილება და 1 გაძევება დაიმსახურა. სხვა ქართველებს ლიგატ ჰა'ალში 2010 წელს ეპიზოდური როლები ერგოთ: გასულ სეზონში **ლევან ხმალაძემ** ჰაიფას „ჰაპოელში" 2 მატჩი ითამაშა და „დინამოს" დაუბრუნდა, **დავით დიღმელაშვილმა** რაანანას „ჰაპოელის" მაისურა 4-ჯერ მოირგო, ხოლო **რევაზ გოცირიძემ** ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელში" 3 მატჩი ჩაატარა, ახალ სეზონში ნეთანიის „მაქაბის" ღირსებას **გაგა ჩხეტიანი** იცავს - 5 თამაში, ყველა შეცვლაზე.

2010 წელი ავსტრიულ ბუნდესლიგაში დაიწყო **ილია კანდელაკმა** - 6 მატჩი - შემდეგ კი გაცილებით დაბალ დონეზე, აზერბაიჯანში გადავიდა სათამაშოდ. ასევე წელიწადი ჩეხეთში დაიწყო და სხვაგან გააგრძელა **დიმიტრი ტატანაშვილმა** - „კლადნოს" რიგებში მან გამბრინუსლიგაში 2 გოლი შეაგდო, ივლისში მან ჩეხეთის სუპერთასზე ითამაშა, უკვე „პლზენის" რიგებში. მოკლედ, ტატანაშვილმა 2010 წელს სამი გუნდის ფორმა მოირგო. წელიწადი პოლონურ ექსტრაკლასაში დაიწყო **კობა შალამბერიძემ** (6 თამაში „ოდრაში"), შემდეგ მისი გუნდი გავარდა და კობამაც წელიწადი პოლონეთის I ლიგაში დაასრულა (13 თამაში).

კვიპროსი (მე-20 ადგილი უეფას კლასიფიკაციაში): 2009/10 სეზონი: **კლიმენტი წიტაიშვილი** (ნეა სალამინა): 9 თამაში, 3 გოლი; **ლევან მაღრაძე** (ერმისი) - 16 თ; **ლევან ქებაძე** (ეთნიკოსი) - 14 თ, 3 გ. 2010/11 სეზონი: ლევან ქებაძე (ეთნიკოსი) - 13 თ, 2გ; ლევან მაღრაძე (ერმისი) - 14 თ.

ბელარუსი (უეფა, 23): **ზაზა ჭელიძე** (ბრესტი) - 30 თ, 3 გ; **უჩა გოგოლაძე** (ბრესტი); **ლაშა დეკანოსიძე** (ჟოდინო) - 1 თ; **ირაკლი მაისურაძე** (ვიტებსკი) - 0 თ.

სერბეთი (უეფა, 27): **გიორგი მერებაშვილი** (ვოივოდინა) - 15 თ, 1 გ (2009/10 სეზ); 14 თ, 6 გ (2010/11 სეზ).

ბოსნია (უეფა, 29): **ლევან კუტალია** (სლავია) - 4 თ (2009/10 სეზ).

უნგრეთი (უეფა, 32): **რატი ალექსიძე** (დიორი ეტო) - 14 თ, 2 გ (2009/10 სეზ), 12 თ, 3 გ (2010/11 სეზ), ევროპის ლიგა - 8 თ, 2 გ; **გიორგი განუგრავა** (დიორი ეტო) - 4 თ (2009/10 სეზ), 9 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **თეიმურაზ შარაშენიძე** (დიორი ეტო) - 1 თ (2009/10 სეზ), 5 თ (2010/11 სეზ); **ლაშა თოთაძე** (დიორი ეტო) - 1 თ (2009/10 სეზ), 1 თ (2010/11 სეზ); ვახტანგ ფანცხავა (დიორი ეტო) - 5 თ (2009/10), (ვაშაშის რიგებში) - 11 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო) - 0 თ.

მოლდოვა (უეფა, 33): **ვაჟა თარხნიშვილი** (შერიფი) - 12 თ (2009/10 სეზ), 17 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **ვასილ ლუჭაშვილი** (დაჩია) - 11 თ, 1 გ (2009/10 სეზ), 2 თ (2010/11 სეზ); **დავით გამეზარდაშვილი** (დაჩია) - 20 თ, 3 გ (2010/11 სეზ), **მამუკა ლომიძე** (დაჩია) - 17 თ (2010/11 სეზ); **ლევან კორღალიძე** (დაჩია) - 18 თ, 6 გ (2010/11 სეზ); **მიხეილ კოსტავა** (ისკრა-სტალი) - 0 თ (2010/11 სეზ); **გიგა მამულაშვილი** (ტირასპოლი, რუსეთის მოქალაქე) - 21 თ, 5 გ (2010/11 სეზ); **დავით ჯაჯული** (სფინტულ გეორგე) - 18 თ, 1 გ (2010/11 სეზ).

ლატვია (უეფა, 35): **დავით ჯანელიძე** (სკონტო) - 5 თ, 1 გ და (ოლიმპსი) - 11 თ, 3 გ; **რევაზ თევდორაძე** (ოლიმპსი) - 0 თ; **კონსტანტინე ზარნაძე** (ოლიმპსი) - 19 თ; **ლაშა ღონღაძე** (ოლიმპსი) - 25 თ, 6 გ; **გიორგი ჩხიკვიშვილი** (ოლიმპსი, ლატვიის მოქალაქე) - 11 თ; **გიორგი ჩიხრაძე** (დაუგავა) - 2 თ, 1 გ; **მამუკა ღონღაძე** (დაუგავა) - 14 თ, [illegible] გ (2010/11 სეზ).

აზერბაიჯანი (უეფა, 37): ლადო ბურდული (ნეფთჩი) - 1 თ (2010/11 სეზ); **ვალერი აბრამიძე** (ნეფთჩი) - 13 თ (2009/10 სეზ) და (ინტერი) - 13 თ, 2 თ (ევროთასზე), 1 თ (თასზე) (2010/11 სეზ); **დავით იმედაშვილი** (ხაზარი) - 1 თ (2010/11 სეზ); **ნუგზარ კვირტია** (აზალ) - 18 თ (2009/10 სეზ), 15 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **რომან გოგინაშვილი** (აზალ) - 3 თ (2009/10 სეზ); **გიორგი ლომაია** (ინტერი) - 14 თ (2009/10 სეზ), 10 თ (ჩემპ), 2 თ (ევროთასზე), 4 თ (თასზე) (2010/11 სეზ); **ილია კანდელაკი** (ინტერი) - 18 თ (ჩემპ), 1 თ (თასზე) (2010/11 სეზ); **კახაბერ მჟავანაძე** (ინტერი) - 7 თ (2009/10 სეზ), 6 თ (ჩემპ), 2 თ (ევროთასზე), 4 თ (თასზე) (2010/11 სეზ) **დავით ოდიკაძე** - 13 თ, 1 გ (2009/10), 17 თ 1 გ (ჩემპ), 2 თ (ევრ), 3 თ, 1 გ (თას) (2010/11 სეზ); **ბაჩანა ცხადაძე** (სიმურგი) - 8 თ, 5 გ (2010/11 სეზ); **გიორგი ადამია** (ყარაბახი) - 9 თ, 4 გ (2009/10 სეზ), 18 თ, 6 გ (ჩემპ), 3 თ (თას), 8 თ, 1 გ (ევრ) (2010/11 სეზ); **გოგა ბერაია** (გაბალა) - 13 თ (2009/10 სეზ), 11 თ (2010/11 სეზ); **გიორგი სეთურიძე** (განჯა) - 18 თ (2010/11 სეზ); **ზურაბ ძამსაშვილი** (განჯა) - 17 თ (2010/11 სეზ); **ლევან მდივნიშვილი** (განჯა) - 6 თ (2010/11 სეზ); **დავით სვანიძე** (მუღანი) - 13 თ, 1 გ (2009/10 სეზ), 12 თ (2010/11 სეზ); **შალვა ფირცხალავა** (თურანი) - 13 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **გიორგი მოდებაძე** (თურანი) - 6 თ, 2 გ (2010/11 სეზ); **გიორგი ჭედია** (თურანი) - 13 თ, 1 გ (2010/11 სეზ); **ამირან გვენცაძე** (მოიკ) - 13 თ (2010/11 სეზ); **გიორგი ნავალოვსკი** (ინტერი) - 14 თ, 1 გ (2009/10 სეზ); **ამირან მუჯირი** (ბაქი) 1 თ და (სტანდარდი) - 9 თ (2009/10 სეზ); **რევაზ გეწაძე** (გაბალა) 9 თ (2009/10 სეზ); **კახაბერ ჩხეტიანი** (სიმურგი) - 14 თ (2009/10 სეზ); **რომან ახალკაცი** (სიმურგი) - 13 თ (2009/10 სეზ); **დავით ბოლქვაძე** (სიმურგი) - 13 თ 2 გ (2009/10 სეზ); **ალექსანდრე ინწკირველი** (ქარვანი) - 11 თ, 1 გ (2009/10 სეზ).

ყაზახეთი (უეფა, 41): **გიორგი ფეიქრიშვილი** (ატირაუ) - 22 თ, 5 გ.

ესტონეთი (უეფა, 45): **ზაქარია ბეგლარიშვილი** (ფლორა) - 22 თ, 6 გ; **ერნესტ ახალბედაშვილი** (ლოტუსი) - 11 თ.

სომხეთი (უეფა, 47): **თენგიზ უგრეხელიძე** (ულისი) - 13 თ; **გიორგი კრასოვსკი** (ულისი) - 24 თ, 4 გ; **გაგა თიბილაშვილი** (ულისი) - 23 თ, 3 გ; **შოთა ჯიქია** (ულისი) - 19 თ, 6 გ); **ირაკლი ცანავა** (მიკა) - 0 თ; **ლევან ბუბუტეიშვილი** (განძასარი, სომხეთის მოქალაქე) - 11 თ; **დავით ხანიშვილი** (განძასარი) - 23 თ, 1 გ; **ლაშა ჯანგიძე** (განძასარი) - 8 თ; **მიხეილ მურმანიშვილი** (შირაქი) - 8 თ; **გელა ძამუნაშვილი** (შირაქი) - 7 თ.

ირანი: **ჯაბა მუჯირი** (ფოლადი) - 19 თ.

უზბეკეთი: **მიხეილ ალავიძე** (მორტანი) - 25 თ; **დავით ჭილლაძე** (მაშალი) - 12 თ; **კახა მახარაძე** (ლოკომოტივი) - 19 თ; **ლაშა კობახიძე** (ხორაზმი) - 0 თ.

ს. აფრიკა: **გიორგი ნერგაძე** (მოროკა) - 12 თ, 2 გ.

აშშ (მლს) **გიორგი ჩირგაძე** (რედ ბული, აშშ-ს მოქალაქე) - 0 თ.

მეორე ეშელონები: რუსეთის I დივიზიონი: **ედიკ საჯაია** (ვოლგა) - 25 თ, 2 გ; გიორგი ნავალოვსკი (ვოლგა) - 14 თ; გოჩა ხოჯავა (ვოლგა) - 12 თ, 2 გ; **ოთარ მარცვალაძე** (ვოლგა) - 33 თ, 21 გ; უკრაინის პერშა ლიგა: დავით თარგამაძე (ოლექსანდრია) - 6 თ, 2 გ. დანიის II ლიგა: დავით დევდარიანი - 13 თ, 7 გ; **გიორგი ფოფხაძე** - 10 თ. შვეიცარია: **გიორგი ივანიშვილი** - 14 თ, 2 გ; ისრაელის ლეუმით ლიგა (მხოლოდ 2010/11 სეზ): **ირაკლი გეფერიძე** (ჰერცლია) - 16 თ, 3 გ; **გიორგი გაბიდაური** (ბნეი ლოდი) - 13 თ; **აკაკი მიკუჩაძე** (ირონი) - 18 თ, 11 გ (2009/10 სეზ) (ბნეი ლოდი) - 16 თ, 3 გ 2010/11 სეზ). ფინეთის იკონენლიგა: **პავლე ხორგუაშვილი** (როვანიემი) - 24 თ, 10 გ; **ვალტერ ხორგუაშვილი** (როვანიემი) - 16 თ, 1 გ; **ანზორ კალაძე** (პოპა) - 8 თ, 2 გ; **ირაკლი სირბილაძე** (კპვ) - 26 თ, 16 გ; **გიორგი ოსიტაშვილი** (კოტეპე) - 23 თ; **ბექა ტუღუში** (კოტეპე, ფინეთის მოქალაქე) - 6 თ, 2 გ.

ლეგიონერთა მიმოხილვაში ვერ მოხვდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ჯერ არ თამაშობენ კლუბების ძირითად შემადგენლობებში: **გიორგი ჭანტურია** (ვიტესი), **საბა კვირკველია** (ზენიტი), **ავთანდილ ბრაჭული** (რუბინი), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა), **თორნიკე ოქრიაშვილი** (შახტარი) და სხვები...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის ნაკრები

# ბალაკი ნებდება?



გერმანიის ნაკრების 34 წლის კაპიტანი ბუნდესგუნდზე ჯერ ვერ ფიქრობს

2010 **მიხაელ ბალაკის** კარიერაში ყველაზე საშინელი წელი იყო. გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ორი ურთულესი ტრავმა გადაიტანა და ფეხბურთი ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში არ უთამაშია. რაც ყველაზე მთავარია, მან ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე ისასპარეზა და კინაღამ ბუნდესგუნდის კაპიტნის სამკლავურიც დაკარგა. გასული წლის მიწურულს მიხაელი მუდმივად იმეორებდა, აუცილებლად დავბრუნდები და კაპიტნობასაც არავის დავუთმობო - როგორც იცით, მას ამ „თანამდებობაში" „ბაიერნის" მარცხენა მცველი **ფილიპ ლამი** ეცილება, რომელმაც სამხრეთ აფრიკაში ბუნდესგუნდს სწორედ იმიტომ უკაპიტნა, რომ მიხაელი დაშავებული იყო.

დაიწყო 2011 წელი და მიხაელი ჯერაც არ არის სრულად გამოჯანმრთელებული. მართალია, მსუბუქად ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ ექიმები „მწვანეს ჯერ არ უნთებენ" და დიდი შანსია, რომ პარასკევს, ბუნდესლიგის მეორე წრის გახსნით მატჩში (დორტმუნდის „ბორუსიასთან") ვერ ითამაშოს. ამასობაში, ბალაკმა ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ უახლეს ინტერვიუში აღიარა, რომ გერმანიის ნაკრებში დაბრუნებასთან დაკავშირებით აღარ არის ისე ოპტიმისტურად განწყობილი, როგორც გასული წლის მიწურულს იყო. მიხაელი ამბობს, განვითარებულ მოვლენებს რეალურად ვაფასებ და ვხვდები, რომ შესაძლოა, ველარასდროს ვიყო ისეთ ფორმაში, რომ გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაში დავიმსახუროო.

*„ჯერ „ლევერკუზენშიც" არ მითამაშია და ბუნდესგუნდში დაბრუნებაზე ოცნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუკი ფორმას მალე აღვიდგენ, მერე საკუთარ თავს და შესაძლებლობებს კარგად უნდა დავაკვირდე. ვნახოთ, რამდენად შევძლებ იმდენად კარგ ფორმაში ყოფნას, რომ გერმანიის ნაკრებში თამაში დავიმსახურო. მოტივაცია უდიდესია, ბუნდესგუნდში დაბრუნება ძალიან მინდა, მაგრამ ჯერ უმაღლეს დონეზე უნდა ვითამაშო და მხოლოდ ამის შემდეგ მექნება იმის უფლება, რომ ბუნდესგუნდში დავბრუნდე,"* - აცხადებს 34 წლის ბალაკი „ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბალაკისთვის ჯერჯერობით ევროპის 2012 წლის ჩემპიონატიც უტოპიაა. *„ევროპის ჩემპიონატზე ფიქრის უფლება ჯერ არ მაქვს. პირდაპირ გეტყვით, არ ვიცი, რა იქნება 2012-ში. მოკლედ, ჯერ ფეხბურთის თამაში უნდა განვაახლო და „ლევერკუზენში" სრულყოფილად დავბრუნდე. თუ ამას შევძლებ, მერე გერმანიის ნაკრებზე და ევროპის ჩემპიონატზეც ვიფიქრებ,"* - ამბობს მიხაელი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 98 მატჩი აქვს ჩატარებული.

„ველტთან" ინტერვიუში ბალაკმა ისიც თქვა, რომ რამდენიმე დღის წინ ფილიპ ლამთან ძალიან გულახდილი საუბარი ჰქონდა, მაგრამ დეტალებზე სახალხოდ ლაპარაკს არ აპირებს - რაც ფილიპმა და მე ერთმანეთს ვუთხარით, ეს მხოლოდ ჩვენი საქმეაო...

**გოტფრიდ ლენცი**



● ტურის რჩეული

# ძველი სახეები: რონალდო, მესი...

მე-18 ტურის რჩეულები Goal.com-მა 3-4-3 ტაქტიკური მონახაზის მიხედვით შეარჩია. სიმბოლურში წყვილად მოხვდნენ ხშირი სტუმრები: **კრიშტიანო რონალდო** (რომელიც წინა ტურშიც იყო რჩეულთა შორის) და **ლიონელ მესი**...

### მეკარე

**რიკარდო** (ოსასუნა): რომ არა 39 წლის ვეტერანი „ოსასუნა" მშობლიურ „ესტადიო რეინო დე ნავარაზე" ქულას ვერაფრით შეინარჩუნებდა. რიკარდომ, სულ მცირე, სამჯერ გადაარჩინა გუნდი: ჯერ **დანიელ პარეხოს** აული, შემდეგ ორჯერ **მანუ დელ მორალს**.

### მცველები

**მარტინ კასერესი** (სევილია): ურუგვაელი „რეალ სოსიედადთან" მატჩში დაცვის ცენტრიდან ფლანგზე გადაიყვანეს, რამაც კარგად წარმოაჩინა მისი შემტევი პოტენციალი. „ბარსელონას" საკუთრებამ, რომელიც ანდალუსიაში იჯარით თამაშობს, მთლიანად დაიპყრო მარჯვენა ფლანგი და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**მარტინ დემიკელისი** (მალაგა): დებიუტი და ეგრევე სიმბოლურ ნაკრებში! არგენტინელის ანდალუსიური კარიერა ბრწყინვალედ დაიწყო, მის ანგარიშზე თავური გოლია. პირველივე თამაშში დემიკელისმა ლიდერის ფუნქციები გამოავლინა და უნარიანად უხელმძღვანელა „მალაგის" დაცვის ხაზს, რომელიც აქამდე არ გამოირჩეოდა საიმედო თამაშით.

**ივან რამისი** (მალიორკა): კუნძულელებმა სასტიკად იძიეს შური „ალმერიაზე" „სამეფო თასიდან" გამოგდებისთვის. 26 წლის ცენტრალურმა მცველმა გოლი გაიტანა და დაცვაში თითქმის უნაკლოდ ითამაშა.

### ნახევარმცველები

**ბრუნო სორიანო** (ვილიარეალი): „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" საფუძვლიანად შეაჯანჯღარა „სამეფო გუნდი", რაშიც დიდი წვლილი ბრუნოს მიუძღვის. ესპანელი ნახევარმცველი „ვილიარეალის" შეტევების მთავარი წამომწყები იყო, **მარკო რუბენმა** მისი დიდებული პასით გაიტანა. ხუთჯერ მაინც ჩაჭრა ბრუნომ „რეალის" მნიშვნელოვანი შეტევა.

**ხავი მარტინესი** (ბილბაო): მსოფლიოს ჩემპიონი საუკეთესო იყო „მალაგასთან" მატჩში, სიმბოლურიცაა, რომ ქულის გადამრჩენი გოლი მის ანგარიშზეა. სხვათა შორის, ეს მისი პირველი გოლია სეზონში.

**ლუის გარსია** (ესპანიოლი): „ბლანკ ი ბლაუს" კაპიტანი ნამდვილი ლიდერია „კორნელია ელ პრატზე". სწორედ მან გაიტანა პენალტით მეორე გოლი და გაუკეთა საგოლე პასები **ალვარო ვასკესს** და **სერხიო გარსიას**.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): რონალდოს ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა წლევანდელ სეზონში - ჰეთთრიკი და საგოლე პასი მის ანგარიშზე. ტურის საუკეთესო ფეხბურთელია.

### თავდამსხმელები

**ტოტე** (ერკულესი): 32 წლის ტოტე მეხუთე სეზონია ალიკანტეელთა ღირსებას იცავს და „ატლეტიკოსთან" მან საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გოლი და საგოლე პასი მის ანგარიშზე.

**ფრედერიკ კანუტე** (სევილია): რომ არა კანუტე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სევილია" წააგებდა „ანოეტაზე". 33 წლის ფორვარდის ანგარიშზე დუბლია „რეალ სოსიედადის" კარში.

**ლიონელ მესი** (ბარსელონა): „ბარსას" „ოქროს ბიჭუნამ" წლეულს პირველი გოლი გაიტანა ულამაზესი საჯარიმო დარტყმით, მისი ბრწყინვალე პასებით **დავიდ ვილიამ** და **პედრომ** იხეირეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ტრანსფერი

# ფლამენგოში ბრაზილიურ მუნდიალზე ოცნებით

როგორც იქნა, **რონალდინიომ** ოცნება აისრულა და ბრაზილიაში დაბრუნდა, ოღონდ კარიერას არა მშობლიურ "გრემიოში", არამედ "ფლამენგოში" აგრძელებს. შეგახსენებთ, "ფლამენგო" 30 წლის რონალდინიოსთვის ბრძოლაში ბოლო მომენტში ჩაერთო და ბევრისთვის მოულოდნელად, გაუჩომ "მილანის" შავ-წითელი მაისურის ნაცვლად სწორედ ამ კლუბის ამავე შეფერილობის ფორმა მოირგო.

რონალდინიომ "ფლამენგოსთან" სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, "მილანმა" კი მის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო მიიღო. რონალდინიო კი იძახდა, ოღონდ ბრაზილიაში დავბრუნდე და ჩალის ფასადაც ვითამაშებო, მაგრამ ბრაზილიური წყაროები ირწმუნებიან, რომ "ფლამენგოში" იგი სოლიდურ ჯამაგირს მიიღებს – სავარაუდოდ, კვირაში 130 ათასი ევროს ეკვივალენტურ თანხას.

რონალდინიომ კარიერა პორტუ ალეგრის "გრემიოში" დაიწყო და "ფლამენგომდე" სხვა ბრაზილიურ კლუბში არ უთამაშია, მისი ევროპული კარიერა კი სათავეს 2001 წლის ზაფხულიდან იღებს. "პარი სენ ჟერმენში" მან უტიტულო პერიოდი გაატარა, სამაგიეროდ, 2003 წელს "ბარსელონაში" გადავიდა, სადაც გემო ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასაც გაუგო და ყველა სხვა შესაძლო ჯილდოც მოიპოვა. "მილანში" ორნახევარი წელიწადი ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ არც იქ დაკარგულა, ისე ნამდვილად ვეღარ ბრწყინავდა, როგორც "ბარსაში". მთლიანობაში, ევროპული კარიერის განმავლობაში რონალდინიომ 107 გოლი გაიტანა, აქედან უმეტესი წილი რაღა თქმა უნდა, "ბარსელონაში" – 70.

ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 88 მატჩში მის ანგარიშზე 32 გოლია, ყველაზე მნიშვნელოვანი სანაკრებო გოლი რონალდინიომ 2002 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში ინგლისს გაუტანა და მსოფლიოს ჩემპიონობაც იზეიმა..

რონალდინიოს უმთავრესი ოცნება სწორედ სელესაოს უკავშირდება. "ფლამენგოს" ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში მან განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებს იმისთვის, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაში რომ დავიმსახუროო. *"იმ დროისთვის 34 წლისა ვიქნები, რაც თანამედროვე ფეხბურთში სულაც არაა კრიტიკული ასაკი. თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, ბრაზილიაში გასამართ მუნდიალში მონაწილეობაზე აუცილებლად მექნება პრეტენზია. ისიც კარგად მესმის, რომ ნაკრებში მოსახვედრად უდიდესი კონკურენცია იქნება, მაგრამ არაფერი მაშინებს და ბრძოლისთვის აბსოლუტურად მზად ვარ"*, - ამბობს რონალდინიო.

მან იქვე პირობა დადო, რომ ძალიან მალე საუკეთესო ფორმაში ჩადგება და "ფლამენგოს" წარმატებებისთვის თავს არ დაზოგავს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ რონალდინიოს ახალი გუნდის შემადგენლობაში ოფიციალური დებიუტი თებერვალში ექნება. "ფლამენგომ" ბრაზილიის წინა ჩემპიონატში, რომელიც დეკემბერში დასრულდა, მე-14 ადგილი დაიკავა.



**ლევან ჯანეზაშვილი**

## ზენიტი პოდოლსკის ინევეს

რუსული პრესის ცნობით, სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" მთავარი სატრანსფერო სამიზნე **ლუკას პოდოლსკია**. გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და "კიოლნის" 25 წლის თავდამსხმელის სატრანსფერო ღირებულება 14-15 მილიონ ევროს შეადგენს. ჯერჯერობით უცნობია, რა რეაქცია აქვთ რუსეთის ჩემპიონების წინადადებაზე "კიოლნსა" და თავად პოდოლსკის.

ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში პოდოლსკიმ 16 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

## ორი ზენიტელი სარაგოსას სამიზნეში

განვაგრძოთ "ზენიტის" თემა და ის ორი ფეხბურთელია ვახსენოთ, რომლებმაც სანკტ-პეტერბურგიდან შესაძლოა, "სარაგოსაში" გადაინაცვლონ. საუბარია ორ მცველზე – პორტუგალიელ **ფერნანდო მეირასა** და უნგრელ **ჟაბოლჩ ჰუშტიზე**. ესპანელებს ორივე მათგანის გადაბირების შანსი აქვთ, რადგან მეირაცა და ჰუშტიც "ზენიტის" ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ვერ ხვდებიან.

## ლენონი ექვსი მატჩით

სწორედ ამხელა დისკვალიფიკაცია მიუსაჯა შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ "სელტიკის" დამრიგებელ **ნილ ლენონს**, ამასთანავე, უარი თქვა გლაზგოური კლუბის აპელაციის დაკმაყოფილებაზე. ლენონმა ასეთი სასჯელი "ჰართსთან" მატჩისას არბიტრ **კრეიგ ტომსონისთვის** მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მიიღო. "სელტიკის" მწვრთნელის ზღვარგადასული აღშფოთება არდანიშნულმა პენალტმა გამოიწვია.

## ონიევუ ტვენტეში გაუშვეს

"მილანის" ამერიკელი მცველი **ოგუჩი ონიევუ** ჰოლანდიის ჩემპიონ "ტვენტეში" გადავიდა, სადაც სეზონის ბოლომდე იჯარით ისასპარეზებს. მიმდინარე სეზონში მან მილანელთა შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა, წინა სეზონი კი მუხლის მძიმე ტრავმის გამო მთლიანად გაუცდა. 28 წლის ონიევუს "მილანიდან" წასვლის ერთ-ერთ მიზეზად **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** კონფლიქტსაც ასახელებენ.

## ბრიტანელები ჩემპიონატს აღადგენენ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ბრიტანეთის ჩემპიონატის აღდგენა გადაწყვიტა და ირლანდიის, ჩრდილო ირლანდიის, უელსისა და შოტლანდიისგან წინასწარი თანხმობაც მიიღო. ეს ტურნირი ჯერ კიდევ 1883 წლიდან ტარდებოდა და 1984 წელს შეწყდა მისდამი ინტერესის კლებისა და ტრიბუნებზე უწესრიგობების გამო. 1995 წელს "ლენსდაუნ როუდზე" ირლანდია-ინგლისის ამხანაგური მატჩი ინგლისელმა ფანებმა ჩაშალეს, რამაც ბრიტანეთის ჩემპიონატის აღდგენის პერსპექტივა გაურკვეველი ვადით გადადო. ახლა კი მხარეებმა ამ ტურნირის განახლების სავარაუდო ვადად 2013 წელი დაასახელეს.

ეს გადაწყვეტილება იმანაც განაპირობა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე ბრიტანეთი ერთიანი გუნდით უნდა გამოვიდეს, რაზეც შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია ჯერჯერობით, უარს აცხადებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი



ლაშა ფარლალავა

# სოხუმის მეორე თურქული გამარჯვება

თურქეთში შეკრებას განაგრძობს სუპერლიგის წარმომადგენელი „სოხუმი“ რომელმაც ქალაქ ანტალიაში 11 იანვარს მეორე სპარინგმატჩი ჩაატარა. ქართველთა მეტოქე თურქეთის ჩემპინატის მეორე ლიგის ერთ-ერთი ლიდერი, ანტალიური „კეპეზი“ იყო, რომელიც სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და უმაღლეს ეშელონში გადასვლისთვის იბრძვის. „სოხუმმა“ მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა და ანგარიშით 92:86 გაიმარჯვა.

სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ **ლაშა ფარლალავა** (35 ქულა), **იუჟინ პარისი** (18), **ირაკლი სორდია** (12), **რიჩარდ დამუსი** (12), **თემურ კანკია** (5).

უნდა აღინიშნოს, რომ „სოხუმის“ რამდენიმე კალათბურთელს ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა, ზოგიც გაციებულია...

ჩვენი გაზეთის მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ „სოხუმმა“ 6 იანვარს ანტალიაში პირველი თამაში თურქეთის მესამე დივიზიონის ლიდერ „მურადფაშას“ 103:74 მოუგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ბულისტკივილი

# დინამო სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე

## დასანანია? ცოდვაა? არა ბატონო, სირცხვილია!

საკალათბურთო "დინამო" ერთადერთი ქართული კლუბია, რომელსაც უმაღლესი რანგის ევროტურნირზე გაუმარჯვია...

..."დინამო" ერთადერთი ქართული გუნდია, რომლის კალათბურთელებიც წლევანდელ სუპერლიგაში უხელფასოდ თამაშობენ! აი, ასეთი კონტრასტია ძველსა და ახალ "დინამოს" შორის. დასანანია? ცოდვაა? არა, ბატონო, სირცხვილია!

სირცხვილია, ყველაზე წარმატებული საკლუბო გუნდის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა. მას მერე, რაც საფეხბურთო "დინამო" ბიზნესმენმა **რომან ფიფიამ** ჩაიბარა, გაჩნდა იმედი, რომ საკალათბურთო გუნდსაც ეშველებოდა. ბატონმა რომანმა დეკემბერში თქვა, საკალათბურთო "დინამოსთან" დაკავშირებითაც მიმდინარეობს მუშაობაო. სწორედ მაშინ გაჩნდა იმედი, რომ სიტყვა "დინამო", ისევე როგორც "ბარსელონა", საკალათბურთო და საფეხბურთო ცნებებს გააერთიანებდა და საქართველოში ისეთივე წარმატებულ ბრენდად იქცეოდა, როგორიც ესპანეთში "ბარსაა"... ევროპაში ხომ ერთი მფლობელის მიერ სპორტის სხვადასხვა სახეობის კლუბების მფარველობა კარგად აპრობირებული პრაქტიკაა.

წარმატებებს ვინ ჩივის, საკალათბურთო "დინამოს" საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია. გვრჩება მხოლოდ წარსულის დიდება და მომავლის იმედი.

**ვაჟა სიმონიშვილი**



სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი

# შავი ზღვის მე-300 ტალღა

გუშინ ახალი წლის ბაშოზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა ქართული სუმოს ისტორიისთვის: 29 წლის **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში მე-300 გამარჯვება იზეიმა. კოკაი 7 წელიწადია ელიტაშია და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გავარდნილა იქიდან, 300 მოგება კი დიდებული მიღწევაა. „შავმა ზღვამ“ და „პატარა ტანკმა“ **ტაკეკაძემ** ერთდროულად მიაღწიეს საიუბილეო ნიშნულს, გადაუსწრეს რა **კაკიძოესა** და ყოფილ სუმოისტ **ოგინიშიკის** (299-299 მოგება). კოკაი სუმოს მრავალწლოვან ისტორიაში 149-ე ადგილზეა ამ შედეგით, მოქმედ სპორტსმენთაგან მას მხოლოდ 14 უსწრებს...

„შავმა ზღვამ“ აქამდე დაუმარცხებელ **ვაკაკოიუს** აჯობა დოჰიოს კიდეზე ეშმაკური ხერხით (ჰატაკიკომი). ზედიზედ 5 ორთაბრძოლა ჩვენებური აგებდა, იმედია, ახლა ყველაფერი მისთვის სასიკეთოდ შეიცვლება. დღეს კოკაის მეტოქე ჩინელი **სოკოკურაია** (2-1).

ტრავმა არ აძლევს კარგად ჭიდაობის საშუალებას **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)**, რომელმაც მესამე ორთაბრძოლა წააგო, ამჯერად ვეტერანმა ჩემპიონმა **კაიომ** ლამაზი უვატენაგე შესთავაზა პუბლიკას. დღეს ტოჩინოშინს კიდევ უფრო რთული შეხვედრა ელის - მის წინააღმდეგ თვით დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** დადგება.

გაგვახარა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ელიტის უმძიმესმა წარმომადგენელმა ერთი ამოსუნთქვით გაიყვანა დოჰიოდან **ტოსაიუტაკა**. გაგამარუს ახლა 2-1 ბალანსი აქვს და დღეს გამოცდილ მონღოლ **კიოკუტენჰოს** (1-2) შეხვდება.

**III დღე:** ჰაკუჰო-ამინიშიკი (უვატედაშინაგე), კოტოოშუ-ტოიონოშიმა (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (იორიკირი), კაიო-ტოჩინოშინი (უვატენაგე), ბარუტო-იოშიკაძე (იორიკირი), კისენოსატო-ტოჩიოძანი (ცუკიდაში), კოტოშოგიკუ-ტამავაში (იორიკირი), არანი-ჰომაშო (ჰატაკიკომი), ტოკუსეგავა-ასასეკირიუ (იორიკირი), გოეიდო-კიოკუტენჰო (უვატედაშინაგე), გაგამარუ-ტოსაიუტაკა (ოშიტაოში), ტაკეკაძე-კიტატაიკი (კოტენაგე), მიაბიამა-ტოკიტენკუ (ჰიკიოტოში), ჰაკუბატაკამისაკარი (კუბინაგე), ვაკანოსატო-შოტენრო (იორიკირი), მოკონამი-შიმოტორი (იორიკირი), ოკინოუმი-კორიუ (იორიკირი), კოტოკასუგა-კიმურაიამა (ცუკიოტოში), კოკაი-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), ტოიოჰიბიკი-ტოიოძაკურა (ოშიდაში), ტოჩინონადა- სოკოკურაი (ცუკიოტოში).

**IV დღე:** ჰაკუჰო-ტოჩინოშინი, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კაიო-იოშიკაძე, ბარუტო-ამინიშიკი, კოტოოშუ-არანი, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი, კისენოსატო-კაკურიუ, ტამავაში-გოეიდო, ჰომაშო-ტოკუსეგავა, ასასეკირიუ-ტაკეკაძე, კიოკუტენჰო-გაგამარუ, ტოსაიუტაკა-ვაკანოსატო, კიტატაიკი-ტოკიტენკუ, ტაკამისაკარი-მიაბიამა, ჰაკუბა-კორიუ, შოტენრო-შიმოტორი, მოკონამი-ვაკაკოიუ, ოკინოუმი-კოტოკასუგა, კიმურაიამა-ტოიოძაკურა, ტოიოჰიბიკი-ტოჩინონადა, კოკაი-სოკოკურაი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი



# მშვიდობიანი ტური

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მე-2 ტური შედარებით მშვიდობიანი გამოდგა — ექვსიდან ოთხი პარტია ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ **მერი არაბიძე** (2315)-**ლელა ჯავახიშვილი** (2438), **სალომე მელია** (2449)-**მარიამ დანელია** (2248), **ნინო ხურციძე** (2436)-**ნაზი პაიკიძე** (2455), **მაია ლომინეიშვილი** (2345)-**სოფიკო ხუხაშვილი** (2437). **ბელა ხოტენაშვილმა** (2440) **სოფიკო ნიკოლაძეს** (22564) სძლია, ხოლო **ნინო ბაციაშვილმა** (2339) შავი ფიგურებით **მირანდა მიქაძე** (2362) დაამარცხა.

ზემოაღნიშნული ექვსი შეხვედრიდან განსაკუთრებული ყურადღება ხურციძე-პაიკიძის ორთაბრძოლამ მიიპყრო. მეტოქეებმა სლავური დაცვის ის ვარიანტი აირჩიეს, რომელიც პრაქტიკაში ნაკლებად გვხვდება. კომენტარი პაიკიძის პირველ დამრიგებელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **გოგი მაჭარაშვილს** (იგი ხუთი წელიწადი ავარჯიშებდა შეგირდს) ვთხოვეთ.

— დებიუტშივე, კერძოდ, მე-7 სვლაზე გაიცვალა ლაზიერები და შეხვედრა მრავალფიგურიან დაბოლოებაში გადავიდა, სადაც თეთრებმა გაორებული პაიკების სანაცვლოდ მეტი სივრცე მიიღეს. გამოცდილი ხურციძე ინიციატივას დაეუფლა. 30-ე სვლიდან ეტლების საინტერესო გადაჯგუფებით პაიკიძემ შეძლო დაფის ცენტრში მყოფი თეთრების მეფისთვის მუქარის შექმნა, 34-ე სვლაზე კი ეტლის ეფექტური შეწირვით მუდმივ ქიშს მიაღწია:

30. g3 ეf8 31. f4 ეf5+
32. მფe4 g5 33. fxg5 ეbf8
34. c4 ეf4+ 35. gxf4 ეxf4+
36. მფe5 ეf5+ 37. მფe4 ეf4+

***ყაიმი (იხილეთ დიაგრამა)***

**— ჩემპიონატის სტარტზე პაიკიძის მარცხს რით ახსნით?**

— ნაზიმ პირველ პარტიაშიც სლავური დაცვა გამოიყენა. შუა თამაშში არასწორი გეგმა აირჩია: თითქმის ფორსირებულად გაცვალა ფიგურები, ეგონა, შავების ჩაკეტილი კუს უპირატესობას გამოიყენებდა, რაც მცდარი აღმოჩნდა: მიქაძემ დროულად შეძლო კუს თამაშში ჩართვა, უკეთესი პოზიცია მიიღო და პარტიაც სასურველ დასასრულამდე მიიყვანა. მართალია, ჩემმა ყოფილმა შეგირდმა ორ პარტიაში ქულა-ნახევარი დაკარგა, მაგრამ მის ხასიათს რომ ვიცნობ, ეს ფსიქოლოგიურად არ დათრგუნავს, პირიქით — დანარჩენ პარტიებში უფრო შეუპოვრად იბრძოლებს მედლებისთვის...

**ნ. პაიკიძე**



**ნ. ხურციძე**

ორი ტურის შემდეგ ანაკლიაში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: მელია, დანელია, ხურციძე, ხოტენაშვილი — 1,5-1,5, ბაციაშვილი, ჯავახიშვილი, მიქაძე, ფურცელაძე — 1-1, პაიკიძე, არაბიძე, ლომინეიშვილი, ხუხაშვილი — 0,5:0,5, ნიკოლაძე - 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: პაიკიძე-ლომინეიშვილი, ბაციაშვილი-ხურციძე, დანელია-მიქაძე, ჯავახიშვილი-მელია, ნიკოლაძე-არაბიძე, ფურცელაძე-ხოტენაშვილი, ისვენებს ხუხაშვილი.

**ვაჟა დანელია**

სოფიკო ნიკოლაძის ფოტო




# ვიცოდეთ, რას და რისთვის ვხარჯავთ

ახალი წლის დადგომისთანავე ქვეყანა ახალი ბიუჯეტით იწყებს ცხოვრებას. ბოლო წლებში სპორტის დაფინანსება ბიუჯეტიდან რომ თვალსაჩინოდ იზრდება, ყველა კარგად ხედავს. მაგრამ ეს სფერო დაფინანსების სხვა წყაროებიდანაც იკვებება. მარტო შარშან, საბოლოო ჯამში, ქართულ სპორტს 45 მილიონი ლარი მოხმარდა. წლეულს, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიზრდება დახმარება, მაგრამ როგორი იქნება უკუგება? მართალია, მეორეხარისხოვანი ეს საკითხი არასდროს ყოფილა, თუმცა ამჯერად გაცილებით ამაღლდება მოთხოვნები და პასუხისმგებლობა თითოეული თეთრის ხარჯვაზე. პრაქტიკული ნაბიჯები კი ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ რომ გადაიდგმება, უკვე ცხადია.

„მზად ვარ, თითოეულ თქვენგანს დავუჯდე გვერდით, ვიმსჯელოთ, თუ როგორ ავამაღლოთ დაფინანსების უკუგების ეფექტურობა,“ — უთხრა სპორტის სამინისტროში გუშინ გამართულ შეკრებაზე ამ უწყების ხელმძღვანელმა ლადო ვარძელაშვილმა სპორტული ფედერაციების თავკაცებს.

სამინისტრო რეზერვების ძიებაშიცაა — გამოირიცხება სპორტულ დელეგაციებში ზედმეტობა, თითოეული წევრის აუცილებლობა განიხილება პერსონალურად, დაზოგილი თანხა კი სპორტს მოხმარდება პირდაპირი დანიშნულებით. რა თქმა უნდა, სამინისტროს ასეთი მიდგომა მისასალმებელია.

მინისტრი უკმაყოფილოა, არცთუ უსაფუძვლოდ, იმითაც, რომ სპორტში მობილიზებული თანხის მიზნობრივი ხარჯვის კოორდინირებული, ერთიანი სისტემა არ არსებობს. რეგიონებში მეტწილად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება ეპიზოდურ ღონისძიებებს ხმარდება და ხშირად ქართული სპორტის ინტერესებთან არაფერი აქვს საერთო. ამიერიდან თვითდინებაც კალაპოტში მოექცევა — ყველა ღონისძიება, სპორტში იქნება ეს თუ მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღების სფეროში, ჩატარდება სპორტის სამინისტროსთან და შესაბამის ფედერაციებთან შეთანხმებით და კოორდინირებულად. ამასთან, ხსენებულ სტრუქტურებთან ურთიერთშეთანხმებით დაიგეგმება ღონისძიებების კალენდარი. სპორტში ჩახედული ადვილად მიხვდება, რა სიკეთეს მოიტანს ეს ნაბიჯი. არავითარი წნეხი და უფლებების შეზღუდვა, პირიქით, ეს იქნება თანადგომა და დახმარება, რათა ყველამ ერთად ახალი მუხტი შევძინოთ და წინ წავწიოთ სპორტული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში.

ისე, ურიგო სულაც არ იქნებოდა, სამინისტროს სტატუსიდან გამომდინარე თუ შეიქმნებოდა მონიტორინგის საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომელიც შეისწავლიდა, კვარტალში ერთხელ მაინც შეაჯამებდა ადგილებზე გაწეული მუშაობის შედეგებს, წინადადებებს კი სამინისტროს ხელმძღვანელებს წარუდგენდა. ვისურვოთ, რომ გაისად ამ დროს, ახალი წლის თავყრილობაზე სიამაყით გვეთქვას: მონდომებამ გაამართლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდო. ნაკრების ვარჯიში

# მინისტრი ძიუდოისტებს ესტუმრა

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები განაგრძობს მზადებას სეზონის უახლოესი ტურნირებისთვის - 15-16 იანვარს ბაქოში გასამართი მასტერსის და 29-30 იანვარს თბილისში ჩასატარებელი მსოფლიოს თასისთვის, რომელიც სალიცენზიო ქულებსაც იძლევა. შეგახსენებთ, რომ ბაქოში ასპარეზობა ლიმიტირებულია და იქ გამოსვლის უფლება ამჯერად ექვსმა ჩვენებურმა მოიპოვა - **ამირან პაპინაშვილმა, დავით ასუმბანმა** (60), **ლევან ნიკლაურმა** (81), **ვალერი ლიპარტელიანმა** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (+100). რაც შეეხება თბილისის ტურნირზე გასაყვან შემადგენლობას, ის ჯერ საბოლოოდ არაა გარკვეული, მაგრამ აქ საქმე მაინც მარტივადაა - წინასწარი შეპირებით, საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებმა უნდა იჭიდაონ. ამ საქმეში ერთადერთ პრობლემას ის ქმნის, რომ ობიექტური მიზეზით, ქვეყნის პირველობა რამდენიმე ლიდერმა ან გამოტოვა, ან სამეულში ვერ მოხვდა. შესაძლოა, მწვრთნელებმა ამ წონებში მესამე პრიზიორები დაასვენონ და მათ ნაცვლად ესენი აჭიდაონ, იმათ კი შანსს სხვა შეჯიბრებებზე მისცემენ. ეს საკითხი საბოლოოდ ამ დღეებში გაირკვევა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ თბილისში არ იჭიდავებს ბოლო წლების ქართული ძიუდოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფიგურა - ვალერი ლიპარტელიანი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე მედალოსნებში ვერ მოხვდა.

ნაკრები 16 იანვარს შეკრებას დაიწყებს, რითაც თბილისის ტურნირისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე გადავა. ოღონდ ჯერ არც ისაა გარკვეული, შეკრებას დუშეთში გაივლიან თუ თბილისში, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, დედაქალაქს არჩევენ.

გუშინ ნაკრების ძირითადმა ბირთვმა დიღომში, ძიუდოს აკადემიაში ივარჯიშა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილიც** დაესწრო. ის გაეცნო სპორტსმენთა მზადებას, გაესაუბრა ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობას, ბოლოს კი პრესისთვის ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია, როგორც სეზონის პირველი შეჯიბრება. მოგეხსენებათ, ამას თბილისის მსოფლიოს თასი მოსდევს, სეზონის დასაწყისში ორი ასეთი შეჯიბრება კი საშუალებას მოგვცემს, უკეთ დავაკვირდეთ ჩვენს სპორტსმენებს, გამოვავლინოთ ის ჯგუფი, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ წლის განმავლობაში. წლევანდელი სეზონი სალიცენზიოა და ამიტომ განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით გუნდს“.*

ვარჯიშის მიმდინარეობისას ნაკრების თავკაც **სოსო ლიპარტელიანსაც** გავესაუბრეთ გუნდის უახლოეს გეგმებზე.



სოსო ლიპარტელიანი (მარცხნივ) და ვლადიმერ ვარძელაშვილი

**- თავდაპირველად ბაქოში წამსვლელ ექვსეულზე ვთქვათ - რამდენად არიან ისინი მზად ტურნირისთვის?**

- მასტერსი სეზონის პირველი შეჯიბრებაა, სადაც მხოლოდ რეიტინგის 16 მოწინავეს იწვევენ. ჩვენგან 6 ფალავანი მიდის და ვიმედოვნებთ, შედეგიც იქნება. მოგეხსენებათ, დეკემბერში იაპონიაში ვიყავით, სადაც გუნდმა ნაყოფიერად ივარჯიშა. წვრთნა არც თბილისში შეგვიწყვეტია, აქაც დიდი სამუშაო ჩავატარეთ და წარმატებისაც ამიტომ გვეიმედება. თუმცა ეს ძალზე ძლიერი ტურნირია, სადაც ერთი ქვეყნიდან რამდენიმე კაციც კი შეიძლება გამოვიდეს, ასეთი რამე კი მსოფლიოს პირველობაზეც არ ხდება - იქ, მაქსიმუმ, ორმა იჭიდაოს.

**- თბილისის ტურნირისთვის მზადებას როდის შეუდგებით?**

- 16 იანვარს დავიწყებთ შეკრებას. თბილისში გაირკვევა, ვინ იჭიდავებს სეზონის დარჩენილ შეჯიბრებებზე - „დიდი მუზარადისა“ თუ „დიდი პრიზის“ ტურნირებზე. ვინც აქ წააგებს, ალბათ, უცხოეთში წასვლის შანსი არ ექნება.

**- თბილისში საჭიდაო შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვა?**

- აქ საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებმა უნდა იჭიდაონ, თუმცა, იქნებ ზოგიერთ წონაში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. კერძოდ, გვინდა, რომ თბილისში გამოვცადოთ არსენ მაჭარაშვილი, რომელიც ამჯერად დაიკლებს და 66-ში გამოვა. ასევე მინდა, 60-ში პაატა მერებაშვილმაც იასპარეზოს. ალბათ, მეტი ცვლილება არ მოხდება, ხოლო ვის ნაცვლად იჭიდავებენ ისინი, ამას ვარჯიშების შემდეგ გადავწყვეტთ. აქვე განვმარტავ, რომ ცვლილება შეეხებათ მხოლოდ ბრინჯაოს მედალოსნებს, თორემ ფინალისტები თბილისში ნამდვილად იასპარეზებენ.

**- ვალერი ლიპარტელიანზე არაფერი გითქვამთ, რომელიც ასევე ვერ მოხვდა ქვეყნის მედალოსნებში. ის არ იჭიდავებს თბილისში?**

- თბილისში არ გამოვა, თუმცა შანსს აუცილებლად მივცემთ. ის უფრო მომდევნო შეჯიბრებებში ჩაერთვება გუნდში.

**- ახლებურ ვარჯიშებს შეეგუვნენ ბიჭები?**

- დიახ. თავიდან გაუჭირდათ, განსაკუთრებით - იაპონიაში, მაგრამ უკვე შეეჩვივნენ და სიძნელეები დასძლიეს. დაუძლეველი არაფერია და თუ არ შეეჩვევიან, ისე არც შედეგები იქნება. ამიტომ სხვა გზა არცაა.

**- ახლანდელ ვარჯიშზე არ ჩანან ნაკრების ძველი ლიდერები, რომლებმაც საქართველოს პირველობაც გამოტოვეს. მათთვის დასრულდა წლევანდელი სეზონი თუ შანსი ისევ რჩებათ?**

- ჯერჯერობით დასრულებულია. მათ უნდა იგრძნონ, რომ თავის ნებაზე არავინ მიუშვებთ, ანუ როცა უნდათ, მაშინ იჭიდაონ, როცა უნდათ - არა. ცხადია, ისინი გუნდის გაფართოებულ მონახაზში რჩებიან, მაგრამ ამ ეტაპზე ნაკრებში არ არიან.

**- ირაკლი ცირეკიძეს თუ ესაუბრეთ, რას აპირებს?**

- ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ამ დღეებში შევხვდები. თუ მას კვლავაც უნდა ჭიდაობა და თანაც ჩვენს რეჟიმს შეეგუება, ალბათ, მოგვიანებით შანსსაც მივცემთ.

**- ავსტრიელი კონსულტანტი პეტერ ზაიზენბახერი როდის ჩამოდის და თქვენ შორის უფლებები საბოლოოდ გაირკვა თუ არა?**

- ის გამთენიისას ჩამოფრინდება და შეკრებაზე ჩვენთან იქნება, თუმცა ბაქოში არ წამოვა. უფლებები საბოლოოდ განისაზღვრა - ზაიზენბახერი ფიზიკურ მომზადებას და ექიმთა ჯგუფს მიხედავს. ის ფიზმომზადებისთვის სპეციალურ პროგრამას დაგვიწერს, ცხადია, ჩემთან შეთანხმებით და ყველა შეკრებაზე გუნდთან ერთად იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ბაქოს ტურნირი



საქართველოს ნაკრები ბაქოს ტურნირისთვის ემზადება

# ტატამი წითლდება

ბაქოში 15-16 ივლისს გასამართ ძიუდოისტთა მასტერსის ტურნირზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ახალი ნოვაციით გამოდის - ტატამის ფერების შეცვლას აპირებს. კერძოდ, ახლანდელი ლურჯ-ყვითელი ლეიბი წითლით შეიცვლება, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტი იქნება და მასობრივად შეცვლა არ იგეგმება. თუმცა საერთაშორისო ფედერაცია სიახლის საყოველთაოდ დაგეგმვას არც აპირებს - ტატამის ფერთა შეცვლა მხოლოდ მასტერსზე, ოლიმპიადაზე, „დიდი მუზარადისა“ და „დიდი პრიზის“ შეჯიბრებებზეა განზრახული, ოღონდ ესეც მას შემდეგ, თუ წითელი ლეიბი შემოწმებას წარმატებით გაივლის და სიახლეს ძიუდოს სამყაროც მოიწონებს. ექსპერიმენტს პირადად დააკვირდება საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, რუმინელი **მარიუს ვიზერი**, რომელიც საგანგებოდ ჩადის ბაქოში. ის წინასწარ აცხადებს, რომ ექსპერიმენტის არ ეშინია და დარწმუნებულია მასტერსის წარმატებაში. აღსანიშნავია, რომ მისი მოთხოვნით ერთხელ უკვე შეცვალეს ტატამი, რის შემდეგაც მან ახლანდელი სახე მიიღო. მაშინ ვიზერი ევროპულ ფედერაციას მართავდა, მერე კი საერთაშორისოში გადაინაცვლა და რეფორმებისადმი მიდრეკილებაც თან წაიყოლა.

ეს გადანაცვლება არ ყოფილა იოლი, რადგან საერთაშორისო ფედერაციის სათავიდან გაიძვერა კორეელი **პარკის** გაძევება მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა. პარკი უფრო თავის მერკანტილურ მიზნებზე ფიქრობდა და ძიუდოს განვითარება ნაკლებად ადარდებდა. მას ძიუდოს მმართველის პოსტი მხოლოდ მას შემდეგ დაათმობინეს, რაც მექრთამეობაში ამხილეს, თუმცა არა მხოლოდ სპორტში ან სოკ-ში, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო, არამედ სამშობლოში — ბიზნესმაქინაციებში მონაწილეობა, გადასახადების დამალვა და სახელმწიფოს საზიანო გარიგებებში მონაწილეობა ამოუქექეს: ერთბაშად ყველა ფრონტზე დარტყმას კი ვერ გაუძლო და პოსტი ვიზერს შეატოვა. რუმინელი ჯერ კიდევ ევროპული ფედერაციის სათავეში ყოფნისას გამოირჩეოდა ნოვაციებით, სიახლეებისა და რეფორმებისადმი მიდრეკილებით. ის ამ თვისებებს არც საერთაშორისო ფედერაციაში ღალატობს, მაგრამ მისი ხელი აშკარად მოაკლდა ევროპულ ფედერაციას, რომელიც ახლა საერთაშორისოს დანამატად იქცა და მის ჩრდილში მოექცა, ადრე კი წამყვანი იყო. ვიზერმა შემოიღო იგივე მასტერსი და უცხოური შეჯიბრებების ახლებური დახარისხება, რაც ძიუდოს კომერციალიზაციით გახდა შესაძლებელი - მასტერსი, „დიდი პრიზისა“ თუ „დიდი მუზარადის“ ტურნირები, რომლებიც დიდი საპრიზო ფონდებით გამოირჩევიან, ეს კი მათ სიძლიერეს განაპირობებს. მსოფლიოს თასებს რომ თავი დავანებოთ, ეს შეჯიბრებები მონაწილეთა შემადგენლობით ევროპის ჩემპიონატსაც კი აღემატება, სადაც არაევროპელები ვერ ჭიდაობენ. იქნებ ასეთი ცვლილებები იმ ტრადიციული მოსაზრების მიმდევრებს აღიზიანებს, რომლის მიხედვითაც სპორტი კომერციისგან თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების სტილი ისეთია, კომერციას ცხოვრების ვერც ერთი სფერო ვერ გაემიჯნება. მათ შორის - ვერც სპორტი და კომერციული ტურნირები აქაც მომრავლდა. სხვა თუ არაფერი, ამით ძიუდოისტთა მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება.

თუმცა ვიზერი მხოლოდ გლობალური რეფორმებით არ იფარგლება და კონკრეტულ ცვლილებებსაც ახორციელებს - უკვე შეცვალა წესები, რამაც ჭიდაობა უფრო დინამიკური გახადა და ძველი, რაინდულ-ესთეტიკური სტილი დაუბრუნა; დახვეწა და გააუმჯობესა ოლიმპიური ლიცენზიების განაწილების სისტემა... ვიზერის სამწყსო ასევე გეგმავს კიმონოების შეცვლას და უკვე მოდელებიც წარადგინეს, მაგრამ ეს სიახლე ჯერ ცხოვრებაში არ დანერგილა, ახლა კი ტატამის ჯერი დადგა... ამასთან, ვიზერმა ჯერ კიდევ ევროპულ ფედერაციაში მუშაობისას ერთი რევოლუციური სიახლე დანერგა - შემოიღო პირდაპირი ტრანსლაცია შეჯიბრებებიდან და ქომაგს საშუალება მოგვცა, პირდაპირ ეთერში ვუყუროთ ტურნირების მიმდინარეობას. მართალია, ეს სიახლე ჯერ კიდევ დასახვეწია და გარკვეული ხარვეზები ახლავს, მაგრამ იდეა ნამდვილად პროგრესული იყო და რამდენიმე წელიწადში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამაც გადაიღო, თუმცა ვიზერი ამაზე გაჩერებას არ გეგმავს - უახლოეს ხანებში მაყურებელს საშუალება მიეცემა, თვალი მიადევნოს არა მხოლოდ უშუალოდ ტატამზე მიმდინარე მოვლენებს, არამედ მოსათელ დარბაზსაც დააკვირდეს, როგორ ემზადება კონკრეტული სპორტსმენი ორთაბრძოლისთვის. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არანაკლებ საინტერესო პროცესია, ვიდრე - უშუალოდ ჭიდაობა, რადგან კონკრეტული შეხვედრის ბედი სწორედ იქ, კულისებში წყდება, ჯერ კიდევ ტატამზე გასვლამდე. ვგულისხმობთ სპორტსმენთა განწყობას, მობილიზებას, ძალების მოკრებას, საბრძოლო შემართებისთვის მზადყოფნას და არა მაქინაციებსა თუ ბინძურ გარიგებებს.

საერთაშორისო ფედერაცია ჯერ მხოლოდ გაკვრით, და არა კონკრეტულად, საუბრობს კიდევ ერთ მოსალოდნელ სიახლეზე. ლაპარაკია ოლიმპიური ლიცენზიების განაწილების წესის შეცვლაზე, თუმცა, ამ მხრივ ლონდონის თამაშებამდე არაფერი მოხდება, ეს უფრო რიო დე ჟანეიროსთვის იგეგმება.

ბოლოს, ბაქოურ მასტერსზეც ვთქვათ. ამ რანგის ტურნირი წლეულს მეორედ ტარდება - შარშან დააარსეს და სადებიუტოს კორეულმა სუვონმა უმასპინძლა. ბევრისთვის მოულოდნელად, წლეულს მისი ჩატარების უფლება არა რომელიმე ბობოლა ძიუდოს ქვეყანამ, არამედ აზერბაიჯანმა მიიღო, რაც იქაურთა მარიფათისა და სიმდიდრის დამსახურებაა. ახალდაარსებული შეჯიბრება თანდათან იკრებს პოპულარობას და, ჩვენი მეზობლების გასახარად, ამჯერად მასში 41 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას, რაც 10-ით მეტია შარშანდელზე. ცხადია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შეიკრიბება მთელი ელიტა როგორც ვაჟებში, ასევე - ქალებში, რადგან ეს ტურნირი პრემიებსაც სხვებზე მეტს იძლევა და ქულებსაც სალიცენზიო რეიტინგში.

**ირაკლი თავაძე**

ისტორიული ფოტო კომენტარით

# თაობათა ესტაფეტა

ქართული სპორტის მატიანე ისტორიული მოვლენებითა და სახელოვან ათლეტთა სიმრავლითაა მდიდარი. მათი გამარჯვებები ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ ეს წარმატებები მწვრთნელთა და პედაგოგთა დაუღალავი შემოქმედებითი გარჯის შედეგია. დღეს მინდა გავიხსენო ზოგიერთი მათგანი - რომლებიც ქართულისპორტის სათავეებთან იდგნენ, თავიანთ სკოლებს ქმნიდნენ და ჩემპიონებს აფრთიანებდნენ. ესენი არიან: გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი მერკვილაძე, მიხეილ თიკანაძე, პეტრე იორდანიშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, ვახტანგ ქარსელაძე, ბორის დიაჩკოვი, ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ლუკა იოაკიმიდი, პაველ გუმაშიანი, მიხეილ კეკელიძე და სხვები. Aამ ადამიანებს ყოველთვის გარს ეხვივნენ პატარები, ახალგაზრდები. ვეტერანების ჭაბუკებთან შეხვედრა თაობათა ერთგვარ ესტაფეტად იქცეოდა ხოლმე.



ფოტოზე, რომელსაც საოჯახო ალბომიდან გთავაზობთ, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრაა აღბეჭდილი – გოგი მერკვილაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ვლადიმირ პროკოფიევი და ისაკ კიზირია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ სპორტსმენებს სტუმრობენ.

ტექსტი და ფოტო მოგვაწოდა
**გარუნ აკოპოვმა**

ლეგიონერები

# გულივერას კიდევ ერთი აღიარება



ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** საფრანგეთის ჩემპიონატის დეკემბრის თვის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. გორგოძეს შვიდი ნომრის პოზიციაზე კონკურენტი არ ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ ეს გორგოძის პირველი აღიარება არ არის. ახლახან ამავე გაზეთმა ის საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრის ნაკრებშიც დაასახელა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „გულივერა“ უნივერსალურ მორაგბედ ჩამოყალიბდა. მან ბოლო მატჩში, „პერპინიანთან“ მეორე ხაზში ითამაშა.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ გორგოძის გადაბირება რამდენიმე კლუბს უნდა. მისი ხელში ჩაგდება დიდი ხანია სურს „ტულონის“ მულტიმილიონერ პრეზიდენტ **მურად ბურჯელალს**. პოლიგრაფიის მაგნატს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა - პარიზული „მეტრო რასინგის“ პრეზიდენტი **ჟაკ ლორენზეტი**, რომელიც ასევე დიდი ფულის პატრონია. ის უძრავი ქონების ბაზარზე მოღვაწეობს და მარტო საფრანგეთში 3 ათასი ოფისი აქვს. ლორენზეტი ფლობს ასევე უძრავ ქონებას იტალიაში, ესპანეთსა და შვეიცარიაში. ასე რომ, ბურჯელალს გორგოძის დასათანხმებლად სერიოზული გარჯა მოუწევს. მით უფრო, რომ მამუკას გაშვება არც „მონპელიეს“ ხელმძღვანელობას სურს.

ერთი სიტყვით, სად განაგრძობს გორგოძე კარიერას, უახლოეს ერთ თვეში გადაწყდება.

# პირველხაზელთა ეპიდემია კლერმონში

საფრანგეთის ჩემპიონ „კლერმონს“ პირველხაზელთა ტრავმების ეპიდემიამ დარია ხელი. ჩემპიონატის ბოლო მატჩში „ბრივთან“ მუხლი დაიშავა „ვულკანების“ არგენტინელმა შერკინების კვაჭმა **მარიო ლედესმამ.** მანამდე, გუნდს კიდევ ერთი არგენტინელი, შერკინების ბურჯი **მარტინ სკელსო** გამოაკლდა, რომელიც, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

როგორც „კლერმონის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილიც** დაშავებულია.

*„ქართველს დიდი ხანია მხარი სტკივა. ამჯერად, ტკივილმა ისე შეაწუხა, რომ ექიმები იძულებულნი გახდნენ სპეციალური კვლევა ჩაეტარებინათ. შედეგად ზირაქაშვილი, მინიმუმ ერთი კვირა დაისვენებს და „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში „მეტრო რასინგთან“ ვერ ითამაშებს“* - ნათქვამია კლუბის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში.

# მიქაუტაძე და ჩილაჩავა ლიდერობენ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 2 დივიზიონში მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. D ჯგუფში მოასპარეზე **ილია ზედგინიძის** „სენ რაფაელის“ შეხვედრა შინ გათამაშების ლიდერ „სტად პოკენთან“ დიდთოვლობის გამო გადაიდო.

„სენ რაფაელს“ 30 ქულა აქვს და მე-4 ადგილზე იმყოფება. „სტად პოკენმა“ კი, აქამდე ყველა თამაში მოიგო და 55 ქულა დაუგროვდა.

საგრძნობლად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა **მალხაზ ურჯუკაშვილის** „გურდომ“, რომელმაც მე-12 ტურში შინ დაამარცხა „ფლორანსი“ - 22:6. „გურდოს“ ახლა 26 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. ლიდერ „როდეზს“ ის 13 ქულით ჩამორჩება.

მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშებაში. ქართველ მორაგბეთა გუნდები A ჯგუფში ასპარეზობენ, რომელსაც 38 ქულით **კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონი“ ლიდერობს. ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი“ - 27:12.



კონსტანტინე მიქაუტაძე

ტულონელები 14 ქულით უსწრებენ უახლოეს მდევარ „აჟენს“, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება **გიორგი ჯიმშელაძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“. უმცროსმა „ვულკანებმა“ სტუმრად გაანადგურეს „ტულუზი“ - 44:13.

**მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“, რომელიც 20 ქულით მე-6 ადგილზეა, სტუმრად წააგო „პერპინიანთან“ - 16:30. მონპელიელებს სამი ქულით უსწრებს და მეოთხე ადგილზეა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“, რომელმაც შინ დაამარცხა „პო“ - 18:13.

**საფრანგეთი. ესპუართა ლიგა**

X ტური: აჟენი-ბურგუენი 27:12, გრენობლი-პო 18:13, ტულონი-ბაიონი 27:3, პერპინიანი-მონპელიე 30:16, ტულუზი-კლერმონი 13:44.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულონი - 38 ქულა, 2. აჟენი - 24, 3. კლერმონი - 23, 4. გრენობლი - 23, 5. პერპინიანი - 22, 6. მონპელიე - 20, 7. ტულუზი - 19, 8. ბაიონი - 19, 9. პო - 19, 10. ბურგუენი - 17.

# სკანდალი ფრანგულ რაგბიში

ფრანგულ რაგბიში სერიოზული სკანდალი მწიფდება. საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის (LNR) ფინანსურმა კომიტეტმა ახლახან, ფინანსური პრობლემების მოუგვარებლობის გამო, ელიტური, პირველი დივიზიონის ბოლოადგილოსან „ბურგუენს“ ხუთი ქულა დააკლო. რითაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც ამ გუნდის ბედი. „ბურგუენს“ ახალ აქტივში ხუთი ქულა დარჩა და ბოლოსწინა ადგილზე მყოფი **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი“ 19 ქულით უსწრებს.

სკანდალის ინიციატორი სწორედ „აჟენია“. კლუბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული რაგბის ნაციონალური ლიგის ფინანსური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება.

„ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მიიღეს ეს სანქცია უშუალო კონკურენტ „ლა როშელთან“ მატჩის წინ („ბურგუენმა“ შინ წააგო „ლა როშელთან“ 14:44 ბ.ჯ.)? „ბურგუენი“, ფაქტობრივად, პირველი დივიზიონიდან უკვე გავარდნილია. თანაც თამაშის წინ პრეზიდენტმა მორაგბეებს გამოუცხადა, რომ ფინანსურ პრობლემებს ვერ აგვარებს და ყველა მათგანს კლუბის დატოვება უპრობლემოდ შეუძლია. ამის შემდეგ რა მოტივაცია უნდა ჰქონოდათ „ლა როშელთან“ მატჩში ბურგუენელებს?

ჩვენთვის გასაგებია, რომ ფინანსური პრობლემების მოუგვარებლობის გამო, კლუბი აუცილებლად უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამ დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სპორტული პრინციპი და სასჯელი არ უნდა აზარალებდეს სხვა გუნდს, რომელიც არაფერ შუაშია.

*ჩვენ მოვითხოვთ, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ყველა გუნდს გაუუქმონ ის ქულები, რომლებიც „ბურგუენთან“ მატჩში აქვთ მოპოვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ, პროტესტი უფრო მწვავე აქციით გამოვხატოთ“* - ნათქვამია „აჟენის“ მიერ გავრცელებულ კომუნიკეში.

12 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

## 1902 წელი

უელსის ნაკრებმა ლონდონში პირველად მოუგო ინგლისის ეროვნულ გუნდს მინიმალური სხვაობით - 9:8. პირველი ლელო ლეგენდარულმა უელსელმა მორაგბემ **რასტი გიბმა** დადო, მეორე კი დებიუტანტ **ვილ ოსბორნის** ანგარიშზეა.

## 1913 წელი

ბორდოში პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართა. სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა, რომელსაც ბრიტანული ტურნე უკვე წარმატებით ჰქონდა მოლეული, საფრანგეთის ეროვნულ გუნდს ცხრა ლელო გაუტანა და 38:5 მოუგო.

## 1925 წელი

მოუთვინიერებელმა „ოლ ბლექსმა“ ევროპული ტურნე საფრანგეთის ნაკრების დამარცხებით დაიწყო. ახალზელანდიელებმა პარიზში, „სტად კოლომბეზე“ 37:8 მოიგეს.

## 1948 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა თავისი პირველი ტესტ მატჩი მოიგო. „ლე ბლემ“ პარიზში, „სტად ივე დუ მანუარზე“ ავსტრალიის ეროვნული გუნდი დაამარცხა - 13:6. მატჩში, რომელსაც 30 ათასი მაყურებელი დაესწრო **გი ბასკომ** ორი ლელო გაიტანა.

## 1961 წელი

„ნიუპორტთან“ მატჩში დებიუტი ჰქონდა „ბოკეს“ ლეგენდარულ მორაგბე **ავრილ მელანს.** სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა თამაშის დასაწყისში პიტერ ფან ზილის ერთადერთი ლელოს წყალობით გაიმარჯვა. შეხვედრას 22 ათასი ქომაგი დაესწრო.

## 1962 წელი

ამ დღეს ბირმინგემში დაიბადა ინგლისის ნაკრების შერკინების კვაჭი **ბრაიან მური,** რომელსაც მისი თამაშის მანერიდან გამომდინარე მეტსახელად „პიტბული“ შეარქვეს. მას ბრწყინვალე სანაკრებო კარიერა ჰქონდა. მურმა „პომებთან“ ერთად ხუთი ერის პირველობა სამჯერ მოიგო 1991, 1992 და 1995 წლებში. ასევე არის მსოფლიო თასის პირველი სამი გათამაშების მონაწილე.

ბრაიან მურმა ხუთი მატჩი გამართა „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში. რაგბიდან წასვლის შემდეგ მან ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა სპორტულ მედიაში. მური ბი ბი სის პოპულარული კომენტატორი გახლდათ და გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მესვეტე იყო. ავტობიოგრაფიულ ნაშრომში, „ერიდეთ ძაღლს“ ბრაიან მურმა აღიარა, რომ ბავშვობაში ერთ-ერთი მასწავლებლის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიქნა და ამ სულიერი ტრავმით გამოწვეული კომპლექსების დაძლევას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა.

## 1969 წელი

ხუთი ერის გათამაშების მატჩებში ცვლილება პირველად განხორციელდა. ახალი კანონი შოტლანდიის ნაკრებმა გამოიყენა. დაშავებული ცხრა ნომერის, **გორდონ კონელის** ნაცვლად თამაშში იან **მაკკრი ჩაერთო.** პარიზში, „სტად კოლომბეზე“ „სკოტებმა“ საფრანგეთის ნაკრებს **ჯიმი ტელფერის** ორი საჯარიმოს წყალობით მოუგეს - 6:3.



ბურთით ბრაიან მური

მეტოქეები

# ვაითს პომების ბოსობა სურს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **ჯეკ ვაითს** ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობის დაკავება სურს. ვაითმა, რომელმაც „ბოკეს“ 2007 წელს მსოფლიოს თასი მოაგებინა, ინგლისელებს თავისი განზრახვის თაობაზე ელექტრონული ფოსტით შეატყობინა. მას საკმაოდ სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევს, რადგან ამ თანამდებობაზე პრეტენზიას კიდევ ორი საკმაოდ ძლიერი კანდიდატი აცხადებს: ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **კლაივ ვუდვორდი** და აშშ-ის რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელი **ნაიჯელ მელვილი.**



ჯეკ ვაითი

*„ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია. არადა, მოხარული ვიქნებოდი, თუ ამ თანამდებობაზე ვიმუშავებდი და ინგლისის ნაკრების მწვრთნელ მარტინ ჯონსონს დავეხმარებოდი.*

*არ ვაპირებ ვინმეს „ბოსი“ ვიყო. ძალიან მიყვარს ეს საქმე და რაგბის განვითარებას სამხრეთ აფრიკაში 30 წელიწადი შევწირე. ფანტასტიკური იქნებოდა, თუ ამის საშუალება ინგლისშიც მომეცემა. ძალიან მომწონს ეს ქვეყანა, მას უდიდესი სარაგბო პოტენციალი გააჩნია. თავად განსაჯეთ, „პომებმა“ ექვსი მსოფლიოს თასიდან სამის ფინალში ითამაშეს. ეს ფაქტი უდავოდ ბევრის მეტყველია“* - თქვა ჯეკ ვაითმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ბოსტონი 2:4**

0:0, 2:0, 0:4

**გოლები:** 1:0 რუპი-4 (ენგელანდი-4), 2:0 ლეტანგი-7 (მალკინი-20, მარტინი-13), 2:1 ხარა-6 (საიდენბერგი-14, გ. კემპბელი-7), 2:2 მარჩანდი-7 (პ. ბერჟერონი-18, გ. კემპბელი-8), 2:3 რეკი-8 (რაიდერი-13, საიდენბერგი-15), 2:4 გ. კემპბელი-4 (ველერი-8, პ. ბერჟერონი-19).

**სტ. ლუისი-ფინიქსი 3:4**

1:0, 0:2, 2:2

**გოლები:** 1:0 ბეკსი-12 (დ'აგოსტინი-11, სტინი-15), 1:1 კორპიკოსკი-10 (ჟოვანოვსკი-9, ა. ოკუანი-16), 1:2 სტემპნიაკი-9, 2:2 დ'აგოსტინი-10 (სობოტკა-13), 3:2 ვინჩესტერი-8 (მაკლემანი-6, ბოიესი 14), 3:3 ტარისი-7 (ლეპისტო-3, პიატი-5), 3:4 პიატი-10 (ტარისი-6, კორპიკოსკი-9).

**კოლორადო-დეტროიტი 5:4**

4:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პ. შჩასტნი-16 (ჰეიდუკი-23, პორტერი-5), 1:1 მურზაკი-1 (დ. მილერი-6, აბდელკადერი-7), 2:1 დუშენი-17 (ფლიშმანი-17), 3:1 პორტერი-8 (დ. ჯონსი-11, იიპი-8), 4:1 დუშენი-18 (ფლიშმანი-18, დ. ჯონსი-12), 4:2 რაფალსკი-3 (ჰელმი-13), 5:2 დ. ჯონსი-14 (დუშენი-25), 5:3 ზეტერბერგი-16 (ჰოლმსტრიომი-11, ლიდსტრიომი-29), 5:4 ჰოლმსტრიომი-11 (ზეტერბერგი-33, ჰოლმსტრიომი-30).

**ლოს ანჯელესი-ტორონტო 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-9 (სკუდერი-10, სტოლი-16), 1:1 ბოისი-2 (კ. არმსტრონგი-5, ვერსტეეგი-19), 1:2 კესელი-18 (კრები-5, ბოჟაკი-10), 2:2 ჰანძუში-6 (მარტინესი-3, რ. სმიტი-12), 2:3 კულემინი-16 (გრაბოვსკი-16, მაკარტური-22).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდი **დანიელ სედინი** დაასახელა. შვედმა წინა შვიდი დღის განმავლობაში ყველაზე მეტი - ხუთი შაიბა გაიტანა და ჯამში 7 ქულა დააგროვა. დანიელს გასულ კვირას ჩატარებულ ოთხივე შეხვედრაში გაჰქონდა გოლი.

მეორე ვარსკვლავი „ანაჰაიმ დაქსის" მეკარე **იონას ჰილერი** გახდა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში საშუალოდ 0.67 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 97.7 პროცენტი მოიგერია. სამი შეხვედრიდან ორში ჰილერის ანგარიშზე ორი „შათაუტი" იყო. ამ მომენტისთვის „იხვების" მეკარე ლიგის ლიდერია თამაშებისა და მოგერიებული დარტყმების რაოდენობით, მეორე ადგილს იყოფს მოგებების რიცხვით, მესამეა მოგერიების პროცენტის მიხედვით და მეოთხე - „შათაუტების" რაოდენობით.

მესამე ვარსკვლავიც მეკარე გახლავთ - „მინესოტა უაილდის" კარის დარაჯი **ჟოზე ტეოდორი**, ვინც გასულ კვირას საშუალოდ 1.50 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.6 პროცენტს იგერიებდა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 41 | 26 | 10 | 5 | 57 |
| 2. ტამპა ბეი* | 43 | 25 | 13 | 5 | 55 |
| 3. ბოსტონი* | 41 | 22 | 12 | 7 | 51 |
| 4. პიტსბურგი | 44 | 26 | 14 | 4 | 56 |
| 5. ვაშინგტონი | 42 | 24 | 12 | 6 | 54 |
| 6. რეინჯერსი | 43 | 25 | 15 | 3 | 53 |
| 7. ატლანტა | 45 | 22 | 16 | 7 | 51 |
| 8. მონრეალი | 42 | 23 | 16 | 3 | 49 |
| 9. კაროლინა | 41 | 20 | 15 | 6 | 46 |
| 10. ბაფალო | 41 | 18 | 18 | 5 | 41 |
| 11. ფლორიდა | 40 | 18 | 20 | 2 | 38 |
| 12. ტორონტო | 41 | 17 | 20 | 4 | 38 |
| 13. ოტავა | 42 | 16 | 20 | 6 | 38 |
| 14. აილენდერსი | 40 | 13 | 21 | 6 | 32 |
| 15. ნიუ ჯერსი | 42 | 11 | 29 | 2 | 24 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 41 | 27 | 8 | 6 | 60 |
| 2. დეტროიტი* | 43 | 27 | 11 | 5 | 59 |
| 3. დალასი* | 43 | 25 | 13 | 5 | 55 |
| 4. ნეშვილი | 41 | 22 | 13 | 6 | 50 |
| 5. კოლორადო | 43 | 22 | 15 | 6 | 50 |
| 6. ანაჰაიმი | 45 | 23 | 18 | 4 | 50 |
| 7. ფინიქსი | 42 | 20 | 13 | 9 | 49 |
| 8. ჩიკაგო | 44 | 23 | 18 | 3 | 49 |
| 9. მინესოტა | 42 | 21 | 16 | 5 | 47 |
| 10. ლოს ანჯელესი | 42 | 23 | 18 | 1 | 47 |
| 11. სან ხოსე | 43 | 21 | 17 | 5 | 47 |
| 12. სტ. ლუისი | 41 | 20 | 15 | 6 | 46 |
| 13. კოლამბუსი | 42 | 20 | 19 | 3 | 43 |
| 14. კალგარი | 42 | 18 | 20 | 4 | 40 |
| 15. ედმონტონი | 40 | 13 | 20 | 7 | 33 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 66 (32+34) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 57 (31+26) |
| დანიელ სედინი (ვან) | 54 (25+29) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 54 (9+45) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 53 (18+35) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 49 (16+33) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 49 (18+31) |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 46 (16+30) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 45 (15+30) |
| კორი პერი (ანა) | 45 (21+24) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 31 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 25 |
| დანიელ სედინი (ვან) | 25 |
| რაიან კესლერი (ვან) | 23 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 21 |
| კორი პერი (ანა) | 21 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 20 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 20 |
| ლოგან კუტური (ს-ხოს) | 19 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 45 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 35 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 34 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 33 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 31 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 30 |
| ტობიას ენსტრიომი (ატლ) | 30 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 30 |
| ნიკლას ლიდსტრიომი (დეტ) | 30 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 30 |

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რაკეტებმა ბოსტონში გაისროლეს



ჰიუსტონს სენსაცია გამოუვიდა

გუშინდელ საღამოს რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა და ამათგან ორის შედეგის პროგნოზირება თითქოს იოლი საქმე გახლდათ - „ბოსტონსა" და „ჩიკაგოს" არ უნდა გასჭირვებოდათ შინ მორიგი გამარჯვებების მოპოვება. „ხარებმა" ეს ამოცანა შეასრულეს, „ბოსტონმა" კი შინ მოულოდნელად „ჰიუსტონთან" წააგო.

„სელტიქსმა" კვლავ **კევინ გარნეტის** გარეშე ითამაშა, რომლის დაბრუნებასაც ყოველდღე ელიან. თუმცა სტუმრებს უფრო სერიოზული პრობლემები ჰქონდათ. „ჰიუსტონმა" სულ ცოტა ხნის წინ მიაღწია მოგებათა 50-პროცენტიან ზღვარს და სერიოზულად დაუმიზნა პლეი ოფის ზონას, მაგრამ ახალი წლის შემდეგ ტეხასელებმა ზედიზედ ხუთი მატჩი წააგეს და ცხრილში ისევ ქვემოთ დაეშვნენ. კვლავ საჭირო გახდა სიტუაციის გამოსწორება. ბედად, გუნდს გამთამაშებელი **არონ ბრუქსი** დაუბრუნდა. მაგრამ ამით „ჰიუსტონისთვის" კარგი ამბები დასრულდა, რადგან გუშინდელი მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ „როკეტსს" ვერ დაეხმარებოდა გუნდის მთავარი სნაიპერი **კევინ მარტინი**.

უცნაურია, მაგრამ ლიდერის არყოფნამ პოზიტიურად იმოქმედა „ჰიუსტონზე", რასაც ვერ ვიტყვით მასპინძელთა გუნდზე. „ბოსტონი" ჩვეულზე ნელ ტემპში მოქმედებდა, რის გამოც დაისაჯა კიდეც. მატჩის ბედი მეოთხე მეოთხედში გადაწყდა. საწყისი სამი მეოთხედის განმავლობაში თანაბარი თამაში მიდიოდა და ბოლო პაუზის წინ „ჰიუსტონი" ექვსი ქულით ლიდერობდა - 80:74.

„ბოსტონმა" მეოთხე მეოთხედის სტარტი ჩააგდო. თითქმის ცხრა წუთის განმავლობაში მასპინძლებმა მეტოქის ვერც ერთი შეტევა ვერ მოიგერიეს. შესაბამისად, საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 13 წამით ადრე „როკეტსის" უპირატესობა 12 ქულამდე გაიზარდა. მართალია, დარჩენილ დროში სტუმრებს თამაშიდან ბურთი აღარ ჩაუგდიათ, მაგრამ მანამდე მოპოვებული უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „მემფის გრიზლისის" მძიმე ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი გასულ კვირას ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - საშუალოდ 33.3 ქულა დააგროვა. ამას დაემატა 9.5 მოხსნა, 6.3 შედეგიანი პასი და 2.25 ჩაჭრა. ლებრონმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „პორტლენდის" წინააღმდეგ - 44 ქულა და 13 მოხსნა, ხოლო „მილუოკისთან" მატჩში 6 ჩაჭრით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა.

დასავლეთში საუკეთესო რენდოლფის ანგარიშზე საშუალოდ 28.0 ქულა და 14.3 მოხსნა მოდის. ზაკმა სამივე შეხვედრაში ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

### ჯეიმსის კვირა

**3 იანვარი. შარლოტი-მაიამი 82:96.** 38 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი.

**4 იანვარი. მაიამი-მილუოკი 101:89.** 25 ქულა, 6 მოხსნა, 9 პასი.

**7 იანვარი. მილუოკი-მაიამი 95:101.** 26 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 6 ჩაჭრა.

**9 იანვარი. პორტლენდი-მაიამი 100:107.** 44 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი.

### რენდოლფის კვირა

**4 იანვარი. მემფისი-ოკლაჰომა 110:105.** 31 ქულა, 16 მოხსნა.

**7 იანვარი. მემფისი-იუტა 110:99.** 26 ქულა, 11 მოხსნა.

**8 იანვარი. ოკლაჰომა-მემფისი 109:100.** 27 ქულა, 16 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯამალ კროუფორდი** („ატლანტა"), **ჯო ჯონსონი** („ატლანტა"), **რეი ალენი** („ბოსტონი"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **რაიმონდ ფელტონი** („ნიუ იორკი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი"), **ჰედო თურქოგლუ** („ორლანდო") და **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი").

**შარლოტი-მემფისი 96:82**

22:15, 22:16, 24:26, 28:25

**შ:** ჯექსონი (26+7 მოხსნა), ოგუსტინი (18+9 პასი), კეროლი (12).

**მ:** რენდოლფი (15+15 მოხსნა), კონლი (13+7 პასი), გეი (13+5 მოხსნა), ალენი (13+5 ჩაჭრა), მ. გასოლი (10+7 მოხსნა).

**ბოსტონი-ჰიუსტონი 102:108**

22:27, 27:23, 25:30, 28:28

**ბ:** ალენი (19+7 მოხსნა), დენიელსი (19+7 მოხსნა), პირსი (16), დევისი (12+5 მოხსნა), შ. ო'ნილი (10), რონდო (9+12 პასი).

**ჰ:** ბრუქსი (24+5 პასი), ლოური (17+8 პასი), ბადინგერი (13), სკოლა (12+9 მოხსნა), ჰილი (12+8 მოხსნა), ბატიე (10+5 მოხსნა), პატერსონი (10).

**ჩიკაგო-დეტროიტი 95:82**

20:25, 23:30, 33:15, 19:12

**ჩ:** როუზი (29+7 პასი+5 მოხსნა), ბუზერი (27+11 მოხსნა), დენგი (17+8 მოხსნა), ბრიუერი (11+6 პასი).

**დ:** პრინსი (15), დეი (14), უილკოქსი (13+9 მოხსნა), სტაკი (11), მონრო (10+11 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 39 | 30 | 9 | 76.9 |
| 2. ბოსტონი* | 37 | 28 | 9 | 75.7 |
| 3. ჩიკაგო* | 37 | 25 | 12 | 67.6 |
| 4. ორლანდო | 37 | 25 | 12 | 67.6 |
| 5. ატლანტა | 39 | 25 | 14 | 64.1 |
| 6. ნიუ იორკი | 36 | 21 | 15 | 58.3 |
| 7. ინდიანა | 34 | 14 | 20 | 41.2 |
| 8. ფილადელფია | 37 | 15 | 22 | 40.5 |
| 9. მილუოკი | 35 | 14 | 21 | 40.0 |
| 10. შარლოტი | 35 | 14 | 21 | 40.0 |
| 11. ტორონტო | 37 | 13 | 24 | 35.1 |
| 12. დეტროიტი | 37 | 12 | 25 | 32.4 |
| 13. ნიუ ჯერსი | 37 | 10 | 27 | 27.0 |
| 14. ვაშინგტონი | 35 | 9 | 26 | 25.7 |
| 15. კლივლენდი | 37 | 8 | 29 | 21.6 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 37 | 31 | 6 | 83.8 |
| 2. დალასი | 36 | 26 | 10 | 72.2 |
| 3. ლეიკერსი* | 38 | 27 | 11 | 71.1 |
| 4. ოკლაჰომა* | 38 | 25 | 13 | 65.8 |
| 5. იუტა | 38 | 25 | 13 | 65.8 |
| 6. ნიუ ორლეანი | 38 | 22 | 16 | 57.9 |
| 7. დენვერი | 36 | 20 | 16 | 55.6 |
| 8. პორტლენდი | 38 | 20 | 18 | 52.6 |
| 9. ჰიუსტონი | 38 | 17 | 21 | 44.7 |
| 10. მემფისი | 38 | 17 | 21 | 44.7 |
| 11. ფინიქსი | 35 | 15 | 20 | 42.9 |
| 12. გ. სტეიტი | 37 | 15 | 22 | 40.5 |
| 13. კლიპერსი | 36 | 12 | 24 | 33.3 |
| 14. მინესოტა | 38 | 9 | 29 | 23.7 |
| 15. საკრამენტო | 34 | 8 | 26 | 23.5 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.2 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 26.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 25.3 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.0 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.3 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.1 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 23.8 |
| ერიკ გორდონი (კლიპ) | 23.5 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.1 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.8 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.6 |
| მარკუს კემბი (პორ) | 11.4 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.8 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 10.0 |
| ლამარ ოდომი (ლეი) | 9.8 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.6 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 13.4 |
| სტივ ნეში (ფინ) | 10.7 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.7 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.3 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.8 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 8.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.7 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.1 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.0 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.9 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.0 |
| რუდი გეი (მემ) | 1.9 |
| მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | 1.9 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ) | 1.9 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.9 |
| მაიკ კონლი (მემ) | 1.9 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 1.8 |
| ანდრე მილერი (პორ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.6 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.4 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.3 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.0 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 2.0 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.9 |

# ჭორაობა გრძელდება



დალასმა იგუოდალას დაუმიზნა

ტრეიდების პერიოდი ახლოვდება და ამერიკულ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება ახალ-ახალი ჭორი შემადგენლობებში მოსალოდნელი გადაადგილებების შესახებ. გუშინდელ ნომერში ვწერდით „დენვერს", „დეტროიტსა" და „ნიუ ჯერსის" სავარაუდო მასშტაბური ტრეიდის შესახებ, რომელშიც 15 კალათბურთელი იქნება ჩართული. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ამ გაცვლის განხორციელებას ხელს უშლის „ნაგეტსის" ფორვარდი **ელ ჰარინგტონი**. „დენვერს" ამ კალათბურთელის გასხვისება სურს, „ნეტსს" კი ჰარინგტონის 28-მილიონიანი კონტრაქტი აფრთხობს, რომელიც კიდევ ოთხი წელი იმოქმედებს.

აქვე Hoopsworld ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თუ ეს გარიგება შედგება, „ნეტსის" გამთამაშებელი **დევინ ჰარისი** „დენვერში" გადასვლის შემდეგ ამ გუნდის გავლით „პორტლენდში" აღმოჩნდება. „ბლეიზერსი" მზად არის ჰარისის სანაცვლოდ „ნაგეტსს" მცველი **ანდრე მილერი** ან ცენტრი **მარკუს კემბი** დაუთმოს.

■ ■ ■

ამ ინფორმაციის პარალელურად გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი" წერს, რომ **კარმელო ენტონის** „ნიუ ჯერსიში" გადასვლის შემთხვევაში, „ნიუ იორკ ნიქსი" „მემფისიდან" **მარკ გასოლის** ტრანსფერის განხორციელებაზე გადაერთვება. წლევანდელ ზაფხულს ესპანელი ცენტრი შეზღუდული თავისუფალი აგენტი გახდება და ნიუიორკელები მის ხელში ჩასაგდებად სერიოზულ ბრძოლას აპირებენ. გაზეთი წერს, რომ გასოლთან კონტრაქტის გაფორმებით „ნიქსის" პრეზიდენტი **დონი უოლშია** დაინტერესებული.

■ ■ ■

**კერონ ბატლერის** სეზონის ბოლომდე დაკარგვის შემდეგ გააქტიურდა „დალას მავერიქსი", რომელიც ფორვარდის სრულფასოვან შემცვლელს ეძებს. ამისთვის ტეხასელებმა მიზანში ამოიღეს „ფილადელფიას" ლიდერი **ანდრე იგუოდალა** ან „შარლოტის" ფორვარდი **სტივენ ჯექსონი**. ამ ორიდან ერთ-ერთი კალათბურთელის გადაბირების შესახებ გადაწყვეტილებას კლუბის მფლობელი **მარკ ქიუბანი** და მთავარი მწვრთნელი **რიკ კარლაილი** უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში მიიღებენ.

ამასობაში, „დალასმა" გუშინ ერთი კალათბურთელი გაიფორმა. ტეხასელებმა 10-დღიანი კონტრაქტი გაუფორმეს **საშა პავლოვიჩს**.

სერბი ფორვარდი 2003 წელს „იუტამ" აირჩია დრაფტის მე-19 ნომრად. მას შემდეგ პავლოვიჩმა „იუტაში" (2003-04), „კლივლენდსა" (2004-09) და „მინესოტაში" (2009-10) 452 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.5 ქულა და 1.9 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

საყოველთაოდ ცნობილია „საკრამენტო კინგზის" ფინანსური პრობლემები. ამის გამო კლუბმა, შესაძლოა, სულ მალე ადგილმდებარეობა შეიცვალოს და სხვა ქალაქში გააგრძელოს თამაში.

„საკრამენტო" წელს ლიგის ერთ-ერთი მთავარი აუტსაიდერია და დასწრების მხრივ NBA-ის 30 გუნდს შორის 29-ე ადგილს იკავებს.

„კინგზის" ხელში ჩაგდების ყველაზე რეალურ კანდიდატებად მიიჩნევიან ქალაქები - ანაჰაიმი და სან ხოსე. ორივეს აქვს ხარისხიანი არენა NBA-ის თამაშების მისაღებად და თან შეუძლიათ ახალი სპონსორებისა და მეტი მაყურებლის მოზიდვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტოსპორტი. დაკარი 2011

# საინსი ჩამოაქვეითეს

მერვე ეტაპის შემდეგ დაკარის რალიზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - ავტომობილების კლასში პირველად შეიცვალა ლიდერი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც წინა ლიდერი, ესპანელი **კარლოს საინსი** ორჯერ ჩაეფლო ქვიშაში და ძალიან ბევრი დრო დაკარგა. არადა, მოქმედი ჩემპიონისთვის ეტაპი კარგად დაიწყო - საინსმა თავიდან ორ წუთამდე გაზარდა უპირატესობა მთავარ კონკურენტთან - კატარელ **ნასერ ალ-ატიიასთან**. მაგრამ ყველაფერი მეათე საკონტროლო ნიშნულის შემდეგ შეიცვალა. სწორედ ამ დროს მოუწია ორჯერ იძულებითმა გაჩერებამ საინსს, რითაც ალ-ატიიამ ძალიან კარგად ისარგებლა და ამ ეტაპზე კარლოსს ექვს-ნახევარი წუთი მოიგო. კატარელი საერთო ჩათვლაში დაწინაურდა და თანაც სოლიდური უპირატესობა მოიპოვა, რომელიც ხუთ წუთს აჭარბებს.

ცუდად წარიმართა დღე BMW-ის პილოტებისთვის. ამ გუნდის ლიდერ **სტეფან პეტერანსელს** აღარ ჰქონდა რალის მოგების იმედი, მაგრამ სერიოზულად ფიქრობდა გენერალური კლასიფიკაციის პირველ სამეულში მოხვედრას. როგორც ჩანს, ფრანგს ამ მოკრძალებული მიზნის ასრულებაც არ უწერია. ეტაპის მსვლელობისას BMW-ის ძრავა რამდენჯერმე გადახურდა, რის გამოც პეტერანსელს ტემპის შენელება და ხანდახან მანქანის გაჩერებაც უწევდა. საბოლოოდ, სტეფანმა კონკურენტებთან საათზე მეტი წააგო და ამით საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი **ჟინიელ დე ვილიერსს** გადაულოცა. ასე რომ, პირველი სამი ადგილი „ფოლკსვაგენის" პილოტებს ეკუთვნით.

მანქანების კლასისგან განსხვავებით, არაფერი შეცვლილა მოტომრბოლებს შორის. უფრო სწორად, ლიდერი იგივე დარჩა, უბრალოდ, გაიზარდა სხვაობა პირველ და მეორე ადგილებს შორის. **მარკ კომას** კონკურენციას ისევ **სირილ დეპრე** უწევდა. ფრანგი თავიდან ძალიან ჩამორჩა კომას - ესპანელის უპირატესობამ ეტაპის მსვლელობისას ორ წუთს გადააჭარბა. სწორედ ამ მომენტში მოუმატა ტემპს დეპრემ, თუმცა ბოლომდე ჩამორჩენის გაბათილება ვერ შეძლო და ორ წუთზე ნაკლები დათმო ლიდერთან. თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ საერთო ჯამში გენერალურ კლასიფიკაციაში კომას უპირატესობა 9 წუთსა და 19 წამამდე გაიზარდა. ეს კი მართლაც სოლიდური სხვაობაა.


ალ-ატიიასა და საინსის დუელი

### VIII ეტაპი

#### მანქანები

1. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - 5:16.30; 2. **საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი") - +6.36; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - +17.22; 4. **მილერი** (აშშ, „ფოლკსვაგენი") - +20.01; 5. **რომა** (ესპანეთი, „ნისანი") - +52.51...

#### საერთო ჩათვლა

1. **ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი") - 28:39.50; 2. **საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი") - +5.14; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი") - +48.45; 4. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +1:33.30; 5. **მილერი** (აშშ, „ფოლკსვაგენი") - +2:32.23...

#### მოტოციკლები

1. **კომა** (ესპანეთი, KTM) - 6:05.02; 2. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +1.55; 3. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +4.21; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, „იამაჰა") - +8.38; 5. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM) - +25.03...

#### საერთო ჩათვლა

1. **კომა** (ესპანეთი, KTM) - 32:18.52; 2. **დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +9.19; 3. **ლოპეს კონტადრო** (ჩილე, Aprilia) - +22.48; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, „იამაჰა") - +41.42; 5. **ფარია** (პორტუგალია, KTM) - +1:09.59...

## ველოსპორტი

# სუიციდი მადრიდში

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ესპანელმა ველომრბოლმა **ალბერტო ლეონმა**, რომელიც მაუნტინბაიკში გამოსვლით იყო ცნობილი. სპორტსმენმა მადრიდის გარეუბანში, საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო. ჯერჯერობით უცნობია 37 წლის ლეონის სუიციდის მიზეზი. ბოლო დროს მას პრობლემები ჰქონდა მეუღლესთან, გარდა ამისა, დოპინგის გავრცელებაში იყო ეჭვმიტანილი.

ლეონი ორ ხმაურიან დოპინგსკანდალში იყო გარეული. 2006 და 2010 წლებში ესპანურმა პოლიციამ დოპინგის ტრანსპორტირების, გავრცელებისა და მოხმარების მასობრივი შემთხვევების გამოძიება დაიწყო. ორივე საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოკვლევა.

გარდაცვლილ ველომრბოლს იმაში ადანაშაულებდნენ, რომ ის სპორტსმენებისთვის დოპინგის გამოყენების პროგრამას ადგენდა და კოლეგებს აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა. ეს პრეპარატები იყო - ერითროპოეტინი და ანაბოლური სტეროიდები.

გამოძიების დროს, რომელიც 2010 წელს დაიწყო, პოლიციამ 15 ადამიანი დაჰკითხა. ეჭვმიტანილთა შორის ყველაზე ცნობილი სპორტსმენია მსოფლიოს ჩემპიონი 3000 მეტრ სტიპლჩეზში, მძლეოსანი **მარტა დომინგესი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამბები

### ჰოკეი

## სერიოზული ტრეიდი

გუშინ, „ნიუ იორკ რეინჯერსმა" და „ფინიქს კოიოტზმა" მნიშვნელოვანი ტრეიდი განახორციელეს ლიგის წამყვანი მოთამაშეების მონაწილეობით.

„ფინიქსმა" გამოცდილი მცველი **მიხალ როჟსივალი** მიიღო. 32 წლის ჩეხის ანგარიშზე NHL-ში 669 მატჩი და 241 ქულა მოდის. ამ სეზონში როჟსივალმა 32 მატჩი ჩაატარა და 15 (3+12) ქულა დააგროვა.

ვეტერანი ჩეხის სანაცვლოდ „რეინჯერებმა" ახალგაზრდა ფორვარდი **ვოიტეკ ვოლსკი** დაიმატეს. წარმოშობით პოლონელ ჰოკეისტს წელს 36 მატჩში 16 ქულა აქვს მოპოვებული, მისი კარიერული მონაგარი კი 356 მატჩში 227 ქულა გახლავთ.

ნიუიორკულ გუნდს შეტევაში პრობლემები აქვს, რაც სამი ფორვარდის - **კელეჰანის, კრისტენსენისა** და **ფროლოვის** ტრავმებს უკავშირდება. ვოლსკი სწორედ „რეინჯერსის" წინა ხაზის გასაძლიერებლად შეიძინეს.

### ველოსპორტი

## ტურ დე ფრანსი შოტლანდიაში

შოტლანდიაში სერიოზულად არიან დაინტერესებული ტურ დე ფრანსის საწყისი ეტაპის მასპინძლობისთვის. ამ ქვეყნის მთავრობამ პროექტის განხორციელება 2017 წლისთვის დაგეგმა.

როგორც სააგენტო AP იტყობინება, შოტლანდიელებმა უკვე მოამზადეს განაცხადი პირველი ეტაპის ორგანიზებისთვის. საგანაცხადო კომისიის თავმჯდომარე **პოლ ბუშმა** ველომარათონის დირექტორ **კრისტიან პრიუდომთან** შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ეს რბოლა ქვეყანას 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება. ამასთან, ამ პროექტით შოტლანდიური მხარე 100 მილიონ ფუნტს გამოიმუშავებს.

სასტარტო ეტაპის გამართვა ედინბურგსა და გლაზგოს შორის ტრასაზე გაიმართება.

### კრივი

## 15 მილიონი ერთი ბრძოლისთვის

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე **მენი პაკიაოს** გუნდის ნევრმა **ფრანკლინ გაკალმა** განაცხადა, რომ ამერიკელ **შეინ მოზლისთან** ბრძოლისთვის ფილიპინელი ჩემპიონი 15 მილიონ დოლარს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ჩხუბი 7 მაისს გაიმართება.

ბრძოლის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ამ ბრძოლის სანახავად pay-per-view-ის სისტემით ფულს დაახლოებით მილიონი გულშემატკივარი გადაიხდის.

ფილიპინური პრესის ინფორმაციით, მენიმ ბოლო ხუთი ბრძოლისთვის 68 მილიონი დოლარი გამოიმუშავა: **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** შეხვედრისთვის 15 მილიონი მიიღო, **რიკი ჰატონთან** - 13, **მიგელ კოტოსთან** - 13, **ჯოშუა კლოტისთან** - 12 და **ანტონიო მარგარიტოსთან** - 15.

ყველაზე დიდი ტელეაუდიტორია კოტოსთან და დე ლა ჰოიასთან ბრძოლებს ჰყავდა.

### ჩოგბურთი

## ავსტრალია რობსონის გარეშე

ავსტრალიის ღია პირველობას დააკლდება ბრიტანული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 16 წლის **ლორა რობსონი**. ჩოგბურთელმა გასულ კვირას ჰოფმანის თასის მსვლელობისას მიიღო ბარძაყის ტრავმა.

*„ლორას კუნთი აქვს გაწყვეტილი და სამი კვირა მკურნალობა სჭირდება. ამიტომაც არ გავუშვით მელბურნში სათამაშოდ. მისთვის კორტზე გასვლის ნება რომ მიგვეცა, ტრავმის გამიზეზების შემთხვევაში სამთვიანი პაუზის ალება მოუწევდა. ის იმედგაცრუებულია, მაგრამ ახლა ყველაფერი ნორმალურადაა. მომავალში ისედაც ბევრჯერ მოუწევს „დიდი სლემის" ტურნირებზე გამოსვლა"*, - ამბობს რობსონის მწვრთნელი **პატრიკ მურატოგლუ**.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

##### ნაკრებები

| | |
|---|---|
| ტანზანია-უგანდა | 1:1 |
| სუდანი-კდრ | 1:2 |
| ეგვიპტე-ბურუნდი | 3:0 |

##### კლუბები

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-ალკმაარი | 1:2 |
| ძონია-ვილემი | 2:0 |
| გრააფსხაპი-ოფენბახი | 1:2 |
| ნიიმეგენი-მეხელენი | 0:0 |
| ჰერენვეენი-უტრეხტი | 2:1 |

#### ინგლისი

##### I ლიგა

| | |
|---|---|
| პიტერბრო-ბრენტფორდი | 2:1 |
| ჰადერსფილდი-პლიმუტი | 3:2 |
| ოლდჰემი-საუთჰემპტონი | 0:6 |
| როვერსი-უოლსოლი | 2:2 |

##### II ლიგა

| | |
|---|---|
| სტოკპორტი-როტერჰემი | 3:3 |
| ტორკი-ქრიუ | 2:1 |

##### კონფერენსი

| | |
|---|---|
| მენსფილდი-ფლიტვუდი | 2:5 |
| დარლინგტონი-ჰისტონი | 3:1 |
| კიდერმინსტერი-კეტერინგი | 4:1 |
| ტამუორტი-ნიუპორტი | 3:2 |
| იორკი-გრიმსბი | 1:0 |

#### ინგლისის თასი

##### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| უიკომბი-ჰერეფორდი | 0:1 |

#### ინგლისი

##### FA Trophy

| | |
|---|---|
| საუთპორტი-გეიტშიდი | 0:1 |
| ისტვუდი-რაშდენი | 3:3 დ.დ. 4:3 |

#### ინგლისის ლიგის თასი

##### 1/2 ფინალი. I მატჩი

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 2:1 |

#### აზიის თასი

| | |
|---|---|
| ჩრ. კორეა-საემიროები | 0:0 |
| ერაყი-ირანი | 1:2 |

#### შოტლანდიის თასი

##### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰართსი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |
| ქუინი-ბრეჩინი | 1:2 |
| ფალკირკი-პარტიკი | 2:2 |

#### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| გალათასარაი-სექერი | 3:1 |
| ძონია-ტრაბზონი | 1:3 |
| ბუიუქსეჰირი-ქარსიაქა | 1:0 |
| ქასიმფაშა-კირიხანი | 2:0 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ლანელი-ჰავერფორდვესტი | 2:1 |
| პრესტატინი-ბალა | 2:0 |
| ებერისტვითი-ეირბასი | 2:1 |

#### ავსტრალია

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-ნ. ქუინსლენდი | 1:0 |

### კალათბურთი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| გოტინგენი-ტრირი | 65:53 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ავტომობილის.-ნეფტეხიმიკი | 4:3 (ო) |
| მეტალურგი (მ)-იუგრა | 4:1 |
| ს. იულიაევი-ავანგარდი | 2:3 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ლიეპაიასი-ნემანი | 3:2 (ბ) |
| გომელი-მეტალურგი | 2:1 (ბ) |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-იზერლონი | 3:4 (ბ) |
| ჰანოვერი-კრეფელდი | 2:1 (ბ) |

#### დანია

| | |
|---|---|
| როდოვრე-ოდენსე | 2:0 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 8:2 |
| სონდერიისკი-ჰვიდოვრე | 3:2 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სპარტა | 1:3 |
| მანგლერუდი-ფრისკ ასკერი | 1:2 (ბ) |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 4:2 |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 2:4 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 1:4 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ჟილინა-ბისტრიცა | 4:3 (ბ) |
| კოშიცე-ტრენჩინი | 3:0 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ბლუზი-ჰპკ | 4:2 |
| კერპეტი-ესეტი | 2:3 (ბ) |
| საიპა-ლუკო | 2:1 |
| ტაპარა-პელიკანსი | 2:1 |
| ტპს-ილვესი | 2:4 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 2:3 (ო) |
| იუვიასკიულა-კალპა | 3:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-სერვეტი | 4:2 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 4:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ჰვ71-ლულეო | 3:2 |
| იურგორდენი-აიკ | 4:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ოკლენდი

| | |
|---|---|
| მონაკო-მანარინო | 4:6, 3:6 |
| რეინოლდსი-გრანოლერსი | 4:6, 3:6 |
| დე ბაკერი-პეტცშნერი | 1:6, 7:6, 6:7 |
| ნალბანდიანი-ფონინი | 7:6, 6:4 |
| რიბა-კამკე | 3:6, 4:6 |
| კლემანი-მალისე | 4:6, 6:2, 7:5 |
| ჰაასე-კუევასი | 3:6, 7:6, 7:6 |

#### ATP. სიდნეი

| | |
|---|---|
| გუჩიონე-გარსია ლოპესი | 6:7, 5:7 |
| ჩელა-შტეპანეკი | 4:6, 6:0, 6:3 |
| სტარაჩე-ბენეტო | 6:7, 6:3, 6:4 |
| სეპი-ისტომინი | 6:1, 6:0 |
| გასკე-ებდენი | 6:4, 6:3 |

#### WTA. ჰობარტი

| | |
|---|---|
| პაჩეკი-გროტი | 4:6, 6:7 |

#### WTA. სიდნეი

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-ციბულკოვა | 3:6, 3:6 |
| ნა ლი-რაზანო | 6:4, 1:6, 6:4 |
| კლაისტერსი-ბ. ზახვალოვა | 6:1, 6:4 |
| მ. სანჩესი-კლეიბანოვა | 2:6, 4:6 |
| პეერი-აზარენკა | 5:7, 3:6 |
| პენეტა-ზვონარევა | 7:5, 7:5 |
| კუზნეცოვა-სტოსური | 3:6, 6:3, 6:4 |
| რეზაი-იოვანოვსკი | 6:7, 6:7 |

## TV პროგრამა

### 12 დეკემბერი. ოთხშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**23:40** ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. იფსვიჩი-არსენალი. I მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**19:10** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი) (LIVE).
**22:55** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. ტური (საფრანგეთი)-ლოკომოტივი (რუსეთი) (LIVE).
**05:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლორადო (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**06:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ნიუ იორკი (LIVE).

#### SPORT+

**21:10** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი) (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. იფსვიჩი-არსენალი. I მატჩი (LIVE).

#### EUROSPORT

**12:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
**17:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**19:00** სნუკერი. მასტერსი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:45** სნუკერი. მასტერსი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**14:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ალპ დ'უე. საფრანგეთი (LIVE).
**17:15** ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. უზბეკეთი-ქუვეითი. კატარი (LIVE).
**20:15** ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-კატარი. კატარი (LIVE).
**22:15** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. პრაღა (ჩეხეთი)-კაუნასი (ლიტვა) (LIVE).
**23:00** სნუკერი. მასტერსი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები



# ლიდერები ჯერ აგებენ

ორი-სამი გამონაკლისის გარდა, ქალთა პროფესიული ტურის ლიდერებს უჭირთ ახალ სეზონში შესვლა. განსაკუთრებით ეს ეხება მსოფლიოს პირველ ნომერ **კაროლინ ვოზნიაცკის.** დანიელ ჩოგბურთელზე წინა ნომერში ვწერდით - მან ჩოგანი შეცვალა და ამიერიდან „ბაბოლატის" ნაცვლად „იონექსის" ჩოგნით ითამაშებს. ახალ ინვენტარს ვერ შეეგუა თუ რაიმე სხვა მიზეზია, მაგრამ ფაქტი აშკარაა - ვოზნიაცკი ჯერ არ არის მზად ახალი სეზონისთვის. გასულ კვირას მან ჰონგ კონგში საჩვენებელ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და რუს **ვერა ზვონარევასთან** სასტიკად წააგო - ორ სეტში მხოლოდ ერთი გეიმი აილო.

ამ კვირას კაროლინი ახალ სეზონში თავის პირველ ოფიციალურ ტურნირში (სიდნეი) ჩაება და დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდა. სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასთან** საათი და 40 წუთი ბრძოლისას დანიელმა თითო სეტში სამ-სამი გეიმი აილო და 3:6, 3:6 დამარცხდა.

*„ეს არ იყო ჩემი დღე, - განაცხადა მატჩის შემდეგ ვოზნიაცკიმ. - მესმის, რომ ამჟამად არ ვიმყოფები საუკეთესო ფორმაში, თანაც სათამაშო პრაქტიკა მაკლია. სხვათა შორის, შარშანდელი სეზონიც ცუდად დავიწყე. უნდა გვესმოდეს, რომ ჩემთვის მთავარი ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადებაა. მელბურნში ყველაფერი წესრიგში იქნება".*

სხვათა შორის, გუშინ ვერც მსოფლიოს მეორე ჩოგანი **ვერა ზვონარევა** იყო მოწოდების სიმაღლეზე. ის მეოთხედფინალის საგზურს იტალიელ **ფლავია პენეტას** ეცილებოდა. რუსს აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰყავდა დამარცხებული აპენინელი ჰარდზე, ფლავიამ კი ამ საფარზე ზვონარევას სამჯერ მოუგო. ეს კანონზომიერება ამჯერადაც არ დარღვეულა. რუსმა ორ სეტში წააგო. აღსანიშნავია, რომ მეორე პარტიაში მას წარმატების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ორგეიმიანი უპირატესობა (4:2) გაფლანგა და ტაიბრეიკამდე ვერ მიაღწია.

თავისი მთავარი კონკურენტებისგან განსხვავებით, სიდნეის ტურნირი წარმატებით დაიწყო ავსტრალიის ღია მთავარმა ფავორიტმა **კიმ კლაისტერსმა.** მან 6:2, 6:4 დაამარცხა ჩეხი **ბარბორა ზახვალოვა** და მეოთხედფინალში ბელარუს **ვიქტორია აზარენკას** შეხვდება.

■ ■ ■

მოახლოებულ ავსტრალიის ღია პირველობას გამოეხმაურა ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ანდრე აგასი.** მისი აზრით, მამაკაცთა ტურნირში **რაფაელ ნადალს** გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ვიდრე **როჯერ ფედერერს.**

*„რაფამ ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, წლის ბოლოსკენ კი მცირე პაუზა აილო, რითაც ავსტრალიის ღია პირველობას დასვენებული და თავის ძალებში დარწმუნებული შეხვდება. როჯერი 2010 წლის მიწურულს ფანტასტიკურად თამაშობდა. ვფიქრობ, მათი ბრწყინვალე მეტოქეობა გაგრძელდება, თუმცა ნადალის შანსებს უფრო მაღლა ვაყენებ. ამჟამად ესპანელს ჯერ არ მიუღწევია თავისი პიკისთვის - ის თანდათან მოუმატებს",* - აცხადებს აგასი.

შეგახსენებთ, რომ ნადალმა და ფედერერმა უკვე მოასწრეს 2011 წელს ერთ ტურნირში მონაწილეობა. დოჰაში შვეიცარიელმა მთავარი პრიზი მოიპოვა, რაფაელმა კი ნახევარფინალში დათმო ორთაბრძოლა რუს **ნიკოლაი დავიდენკოსთან.**

წლის სპორტსმენი

# ოსკარის მაძიებლები

გუშინ დასახელდა პრესტიჟული პრემიის - Laureus World Sports Awards-ის პრეტენდენტები. ამ ჯილდოს, რომელიც წლის საუკეთესო სპორტსმენს გადაეცემა, მეორენაირად „სპორტულ ოსკარს" უწოდებენ. ნომინანტები საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში გამოაცხადეს. თითო პრიზს ექვსი მაძიებელი ჰყავს.

მამაკაცებს შორის 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულზე პრეტენზიას შემდეგი სპორტსმენები აცხადებენ: ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი), ფორმულა 1-ის პილოტი **სებასტიან ფეტელი** (გერმანია), მოკრივე **მენი პაკიაო** (ფილიპინები), კალათბურთელი **კობი ბრაიანტი** (აშშ), ფეხბურთელები - **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი) და **ლეონელ მესი** (არგენტინა).

ქალებს შორის „ოსკარის" მაძიებლები არიან: ჩოგბურთელები - **სერენა უილიამსი** (აშშ), **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) და **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია), სამთო-მოთხილამურე **ლინდსი ვონი** (აშშ), მძლეოსნები - **ჯესიკა ენისი** (ბრიტანეთი) და **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატია).

Laureus World Sports Awards-ის პრემია 2000 წელს დაარსდა. შარშან 2009 წლის საუკეთესო სპორტმენის პრიზები გადაეცათ იამაიკელ მძლეოსან **უსაინ ბოლტსა** დ სერენა უილიამსს.

ჰოკეი

# ლიგამ ვარსკვლავები დაასახელა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ იმ მოთამაშეების სრული სია გამოაქვეყნა, რომლებიც იანვრის ბოლოს „ყველა ვარსკვლავის მატჩში" მიიღებენ მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ჩატარდა გულშემატკივრების გამოკითხვა - ფანებმა ექვსი ყველაზე პოპულარული ჰოკეისტი გამოავლინეს. ესენი არიან: ფორვარდები **სიდნი კროსბი, ევგენი მალკინი, ჯონათან ტეუვზი,** მცველები **კრის ლეტანგი, დანკან კეიტი** და მეკარე **მარკ ანდე ფლერი.** ამ მოთამაშეებიდან აირჩევენ კაპიტნებს, რომლებიც, თავის მხრივ, NHL-ის მიერ შერჩეული სიიდან თავიანთი გუნდებისთვის მონაცვლეობით აიყვანენ ჰოკეისტებს.



შოუ მალე დაიწყება

„ყველა ვარსკვლავის მატჩის" ყველა მონაწილე:

**მეკარეები:** ფლერი (პიტსბურგი), ჰილერი (ანაჰაიმი), ლუნდკვისტი (რეინჯერსი), პრაისი (მონრეალი), უორდი (კაროლინა), ტომასი (ბოსტონი);

**მცველები:** ლეტანგი (პიტსბურგი), ბიფულინი (ატლანტა), უებერი (ნეშვილი), მარკ სტაალი (რეინჯერსი), კარლსონი (ოტავა), ლიდსტრიომი (დეტროიტი), ენსტრიომი (ატლანტა), გრინი (ვაშინგტონი), ხარა (ბოსტონი), ბერნსი (მინესოტა), ბოილი (სან ხოსე), კეიტი (ჩიკაგო).

**თავდამსხმელები:** ერიკ სტაალი (კაროლინა), სტემკოსი (ტამპა ბეი), სენტ ლუისი (ტამპა ბეი), შარპი (ჩიკაგო), ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), დანიელ სედინი (ვანკუვერი), რიჩარდსი (დალასი), პერი (ანაჰაიმი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ნეში (კოლამბუსი), კესელი (ტორონტო), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), კეინი (ჩიკაგო), კესლერი (ვანკუვერი), ჰემსკი (ედმონტონი), იგინლა (კალგარი), ერიქსონი (დალასი), ჟირუ (ფილადელფია), დუშენი (კოლორადო), ელიაში (ნიუ ჯერსი), ბეიკსი (სენტ ლუისი), მალკინი (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი), ტეუვზი (ჩიკაგო).

ავტოსპორტი



კიმი რაიკონენი

# ისევ რალი, ისევ სიტროენი

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **კიმი რაიკონენი** 2011 წელს გააგრძელებს გამოსვლას რალის მსოფლიოს ჩემპიონატში. ორშაბათს დასრულდა მომავალ სეზონში მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება და როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სააგენტო „როიტერს" განუცხადეს, რაიკონენის განაცხადი ფედერაციაში რეგისტრაციის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შევიდა.

შეგახსენებთ, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ რაიკონენის კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მაგრამ ახლა ამ საკითხში სრული სიცხადე შეიტანეს - 10-13 თებერვალს ფინელი პილოტი 2011 წლის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გამოვა.

თანაც რაიკონენს ახალი მანქანა ეყოლება. თუ თავის სადებიუტო სეზონში ფორმულა 1-ის პილოტი Citroen Junior Team-ში გამოდიოდა, ამჟამად ის „სიტროენის" მეორე გუნდის - ICE 1 Racing-ის წევრი იქნება.

ისევე როგორც ფრანგული გუნდის ძირითადი პილოტები - **სებასტიან ლოები** და **სებასტიან ოჟიე,** რაიკონენიც ახალი Citroen DS3 WRC-ის საჭეს მიუჯდება. ეს მანქანა ახალი რეგლამენტის გათვალისწინებით არის აწყობილი. კიდევ ერთი ავტომრბოლი, ვინც ახალი „სიტროენს" ჩაიბარებს, 2005 წლის ჩემპიონი, ნორვეგიელი **პეტერ სოლბერგი** იქნება.

მძლეოსნობა

# ბოლტმა ვარჯიში დაიწყო

პლანეტის უსწრაფესი ადამიანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** სრულად გამოჯანმრთელდა ზურგის ტრავმისგან და სრულფასოვან ვარჯიშებს შეუდგა. ამის შესახებ თავად სპრინტერმა განუცხადა ჟურნალისტებს.

*„არანაირი პრობლემა აღარ მაქვს და შემიძლია ისევ დავუბრუნდე საყვარელ საქმიანობას. ახალი სეზონის წარმატებით ჩატარებისთვის მონდომებით ვარჯიში მესაჭიროება. მუდმივად ვადევნებ თვალს საკუთარ ჯანმრთელობას და ექიმებს ხშირად ვაკითხავ ზურგის შესამოწმებლად",* - ამბობს იამაიკელი მორბენალი.

უსაინ ბოლტმა ისიც დაამატა, რომ კარიერას 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს.

*„რაღაც მომენტში ისიც მოსაბეზრებელია, როცა ერთსა და იმავეს აკეთებ და ყოველთვის პირველი მიდიხარ ფინიშთან",* - განუცხადა გერმანულ გამოცემა Die Welt-ს ბოლტმა.

სპორტული კარიერის დასრულებამდე უსაინ ბოლტს სურს ძალები მოსინჯოს სიგრძეზე ხტომაში.



ბოლტი სეზონისთვის მზად არის

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**